ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან სამშაბათი 1 დეკემბერი 1998 №219 (754) ფასი 50 თეთრი

# საუკეთესო კალათბურთელები მოკრივეებში
# საუკეთესო მოკრივეები კალათბურთელებში



EURO BASKET 99

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი. E ჯგუფი

## საქართველო 59:82 შვედეთი

28 ნოემბერი. თბილისი. სპორტის სასახლე. პირველი ტაიმი 43:37

საქართველოს საკალათბურთო ნაკრებმა წესს არ უღალატა და ბოლოდროინდელი ტრადიციიდან გამომდინარე კვლავ საზარლად და სამარცხვინოდ წააგო. ამჯერად შვედეთთან, რომელსაც იმდენივე უკლია ევროპულ ელიტამდე, რამდენიც ქართველებს — კალათბურთამდე.

შაბათს კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რომ ის, რასაც ქართველები სჩადიოდნენ, ძირეულად განსხვავდება იმ თამაშისგან, რომელსაც კალათბურთი ჰქვია. არავითარი ტაქტიკა, არავითარი კომბინაცია, არავითარი განსწავლულობა. გუნდს არც მწვრთნელის ხელი ეტყობოდა, არც ელემენტარული მომზადება, არც ისრაელის შეკრების კვალი და მოთამაშეებიც არ იწვოდნენ კალათბურთის თამაშის სურვილით.

სამაგიეროდ, იყო კრივი, ეროვნული ჩემპიონატის ყოველდღიურობიდან გამომდინარე ქართველთათვის ჩვეულებრივი მოვლენა. ჩვენებმა ისე იგრივეს, თქვენი მოწონებული, მაგრამ წესიერად არც ეგ შეძლებიათ: კრივის კანონებით, არც წაქცეულს ურტყამენ და არც მეტოქეს აფურთხებენ.

რატომ ვცემეთ შვედები? ალბათ იმაზე დაბოღმილებმა, რომ მათ კალათბურთის თამაში იციან, ჩვენ კი — არა. თუ იმიტომ, რომ მათ კალათბურთი აქვთ, ჩვენ კი კალათბურთი ხელში ჩაგვკვდომია და საეჭვოა, მისი გაცოცხლება უახლოეს ხანში შევძლოთ.

რა გვაქვს დღეს? შვიდი უკვე წაგებული და წინასწარვე წასაგებად განწირული მომდევნო სამი მატჩი და არავითარი იმედი. და კიდევ, წარსულით გაუთავებელი ბაქიაობა და დღევანდელი გადასახედიდან უკვე საეჭვოდ გამხდარი თეორია, თითქოსდა ქართველები საკალათბურთო ერი ვართ.

სამწუხაროდ, წარსული, ტრადიციები და გენები თამაშებს ვერ იგებენ. თამაშს იგებენ მოთამაშეები და მწვრთნელები, რომლებიც ადრე იქნებ გვყავდნენ, მაგრამ დღეს სანთლით საძებნი გაგვხდომიან.

მატჩის რეპორტაჟი იხილეთ მეათე-მეთერთმეტე გვერდებზე

## საქართველოს ჩემპიონატი 15 ტური

VI ტურის გამოტოვებული მატჩი
30 ნოემბერი, ორშაბათი

| | |
|---|---|
| დინამო | 6 |
| კოლხეთი | 1 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 15 | 12 | 3 | 0 | 50:8 | 39 |
| ტორპედო | 15 | 11 | 2 | 2 | 42:14 | 35 |
| კოლხეთი | 15 | 8 | 3 | 4 | 34:25 | 27 |
| ლოკომოტივი | 15 | 6 | 9 | 0 | 18:6 | 27 |
| ბათუმი | 15 | 6 | 6 | 3 | 23:14 | 24 |
| დილა | 15 | 6 | 4 | 5 | 21:21 | 22 |
| იბერია | 15 | 5 | 3 | 7 | 26:31 | 18 |
| არსენალი | 15 | 4 | 6 | 5 | 19:25 | 18 |
| მერანი | 15 | 3 | 8 | 4 | 13:16 | 17 |
| ოდიში | 15 | 5 | 1 | 9 | 12:25 | 16 |
| გორდა | 15 | 3 | 7 | 5 | 12:18 | 16 |
| სიონი | 15 | 4 | 3 | 8 | 15:32 | 15 |
| ვიტ ჯორჯია | 15 | 5 | 2 | 8 | 15:17 | 14 |
| სამგურალი | 15 | 4 | 2 | 9 | 13:31 | 14 |
| თსუ | 15 | 3 | 4 | 8 | 14:22 | 13 |
| გურია | 15 | 3 | 1 | 11 | 17:39 | 10 |

„ვიტ ჯორჯიას" დაკლებული აქვს 3 ქულა

## საქართველოს თასი

მეოთხედფინალის წილისყრა

ლოკომოტივი — ბათუმი

ტორპედო — გორდა

ვიტ ჯორჯია — სამგურალი

არსენალი — მერანი

მეოთხედფინალური მატჩები გაზაფხულზე, ჩემპიონატის განახლებამდე შედგება

## კანდელაკს ჯერ ფრანგს გაუყვანენ

გიორგი კანდელაკისა და ინგლისელი მოკრივის ჩხუბი, რომელიც გუშინ მანჩესტერში უნდა გამართულიყო, არ შედგა. ბრიტანელს ერთ-ერთი ვარჯიშისას წარბი დაუზიანებია და რინგზე ამიტომაც აღარ გასულა. პრომოუტერებს საორშაბათო კრივი მარტისთვის გადაუდიათ.

გიორგი კანდელაკი კი ინგლისში მაინც იჩხუბებს. 12 დეკემბერს მის წინააღმდეგ ფრანგი მოკრივე იბრძოლებს, ოღონდ ეგ არის, ვინ არის, რას წარმოადგენს ეს ფრანგი თავად გიორგიმაც არ იცის.

1998 VOLLEYBALL WORLD CHAMPIONSHIPS

## შურისძიება იტალიურად

გუშინ ტოკიოში, ფრენბურთელ ვაჟთა მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში იტალიელებმა იუგოსლავიელებს 3:0 მოუგეს და ზედიზედ მეორედ გახდნენ მსოფლიოში უძლიერესნი

იხილეთ მეცხრე გვერდი



REUTERS ტოკიოდან

თბილისი
30 ნოემბერი
14 საათი
ეროვნული
1000 (ტევადობა 75 000)

## დინამო 6:1 კოლხეთი

1:0, 2:0 ალექსიძე (3, 8), 2:1 გაბისონია (18), 3:1, 4:1, 5:1 ცქიტიშვილი (30, 35, 41), 6:1 ალექსიძე (56)

**დინამო:** გვარამაძე, ზ. არჩვაძე (რუხაძე 46), ჯელაძე, დიდავა, დ. მუჯირი, ა. სახვაძე, კიკნაძე, ალექსიძე, გ. შენგელია (ლ. მელქაძე 72), ცქიტიშვილი (კვარაცხელია 46), გ. მიქაძე

*სათადარიგონი:* სოლოლაშვილი, ქემოკლიძე, აშვეთია

**კოლხეთი:** ქვაჩახია (ჩემია 46), გოროზია (კრასოვსკი 63), ტორჩინავა, ახვლედიანი, გაბისონია (ქუტიძე 46), ღალანიძე, გიორგობიანი, კალანდაძე, გვასალია, წივწივაძე, მ ქობულაძე

*სათადარიგონი:* შალამბერიძე, შავგულიძე, ბაჩილავა, სუხიაშვილი

**მსაჯები:** თ. ლაცაბიძე (სურამი), მ. ელიკაშვილი, ს. კახიანი; ლ. მგელაძე (სამივე თბილისი)

**სფფ-ს დელეგატი:** კ. ყრუაშვილი



რატი ალექსიძე (№8) ლევან ცქიტიშვილს გაეჯიბრა, ორივემ სამ-სამი გოლი გაიტანა

# ბენეფისი წყვილად

**კობა ინასარიძე**

ამინდი თითქოს ფოთელებისთვის იყო. თოვლ-ჭყაპში და სველ მინდორზე მათ უფრო უნდა გაიოლებოდათ თამაში. პირიქით კი მოხდა. „დინამომ" უთქმელად დაჯაბნა „კოლხეთი". სალამიც არ დაამთავრებინეს მეტოქეს, თავიდანვე შეუტიეს და ფაქტობრივად პირველივე ათ წუთში გადაწყვიტეს კიდეც მატჩის ბედი. ორჯერვე ალექსიძემ ოყოჩალა, რომელსაც ხურცილავამ გუშინ მოედნის შუაში თამაში დაავალა, მის ადგილას, მარცხენა ჰავბეკის პოზიციაზე კი ცქიტიშვილი გაამწესა. ძნელი სათქმელია, კოლხებზე ამან იმოქმედაო, მაგრამ ფაქტი ხომ ნაღდია — „დინამომ" ფოთელები გაანადგურა.

„კოლხეთის" მეკარე ქვაჩახიას სველი მინდორი ემცხეთა. პრაქტიკულად ვერც ერთი ასაღები ბურთი ხელთ ვერ იგდო და გოლებიც ოხრად გაუშვა. ხუთი გოლი ერთ ტაიმში? ასეთი რამ „კოლხეთისთვის" ნამდვილად უცხოა. კარგა ხანია, არ ჩავარდნილან ფოთელები ამგვარ უმწეო მდგომარეობაში და, ალბათ, კიდევ დიდხანს აღარ განმეორდება ის, რაც გუშინ ეროვნულზე მოხდა. ისე, სტუმრების ასეთ მარცხს, შეიძლება ითქვას, ერთი ბანალური მიზეზიც აქვს — ფული. ფეხბურთელები თურმე საერთოდ არ აპირებდნენ თბილისში, „დინამოსთან" თამაშს, მაგრამ ხელმძღვანელობის თხოვნაზე სულ ბოლო მომენტშიღა დაყაბულებულან.

ამინდი თითქოს ფოთელებისთვის იყო. თოვლ-ჭყაპში და სველ მინდორზე მათ უფრო უნდა გაიოლებოდათ თამაში. შეგნებულად ვიმეორებთ ამ ფრაზას, რადგანაც...

ჯერ მოედნის ცენტრიდან კიკნაძემ ალექსიძეს გადააწოდა ბურთი, ისიც ქვაჩახიასთან პირისპირ დარჩა და მარცხენა ფეხით შორეულ კუთხეში დარტყმული ბურთით გახსნა ანგარიში.

მერე მეკარისსავე ვერდაჭერილ ბურთს დაჰკრა ალექსიძემ მარჯვენა და მიუხედავად იმისა, რომ კარში მცველები იდგნენ, გოლი მაინც გაიტანა.

რვა წუთში ფოთელებმა პირველად შეუტიეს გვარამაძეს, რომელმაც, ქვაჩახიასი არ იყოს, სველი ბურთი კარგად ვერ მოიგერია და იქვე მდგარმა გაბისონიამ პირველად, და როგორც მერე გაირკვა, უკანასკნელად დაამწუხრა დინამოელები. საპასუხო იერიში და დიდავას თავურის შემდეგ ქვაჩახიამ მართლაც ოსტატურად მოიგერია ბურთი კუთხურზე.

გავიდა რამდენიმე წუთი. შენგელიას დარტყმული ისევ ვერ მოათვინიერა სტუმართა მეკარემ, იქვე ცქიტიშვილი გაჩნდა და „დინამომ" მესამედ გაიხარა.

ბურთი მოედნის ცენტრში გაგორდა, გამოგორდა, ალექსიძე ამჯერად ასისტენტის როლში გამოვიდა, ბურთი ცქიტიშვილს მიაწოდა — 4:1.

ფორმალობაღა იყო დარჩენილი, თორემ „კოლხეთი" რომ ამ თამაშს წააგებდა, უეჭველი გახდა. ალექსიძემ ერთხელაც მოინდომა ბურთის გატანა და პირველივე ტაიმში ჰეთ-თრიქის შესრულება, მაგრამ სიამოვნება ცოტა ხნით გადაიდო, მისი ტექნიკურად დარტყმული ბურთი ძელს მოხვდა, თუმცა ცქიტიშვილი კვლავ საჭირო ადგილას აღმოჩნდა — 5:1.

მერე შესვენება, ყინვისგან გათანგულ მაყურებელს ასეთი სანახაობის ხილვას, ალბათ, შინ დარჩენა უჯობდა. ფილიამ ქვაჩახია ჩემიათი შეცვალა. ეტყობა, ფოთელთა მწვრთნელმა იფიქრა, ხუთი გოლი საკმარისიაო, მაგრამ...

ისე, ან ჩემიას გაუმართლა, ანაც დინამოელებმა აღარ მოინდომეს, წაქცეული მეტოქე დაინდეს.

მხოლოდ ერთხელ, 56-ე წუთზე მოიწადინა რატი ალექსიძემ კიდევ ერთი გოლის გატანა, გავიდა ჩემიასთან პირისპირ და შანსიც გამოიყენა.

არა, სიმართლე ისაა, რომ ასეთ ანგარიშს არავინ ელოდა. ალბათ, თავად „დინამოც" კი. დიდი ანგარიშით მოგება ისეთივე მოულოდნელი გახლდათ, როგორც გუშინდელი პირველი თოვლი.

ამიტომაც ვთქვით, თითქოს თოვლჭყაპში ფოთელებს უფრო უნდა გაიოლებოდათ თამაში, მათ კი... მათ ერთი ბურთი გაიტანეს და დიდი-დიდი ორჯერ თუ სამჯერ აალებინეს ბურთი ხელში გვარამაძეს.

ბადრი ქოთოლაძის ფოტო

# მიდიან და მიდიან

ხვალ, 2 დეკემბერს, დინამოელები — გიორგი კიკნაძე, ლევან ხომერიკი და ლ... ცქიტიშვილი ბელგიაში გაემგზავრებიან. მათ „რასინგ მეხელენი" ელის, რომე... ბელგიის მესამე დივიზიონში ცოდვილობს.

ფეხბურთელები ბელგიაში 20 დეკემბრამდე დაყოფენ. მერე საახალწლო არდ... გებს შინ, თბილისში, გაატარებენ და 4 იანვარს კვლავ ახალ კლუბში გაემგზავრ...

ეს პირველი ვიზიტი, როგორც გავიგეთ, საკონტრაქტო პირობების საბოლ... დასახვეწად და შესათანხმებლად სჭირდებათ ფეხბურთელებს.

ჩვენებურთა სავარაუდო კლუბი მართლა ქართველებს შეუსყიდიათ, მაგრამ ეს... კლუბი არაა, რომელშიც რევაზ არველაძე თამაშობდა და თავის დროზე თასების ... ფლობდა. სხვათა შორის, არც დავით ყიფიანი ყოფილა „რასინგ მეხელენის" მწვრთნ... არამედ, ჯერჯერობით მხოლოდ კონსულტანტია.

# მივიდეთ, იქნებ მოგვცე...

საქართველოს ჩემპიონატის პირველი წრე დამთავრდა და შესვენებაც გამოცხა... თუმცა გუნდების უმეტესობას ფეხბურთელები შვებულებაში ჯერაც არ გაუშვია... ბევრი კლუბი ვარჯიშს აგრძელებს. ბევრიც სხვადასხვა მიზეზით იკრიბება.

რუსთავის „გორდას" ფეხბურთელები „ფოლადზე" დაპირებული ხელფასების მი... ბის იმედად დაიარებიან, თუმცა ამაოდ — მათთვის ფულის მიმცემი არავინ არ... გუნდის მომავალი გაურკვეველია. ბევრ ფეხბურთელს „გორდას" დატოვება გადაუ... ვეტია, მეორე წრეში უმეტესობას, ალბათ, ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კლუბშიც ვ... ლავთ. რამდენიმე მოთამაშეს კი საზღვარგარეთ წასვლაზე უჭირავს თვალი და მ... საკითხიც ახალ წლამდე გაირკვევა. საუბარი იყო ტრავმამოშუშებული გიორგი კილა... ნიას დაბრუნებაზე, მაგრამ თუ „გორდას" ფინანსური სიდუხჭირე კვლავაც გაგრძ... ჯერჯერობით კი საქმეს ასეთი პირი უჩანს, ვინძლო რუსთაველებმა თავიანთი ლი... რი ვალერი კილასონიაც დაკარგონ, მისი შეძენით კი საქართველოს ბევრი კლუბია ... ინტერესებული. მოკლედ, „გორდას" პრობლემები არ აკლია და თუ ისინი დროზე ... მოგვარდა, ძნელი სათქმელია, როგორ შეხვდება ერთ დროს ბრინჯაოს მედალოს... გუნდი საქართველოს ჩემპიონატის მეორე წრეს.

**ბაატა ძვანტალია...**

# ო, პორტო, პორტო...

თბილისის „დინამოსა" და ფოთის „კოლხეთს" შორის მეექვსე ტურის გადადებუ... შეხვედრა შეიძლება არც კი გამართულიყო, მაგრამ ჩატარდა და ამაში წვლილი ... „კოლხეთის" პრეზიდენტმა დაიდო. რომ არა ხაინდრავას თხოვნა, ფოთელი ფეხბ... თელები არც კი აპირებდნენ თბილისში ჩამოსვლას. მიზეზი — არახალი და ქართუ... ფეხბურთისთვის ქრესტომათიული — უფულობა. როგორც კოლხმა ფეხბურთელ... გვითხრეს, უკვე საკმაო ხანია, პრემიები არ აუღიათ და არც საკონტრაქტო ფუ... გადაუხდიათ მათთვის ბოლომდე.

არადა, ფოთში ხომ ზღვაა, ზღვაზე კი პორტი. პორტი ყველგან შემოსავ... წყაროა (ჩვენშიც) და საკვირველია, რად აიღო ფოთის პორტმა შვილობილ „კოლ... თზე" ხელი?

**კონსტანტინე გოგიშვილ...**

# რა ღირს დავით ჯანაშია?

„ტორპედოს" ლიდერი დავით ჯანაშია ამ ბოლო ხანს სერიოზული ინტერესის საგნად იქცა. ხმები აგორდა, ჯანაშია მხოლოდ მაშინ დარჩება ქუთაისში, თუ მისთვის მისაღებ თანხას შესთავაზებენო. ისიც ითქვა, რომ შეიძლება დავით ჯანაშია „დინამოშიც" ვიხილოთ. ეჭვები უფრო გაძლიერდა, როცა „დინამო" — „კოლხეთის" მატჩისას ქუთაისელი ტრიბუნაზე გამოჩნდა. ჯანაშიათი არაერთი ქართული კლუბია დაინტერესებული და უეჭველად მორიგი აუქციონი გველის, რომელშიც ის გაიმარჯვებს, ვისაც სხვებზე ძვირად უღირს ჯანაშია.



# შეჩერდი, წამო...
# თემურ მახარაძეს გულმა უგრძნო

შეჩერდი, წამო, შენ მშვენიერი ხარ! ეჰ, ვისთვის როგორ? ერთი რამ ცხადი იყო, თბილისის „ლოკომოტივის" თავკაცმა თემურ მახარაძემ დროის დაბრუნება ინატრა, — ბევრით არა, მხოლოდ ერთი წამით...

თბილისი. ფეხბურთის ფედერაცია. 30 ნოემბერი. პირველი თოვლი. 12 საათი და 22 წუთი. თემურ მახარაძე ნელი ნაბიჯებით უახლოვდება ლოტოტრონს, შიგ ექვსი კაფსულა ყრია. ფედერაციის საშეჯიბრო განყოფილების უფროსი ბადრი ქარქაშაძე ლოტოტრონს ატრიალებს. მახარაძე არ ჩქარობს. იგი ქარქაშაძის მოქმედებას იმეორებს და კაფსულების მოძრაობას თვალს არ აშორებს. შემდეგ ერთი კაფსულა ამოაქვს. მის შიგთავსში ქაღალდია, რომელზეც ერთი ციფრი წერია. „ლოკომოტივი" — №1, ისმის არც ისე ხმამაღლა. ოთახში ჩურჩული იწყება — ეს ხომ „ბათუმის" მეტოქეობას ნიშნავს. ზოგს ეღიმება, ზოგი თავს ხრის. მერვედფინალში „დინამოს" მძლეველი მახარაძის გუნდი მეოთხედფინალში თასისა და სუპერთასის მფლობელ „ბათუმს" დაეჯახება...

სათასო კენჭისყრა უცერემონიოდ, მაგრამ საქმიან ვითარებაში ჩატარდა.

სფფ-ს პრეზიდენტის კაბინეტში ხალხმრავლობა იყო. თავიდან ბადრი ქარქაშაძემ გვამცნო, ეროვნული ნაკრების სავარაუდო მატჩებთან დაკავშირებით ჯერჯერობით უცნობია მეოთხედფინალური შეხვედრების ჩატარების თარიღი, ეგ კი არა, შეიძლება ჩემპიონატის მეორე წრე ჩვეულ დროზე ადრე დავიწყოთო.

აქ კი „ტორპედოს" პრეზიდენტმა მიხეილ ქორქიამ ითხოვა სიტყვა — მაქსიმუმ ამ კვირის ბოლოს უნდა ვიცოდეთ, თუ როდის განახლდება გათამაშება, რადგან თებერვლის მეორე ნახევარში გუნდი ორკვირიან შეკრებაზე მიმყავს ესპანეთში და უცხოელ პარტნიორებს ყველაფერი წინასწარ უნდა შევუთანხმოო. იგივე მოითხოვა „სამგურალის" მწვრთნელმა გაიოზ დარსაძემ, რომელსაც თურქეთში, კერძოდ, ანთალიაში დაუგეგმავს ოცდღიანი ტურნე.

ამის შემდეგ ქარქაშაძემ ჩვენ მოგვმართა, ერთ-ერთი ჟურნალისტი მობრძანდით და კაფსულები ლოტოტრონში ჩაყარეთ, კარგად დათვალეთ და მერე ისიც ნახეთ, რომელია ცივიო — იხუმრა საშეჯიბრო განყოფილების უფროსმა.

კენჭისყრის პრინციპი მარტივი იყო. ლოტოტრონთან გუნდების წარმომადგენლები რიგ-რიგობით მიდიოდნენ. დანომრვა კი შემდეგნაირად მოხდა. „ბათუმს", როგორც შარშანდელი თასის გათამაშების გამარჯვებულს, 1 ერგო, დანარჩენები კი მეათე ეროვნულის I წრის შედეგების მიხედვით განლაგდნენ: „ტორპედო" — 2, „ლოკომოტივი" — 3, „არსენალი" — 4, „მერანი" — 5, „გორდა" — 6, „ვიტ ჯორჯია" — 7, „სამგურალი" — 8.

კენჭისყრის შემდეგ 1 შეუწყვილდებოდა 2-ს, 3 — 4-ს, 5 — 6-ს, 7 — 8-ს.

ვისაც კენტი ციფრი შეხვდებოდა, მისი გუნდი პირველ მეოთხედფინალურ შეხვედრას შინ ჩაატარებდა.

პირველად „ბათუმის" ადმინისტრატორმა მალხაზ ჩიჩუამ სცადა ბედი. მას ორიანი ერგო. შემდეგ „ტორპედოს" ვიცეპრეზიდენტმა დიმიტრი რამიშვილმა გააკეთა არჩევანი და 3-ნომრიანი კაფსულა ამოიღო.

გაირკვა, რომ „ბათუმი" და „ტორპედო" მეოთხედფინალში ერთურთს განერიდებოდნენ, მაგრამ რჩებოდა „ლოკომოტივი", რომელთან პაექრობაც, დაგვეთანხმებით, გასაგებ მიზეზთა გამო ბევრს ხელს არ აძლევდა. როგორც ზემოთ გითხარით, რკინიგზელთა თავკაც თემურ მახარაძეს ერთიანი ერგო...

საბოლოოდ კი გუნდები ასე დაწყვილდნენ: „ლოკომოტივი" — „ბათუმი", „ტორპედო" — „გორდა", „ვიტ ჯორჯია" — „სამგურალი", „არსენალი" — „მერანი".

კენჭისყრის შემდეგ კლუბების წარმომადგენლებს გავესაუბრეთ:

*„ლოკომოტივის" თავკაცი თემურ მახარაძე* ძალიან ჩქარობდა: კარგი იქნებოდა, სხვა გუნდი შეგვხვედროდა, მაგრამ რას ვიზამთ. გპირდებით, რომ „ბათუმს" ღირსეულად შევებრძოლებით.

*მალხაზ ჩიჩუა, „ბათუმის" ადმინისტრატორი:* უკმაყოფილო ნამდვილად არ ვარ. ჩვენი გუნდი სათასო მატჩებში ყოველთვის ძლიერად თამაშობს და „ბათუმის" მომავალი წარმატებისაც მჯერა.

*მიხეილ ქორქია, „ტორპედოს" პრეზიდენტი:* კენჭისყრის შედეგით კმაყოფილი ვარ.

*ჯემალ მახარაშვილი, „ვიტ ჯორჯიას" მწვრთნელი:* ყოველივეს ნორმალურად ვაფასებ. უთუოდ კარგი თამაშების მომსწრენი გავხდებით.

*სერგო გაბელაია, „მერანის" თავკაცი:* მეტად საინტერესო წყვილში მოვხვდით. ორივე თბილისის გუნდებია და შორს წასვლა არ დაგვჭირდება. ყველაფერი კი იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ გავივლით მოსამზადებელ ეტაპს ჩვენც და „არსენალიც". პროგნოზისგან თავს შევიკავებ.

წესით და რიგით კენჭისყრის შედეგით ყველაზე კმაყოფილი *„სამგურალის" თავკაცი გაიოზ დარსაძე* უნდა დარჩენილიყო. ჰქონდა კიდეც ამის საფუძველი — წყალტუბოელთათვის „ვიტ ჯორჯია", „ბათუმზე" და „ტორპედოზე" და თუნდაც, „ლოკომოტივზე" გაცილებით უკეთესი ვარიანტი იყო, თუმცა ჩვენთან საუბარში „სამგურალის" თავკაცს კმაყოფილება სულაც არ გამოუხატავს, პირიქით, გარკვეულწილად თავიც კი დაიზღვია:

— რეალურად თუ ვიმსჯელებთ, ჩვენი საფეხბურთო ცხოვრებიდან გამომდინარე, „ვიტ ჯორჯია" ერთ-ერთი პერსპექტიული გუნდია, არამარტო ფეხბურთელებით, არამედ ხელმძღვანელებითაც. ალბათ, გეხსომებათ, პირველ წრეში მათთან დავმარცხდით, თანაც პირწმინდად. თასზე თ... მაშისას არავითარი ამბიცია არ გვ... ჩნდა, ჩვენი მიზანი ამ ეტაპზე მეტი გა... ცდილებისა და სათამაშო პრაქტიკის მ... ლებაა. ცაში არ დავფრინავთ და არარ... ლურს არაფერს ვებღაუჭებით. ვიმეო... ძალიან კარგია, რომ პირველობის გან... ლების წინ ფეხბურთელების გამოცდ... და გუნდის შეთამაშების კარგი საშუა... ბა გვექნება.

გაიოზ დარსაძისგან განსხვავებით, ერ... შეხედვით უიმედო მდგომარეობაში მ... ფი გუნდის თავკაცი საკმაოდ თავდაჯ... რებული ჩანდა. *იასონ ალადაშვილი, „გო... რდას" მთავარი მწვრთნელი:* მერე რა, რ... ქუთაისის „ტორპედო" გვერგო. პირობ... გაძლევთ, გუნდი იქ საბრძოლველად წა... და მაქსიმუმის მიღწევას შეეცდება. უი... დო მწვრთნელი არ არსებობს, ასე რო... ხელი ნამდვილად არ ჩამიქნევია, მეტ... შევეცდებით ქუთათურებს პირველ წრ... ში 1:7 ჩვენი შერცხვენა ერთი-ორად ვ... ღვევინოთ.

*მამუკა გეგეჭკორი, „არსენალის" მთ... ვარი მწვრთნელი:* თასის გათამაშება... სუსტი მეტოქე არ არსებობს. ყველა გუ... ნდი ცდილობს, რომ მაქსიმალურად მე... ეტაპი დაძლიოს. სიმართლე გითხრათ, ნ... ბისმიერ მეტოქესთან შესახვედრად მზა... გახლდით: კენჭისყრის შედეგით კმაყოფი... ლი ვარ, მაგრამ დიდი მნიშვნელობა აქ... იმას, თუ როგორ იქნება გუნდი მზად კ... ნკრეტულად იმ პერიოდისთვის. ვიცი, რო... საკმაოდ ბრძოლისუნარიანი მეტოქე გვ... რგო და ადვილად არაფერს დაგვთმობ... ერთიც არის გასათვალისწინებელი, რო... ცა გუნდი ჩემპიონატში დაბალ საფეხუ... ზეა, თასის გათამაშებაში მაქსიმალურ... ცდილობს თავის წარმოჩენას. ასე რომ... წინასწარ არაფრის თქმა არ შემიძლია...

**ხვიჩა სანიძე...**
**ბაატა ძვანტალია...**

# უქვირფასესი, მაგრამ დასჯილი

## ინგლისი

XV ტური

### ნიუკასლი 3:1 უიმბლდონი

0:1 გეილი (34), 1:1 სოლანო (38), 2:1, 3:1 ფერგიუსონი (59, 90)
ნიუკასლი: გივენი (ჰარპერი 45), ბარტონი, ჰოუი, შარვე, ჰიუზი, ჰამანი, გლასი (სოლანო 26), სპიდი, გილესპი, ფერგიუსონი, ანდერსონი
უიმბლდონი: სალივანი, კანინჰემი, პერი, ბლექველი, თეთჩერი, კენედი (ერდლი 45), ერლი, ეინსვორსი (რობერტსი 77), გეილი, იუელი, ლიბერნი (ეკოკუ 45)
გაფრთხილება: ჰამანი
მსაჯი: რენი

### ნოტინგემი 2:2 ასტონ ვილა

1:0 ბარტ-უილიამსი (32), 2:0 ფრიდმენი (44), 2:1, 2:2 ჯოაკიმი (58, 63)
ნოტინგემი: ბიზანტი, ქუეში, ჩეტლი, ჰილდე, სტოუნი, ჯემილი (ჯონსონი 77), ბარტ-უილიამსი, ფრიდმენი (დარშევილი 84), არმსტრონგი, ბონალერი, ვან ჰოიდონკი
ასტონ ვილა: ოუქსი, რაიტი, საუთგეიტი, ეჰიოგუ, უოტსონი, ტეილორი, მერსონი (ტომპსონი 45), ჯოაკიმი, დაბლინი, ბერი, ჰენდრი
გაფრთხილება: ჯემილი, ვან ჰოიდონკი, ბარტ-უილიამსი, ქუეში, საუთგეიტი, ჰენდრი
მსაჯი: უილარდი

### ვესტ ჰემი 2:1 ტოტენჰემი

1:0, 2:0 სინკლერი (39, 46), 2:1 არმსტრონგი (72)
ვესტ ჰემი: ჰისლოპი, რადოკი, ფერდინანდი, პირსი, ლომასი, ბერკოვიჩი (პოტსი 40), ლამპარდი, სინკლერი, ლაზარიდისი, კიტსონი, ჰართსონი
ტოტენჰემი: ბაარდსენი, კარი, იანგი, კემპბელი, სინტონი, ნილსენი, ანდერტონი, კლემენსი (ფოქსი 67), ივერსენი, არმსტრონგი, ჟინოლა
გაფრთხილება: კიტსონი, პოტსი, ივერსენი, სინტონი
მსაჯი: გალაჰერი

### ჩარლტონი 1:2 ევერტონი

0:1 კადამარტერი (45), 1:1 კინსელა (72), 1:2 კადამარტერი (73)
ჩარლტონი: ილიჩი, მილსი, პაუელი, რედფირნი, რუფუსი, იუდსი, კინსელა, ჰანტი, მენდონკა, მორტიმერი (ნიუტონი 67), ტილერი (ს. ჯონსი 46)
ევერტონი: მირე, ბოლი, უოტსონი (მატერაცი 45), ანსუორსი, კოლინზი, ჰაჩისონი, შორტი, გრანტი (ოსტერი 83), ბაკაიოკო (კლილენდი 90), დანი, კადამარტერი
გაფრთხილება: ოსტერი
მსაჯი: ბერგი

### ლივერპული 2:0 ბლექბერნი

1:0 ინსი (30), 2:0 ოუენი (33)
ლივერპული: ჯეიმსი, სტონტონი (კვარმე 75), ბები, ფაულერი, ოუენი, რედნაპი, ჰეგემი (ჟერარდი 90), ბერგერი, ინსი, ბიორნებიუ, კარაგერი
ბლექბერნი: ფილანი, კენა, დევიდსონი, ენჩოსი, გალაჰერი, დაფი, ბლეიქი, მარკოლინი, ჯონსონი (დეივისი 87), დეილი, დანი
გაფრთხილება: სტონტონი, დევიდსონი
მსაჯი: უინტერი

### არსენალი 1:1 მიდლსბრო

0:1 დინი (6), 1:1 ანელკა (89)
არსენალი: სიმენი, დიქსონი, უინტერბერნი (ვივასი 27), ბოულდი, ლიუნგბერგი (კაბალერო 74), ანელკა, ოვერმარსი, ვრე (ბოა მორტე 63), კიოუნი, პარლოუ, გარდე
მიდლსბრო: შვარცერი, ფლემინგი, გორდონი, ვიკერსი, პალისტერი, მასტო, გესქოინი (მედისონი 66), დინი (სამერბელი 90), თაუნსენდი, რიკარდი (ბეკი 59), კუპერი
გაფრთხილება: ბოულდი, გარდე, კუპერი, გესქოინი
მსაჯი: ბარბერი

### ჩელსი 1:1 შეფილდი

1:0 ძოლა (27), 1:1 ბუსი (67)
ჩელსი: დე გუი, ბაბაიარო, ლებეფი, დესაი, გოლდბეკი (პეტრესკუ 77), პოიეტი, ლე სო, დი მატეო (მორისი 77), ფერერი, ფლო, ძოლა
შეფილდი: სრნიჩეკი, აზერტონი, იონკი, უოქერი, კარბონე, ბუსი (ჰემფრიზი 90), ჰინჩკლიფი, ტომი, რუდი, ალექსანდერსონი, სონერი (მეჯილტონი 87)
გაფრთხილება: ლებეფი, დესაი, სონერი, ბუსი
მსაჯი: ბერი

### ქოვენთრი 1:1 ლესტერი

1:0 ჰაკერბი (78), 1:1 ჰესკი (89)
ქოვენთრი: ჰედმანი, ნილსონი, ედვორსი, უილიამსი, შოუ, მაკალისტერი, ტელფერი, კლემენტი (ბოტენგი 31), ფროგატი, ჰაკერბი, სოლტვედტი
ლესტერი: კელერი, სინკლერი, უოლში, ელიოტი, დაპი, ალსორნი, იზეტი, ლენონი, იმპეი, ჰესკი, ფენტონი (სევიჯი 73)
გაფრთხილება: ჰაკერბი, ფროგატი, ტელფერი, სინკლერი, იზეტი
გაძევება: სინკლერი (47)
მსაჯი: რილი

### საუთჰემპტონი 0:1 დერბი

0:1 კარბონარი (33)
საუთჰემპტონი: ჯონსი, ჰილი, ბენალი, პალმერი, დოდი, მონკი, რიპლი (ბრიჯი 37), ოუკლი, ჰიუზი, ბიტი, კეჩლოული (ბეშემი 79)
დერბი: პოომი, დელაპი, დორიგო, ლაურსენი, კარბონარი, პრაიორი, კერსლი, ბოჰინენი (ჰარპერი 67), პაუელი, ვანჩოპე, სტარიჯი (ბარტონი 84)
გაფრთხილება: ბიტი, ოუქლი, პალმერი, კარბონარი, ლაურსენი
მსაჯი: ლოჯი

### მანჩესტერი 3:2 ლიდსი

0:1 ჰასელბაინკი (29), 1:1 სოლსკიაერი (45), 2:1 კინი (46), 2:2 კიუელი (52), 3:2 ბათი (77)
მანჩესტერი: შმაიხელი, გ. ნევილი, სტამი (ბერგი 79), ბათი, კოული (გიგზი 64), ფ. ნევილი, კინი, სქოულზი (შერინგემი 72), იორკი, სოლსკიაერი, ბრაუნი
ლიდსი: მარტინი, (რობინსონი 45), ჰაალანდი, ჰასელბაინკი, [illegible] (სმიტი 85), ჰოპკინი, ჰალე, კიუელი, ჰარტი, ჰიდენი (ვეზეროლი 25), ვუდგეიტი, მაკფეილი
გაფრთხილება: ფ. ნევილი, რიბეირო, ჰაალანდი
მსაჯი: პოლი

პრემიერლიგის ერთ-ერთ წინა მიმოხილვაში ვწერდით, ეს ჯონ გრეგორი რა ჭკვიანი კაცია, მანჩესტერელებს დუაიტ იორკი 20 მილიონ დოლარად მიჰყიდა, შემდეგ „ქოვენთრიდან" 3 მილიონად დიონ დაბლინი შეიძინა, 17 მილიონიც შეიტყაპუნა და დაბლინიც იორკის დარად ბრწყინავსო. ეს მართლაც ასეა, მაგრამ მარტო გრეგორი არ ყოფილა ჭკვიანი, გამჭრიახობითა და ინტუიციით თურმე მისი კოლეგა რუდ გულიტიც დაიკვეხნის.

ყველაფერი მას შემდეგ დაიწყო, რაც ინგლისის ნაკრების კაპიტანმა ალან შირერმა „ნიუკასლ იუნაიტედში" თავისი დარჩენა-არდარჩენის საკითხი დასვა. „ჯორდებს" მძიმე დრო უდგათ და უშირეროდ ყოფნა მათთვის არცთუ ნათელი პერსპექტივაა. ჰოდა, ადგა გულიტი, მიიხედ-მოიხედა და თვალი ახმახ სქოთ დანკან ფერგიუსონს დაადგა. მოლაპარაკებები დაიწყო და მალევე დასრულდა — ფერგიუსონის სანაცვლოდ „ევერტონმა" „ნიუკასლისგან" 8 მილიონი გირვანქა (13, 25 მილიონი დოლარი) მიიღო. ასე აღმოჩნდა თავით ბრწყინვალედ მოთამაშე დანკანი თემურ ქეცბაიას კლუბში.

შაბათს ფერგიუსონის დებიუტი შედგა ახალ გუნდში. შედგა სრული ტრიუმფით — მან ორი ძალიან მნიშვნელოვანი გოლი გაუტანა „უიმბლდონს" და კრიზისსა და ცხრილის შუაგულში მყოფ ნიუკასლელებს ნანატრი გამარჯვება აჩუქა. ანუ გააკეთა ის, რის გაკეთებასაც შირერი კარგა ხანს ამაოდ ცდილობდა.

არადა, „სენტ ჯეიმსიზ პარკზე" შეხვედრა ტრადიციულად დაიწყო, ანგარიში სტუმრებმა გახსნეს — მარკუს გეილმა ივარგა. ზუსტად ოთხ წუთში სტადიონზე შეკრებილმა 36 623-მა ქომაგმაც გაიხარა: პერუელი ნოლბერტო სოლანოს დარტყმა უნაკლო გახლდათ. ტაიმიც ასე დასრულდა 1:1.

აი, მეორე ნახევარი მთლიანად ფერგიუსონის გახლდათ. შოტლანდიელმა ფორვარდმა ჯერ 59-ე წუთზე დააწინაურა ახალი თანაგუნდელები, შემდეგ კი, როდესაც უკვე 90-ე წუთი მიმდინარეობდა, ჩვეულად დაჰკრა ბურთს თავი და ნიუკასლელთა გმირადაც იქცა.

ერთი სიტყვით, ფერგიუსონმა გულიტსაც გაუმართლა და „ნიუკასლის" ფანებსაც იმედი ჩაუსახა, რომ გუნდი გამოცოცხლდება და შარშანდელის მსგავსად სამარცხვინო საქმისთვის, პრემიერლიგაში ადგილის შენარჩუნებისთვის აღარ იბრძოლებს.

ახლა ლიდერებზე. „ასტონ ვილა" ნელნელა თმობს პოზიციებს. მართალია, გრეგორის შეგირდები კვლავ ზევიდან დაჰყურებენ ყველას, მაგრამ ბირმინგემელთა ბოლო მატჩების შემყურე ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ეს დროებითია.



REUTERS მანჩესტერიდან

მანჩესტერი — ლიდსი. ნიკი ბათი (მარჯვნივ) და დევიდ ვეზეროლი ერთმანეთს ჰაერშიც არაფერს უთმობდნენ

ამჯერად ლიდერებმა ორი ქულა დაკარგეს, თანაც მაჩანჩალა „ნოტინგემთან", მაგრამ ისინი ღმერთს და ჯულიან ჯოაკიმს უნდა უმადლოდნენ, რომ დღეს პირველ საფეხურზე იმყოფებიან.

შეხვედრა ნოტინგემის „სიტი გრაუნდზე" გაიმართა და შესვენებაზე გუნდები მაშინ გავიდნენ, ყველასათვის მოულოდნელად, მასპინძლები 2:0-ს რომ იგებდნენ. თავი ჯერ კრის ბარტ-უილიამსმა გამოიჩინა, შემდეგ დაგი ფრიდმენმა. მაგრამ უმაღლეს დივიზიონში წლეულს ამობრძანებულ ნოტინგემელებს ბოლომდე სიხარული მაინც არ დასცალდათ, უფრო სწორად, ტანმორჩილმა ჯოაკიმმა არ აცალა, რომელმაც დისკვალიფიცირებული სტენ კოლიმორის და მოედანზე მყოფი პრემიერლიგის ბომბარდირის დიონ დაბლინის საქმე ერთად გააკეთა და ბიზანტის კარი ორჯერ დალაშქრა — სულ რაღაც ხუთწუთიან მონაკვეთში. ამის შემდეგ საინტერესო და განსაკუთრებული აღარაფერი მომხდარა და გუნდებმაც თითო ქულა ჩაიჯიბეს. სხვათა შორის, წინა ტურში მაიკლ ოუენის შეურაცხმყოფელი და ამისთვის დასჯილი კოლიმორი ადრე „ნოტინგემ ფორესტის" ღირსებას იცავდა. ამ კლუბმა ისტორიაში ყველაზე დიდი თანხა სწორედ მისი გაყიდვის შემდეგ აიღო — 1995 წელს „ლივერპულმა" კოლიმორის სანაცვლოდ იმ დროისთვის მართლაც ასტრონომიული თანხა — 8,5 მილიონი გირვანქა გადაიხადა. შემდეგ „ლივერპულმაც" გაყიდა ეს ბიჭი, ასევე სარეკორდო თანხად და „ასტონ ვილამაც" მასში იქამდე არნახული ფული გაიღო. მოკლედ, კოლიმორს თავისუფლად შეიძლება „ადამიანი — რეკორდი " ვუწოდოთ და ვინ იცის, ამ შავკანიან ფორვარდს ნერვების მოთოკვაც ისე კარგად რომ შეეძლოს, როგორც ფეხბურთის თამაში, იქნებ დღეს „ასტონ ვილასა" და „მანჩესტერ იუნაიტედს" შორის სხვაობა კვლავ სამი ქულა ყოფილიყო.

თუმცა „იქნებ" და „რომ" ფეხბურთში რომ არ არსებობს, ყველას კარგად მოეხსენება, მათ შორის ალექს ფერგიუსონსაც, ვისმა გუნდმაც კვირას ბოლო დროს გაყოყოჩებულ „ლიდსს" მოუგო, თანაც „კამპ ნოუზე" გადატანილი უმძიმესი ბრძოლის შემდეგ და ახლა სანუკვარი პირველი ადგილისგან სულ ერთი ნაბიჯი აშორებს.

„ოლდ ტრეფორდზე" გამართული ეს მატჩი მასპინძლებისთვის ძალიან მძიმე გამოდგა, ისინი თავიდან აგებდნენ კიდეც, მაგრამ „მანჩესტერმა" მხოლოდ უმაღლესი კლასის გუნდებისთვის დამახასიათებელი ნებისყოფა გამოავლინა და დამსახურებული სამი ქულაც მიიღო. მეტად საჭირო ქულები.

— „ბარსელონასთან" შეხვედრამ ძლიერ გადაგვღალა, მაგრამ ბიჭების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ გამონახეს ძალები და ჩინებულად მოთამაშე „ლიდსს " მაინც აჯობეს. თავიდან ცოტა გაგვიჭირდა, თუმცა მერე ჩვეულად გავისარჯეთ. ვფიქრობ, დამსახურებულად მოვიგეთ. ეს გამარჯვება იმითაც არის მნიშვნელოვანი, რომ ნოტინგემში „ასტონ ვილამ" ქულები დაკარგა და მიახლოების საშუალება მოგვცა. ჩვენც გამოვიყენეთ ეს შანსი — ფერგიუსონის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა.

ლიდერებს უკან ლონდონური, ძალიან მძლავრი არმია ამოუდგა — „ვესტ ჰემი", „არსენალი" და „ჩელსი".

„ჩაქუჩებმა" „ტოტენჰემ ჰოთსფურს" ჩაუკაკუნეს და ასე აღმოჩნდნენ საპატიო მესამე ადგილზე. ამ შეხვედრაში კიდევ ერთმა ფეხბურთელმა — ტრევორ სინკლერმა შეასრულა დუბლი და „ვესტ ჰემის" თავკაცის ჰარი რედნაპის ქება-დიდებაც დაიმსახურა:

— მეტოქემ დიდი წინააღმდეგობა გაგვიწია, მაგრამ დღეს ტრევორი შეუდარებელი იყო, რისთვისაც მადლობას ვუხდი. ამასთანავე არ მინდა, ვინმეს ეგონოს, თითქოს ამჟამინდელი მესამე ადგილით ეიფორიაში ვიყოთ — ჩვენ ძალიან დიდი და სერიოზული მიზნები გვაქვს — დაიქუხა რედნაპმა.

„ვესტ ჰემს" კუდში გაუბედურებული ჩემპიონი მისდევს, რომელიც ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ტურნირის დაძლევის იმედს უკვე გამოემშვიდობა და ვერც პრემიერლიგის შეხვედრებში ახარებს თავის გულშემატკივარს.

ბოლო ტურში „მეთოფეები" 89-ე წუთამდე აგებდნენ შინ გაზას „მიდლსბროსთან" და მათ კვლავ ჭაბუკმა ანელკამ უშველა. ახალგაზრდა ფრანგს ის გოლი რომ არ გაეტანა, სტუმრები „ჰაიბერიზე" 1939 წლის შემდეგ პირველად მოიგებდნენ და შეიძლება არსენ ვენგერი უმუშევრადაც კი დაეტოვებინათ, მაგრამ „არსენალის" დამრიგებელს კიდევ ერთხელ (იქნებ ბოლოჯერ) უშველა 19 წლის თანამემამულემ.

ლონდონურ ტრიოს „ჩელსი" ასრულებს. „არისტოკრატებს" პრემიერლიგაში ჯერჯერობით ყველაზე ცოტა, 13 მატჩი აქვთ გამართული და ჩემპიონობისთვის ამაყად იბრძვიან. ვიალის შეგირდებს შინ „შეფილდისთვის" რომ მოეგოთ, დღეს მათ ამბიციებს იქნებ საზღვარი აღარ ჰქონოდა, მაგრამ ის მატჩი „ჩააგდეს" და ცხრილის ძირში მოყურყუტე მეტოქესთან ქულები უდროოდ გაიყვეს ძმურად. მიუხედავად ამისა, თასების თასის მფლობელნი კვლავაც ჩემპიონობის რეალურ კანდიდატებად რჩებიან.

ასეთი ამბებია ცხრილის ზედა ნაწილში, სადაც მალე შეიძლება კვლავ ვიხილოთ „ლივერპული". „მერსისაიდელებმა" ამჯერად საშინელ დღეში მყოფ „ბლექბერნს" უმასპინძლეს და იოლად აჯ[illegible]. ერთი გოლი სტუმრებს შერეკილმა [illegible]ინსმა გაუტანა, ერთიც ყმაწვილმა ოუენმა, ვისაც კარგა ხანია, პრემიერლიგურ მატჩებში ბურთი აღარ შეუგდია. 1995 წლის ინგლისის ჩემპიონები კი, დიდი შანსია, სეზონის ბოლომდე იქვე დარჩნ[illegible] სადაც დღეს იმყოფებიან და გაისად [illegible]ერესთა შორის დასაბრუნებლად [illegible]ით ბრძოლა.

დავით ძო[illegible]რიძე

| № | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | ასტონ ვილა | 14 | 8 | 5 | 1 | 22:12 | +10 | 29 | 7 | 5 | 1 | 1 | 13:8 | +5 | 16 | 7 | 3 | 4 | 0 | 9:4 | +5 | 13 |
| 2 | მანჩესტერი | 14 | 8 | 4 | 2 | 30:16 | +14 | 28 | 8 | 6 | 2 | 0 | 21:8 | +13 | 20 | 6 | 2 | 2 | 2 | 9:8 | +1 | 8 |
| 3 | ვესტ ჰემი | 15 | 7 | 5 | 3 | 20:16 | +4 | 26 | 8 | 4 | 3 | 1 | 12:9 | +3 | 15 | 7 | 3 | 2 | 2 | 8:7 | +1 | 11 |
| 4 | არსენალი | 15 | 6 | 7 | 2 | 15:7 | +8 | 25 | 8 | 4 | 4 | 0 | 11:3 | +8 | 16 | 7 | 2 | 3 | 2 | 4:4 | 0 | 9 |
| 5 | ჩელსი | 13 | 6 | 6 | 1 | 22:13 | +9 | 24 | 7 | 4 | 3 | 0 | 11:4 | +7 | 15 | 6 | 2 | 3 | 1 | 11:9 | +2 | 9 |
| 6 | ლიდსი | 15 | 5 | 8 | 2 | 22:14 | +8 | 23 | 7 | 4 | 2 | 1 | 10:3 | +7 | 14 | 8 | 1 | 6 | 1 | 12:11 | +1 | 9 |
| 7 | მიდლსბრო | 15 | 5 | 8 | 2 | 24:17 | +7 | 23 | 7 | 3 | 4 | 0 | 12:5 | +7 | 13 | 8 | 2 | 4 | 2 | 12:12 | 0 | 10 |
| 8 | ლივერპული | 15 | 6 | 4 | 5 | 26:19 | +7 | 22 | 8 | 3 | 3 | 2 | 15:10 | +5 | 12 | 7 | 3 | 1 | 3 | 11:9 | +2 | 10 |
| 9 | დერბი | 15 | 5 | 6 | 4 | 15:14 | +1 | 21 | 7 | 2 | 3 | 2 | 6:6 | 0 | 9 | 8 | 3 | 3 | 2 | 9:8 | +1 | 12 |
| 10 | უიმბლდონი | 15 | 5 | 5 | 5 | 19:25 | -6 | 20 | 7 | 3 | 3 | 1 | 11:8 | +3 | 12 | 8 | 2 | 2 | 4 | 8:17 | -9 | 8 |
| 11 | ნიუკასლი | 15 | 5 | 4 | 6 | 19:19 | 0 | 19 | 8 | 4 | 2 | 2 | 13:10 | +3 | 14 | 7 | 1 | 2 | 4 | 6:9 | -3 | 5 |
| 12 | ტოტენჰემი | 15 | 5 | 4 | 6 | 19:23 | -4 | 19 | 7 | 3 | 2 | 2 | 11:12 | -1 | 11 | 8 | 2 | 2 | 4 | 8:11 | -3 | 8 |
| 13 | ლესტერი | 15 | 4 | 6 | 5 | 16:18 | -2 | 18 | 7 | 3 | 2 | 2 | 9:8 | +1 | 11 | 8 | 1 | 4 | 3 | 6:9 | -3 | 7 |
| 14 | ევერტონი | 15 | 4 | 6 | 5 | 10:15 | -5 | 18 | 7 | 1 | 4 | 2 | 2:5 | -3 | 7 | 8 | 3 | 2 | 3 | 8:10 | -2 | 8 |
| 15 | ჩარლტონი | 15 | 3 | 7 | 5 | 22:23 | -1 | 16 | 7 | 2 | 3 | 2 | 13:8 | +5 | 9 | 8 | 1 | 4 | 3 | 9:15 | -6 | 7 |
| 16 | შეფილდი | 15 | 4 | 4 | 7 | 14:15 | -1 | 16 | 7 | 3 | 2 | 2 | 7:3 | +4 | 11 | 8 | 1 | 2 | 5 | 7:12 | -5 | 5 |
| 17 | ქოვენთრი | 15 | 4 | 3 | 8 | 13:21 | -8 | 15 | 8 | 3 | 2 | 3 | 9:10 | -1 | 11 | 7 | 1 | 1 | 5 | 4:11 | -7 | 4 |
| 18 | ნოტინგემი | 15 | 2 | 5 | 8 | 12:24 | -12 | 11 | 8 | 1 | 4 | 3 | 6:9 | -3 | 7 | 7 | 1 | 1 | 5 | 6:15 | -9 | 4 |
| 19 | საუთჰემპტონი | 15 | 2 | 4 | 9 | 12:31 | -19 | 10 | 8 | 1 | 2 | 5 | 9:17 | -8 | 5 | 7 | 1 | 2 | 4 | 3:14 | -11 | 5 |
| 20 | ბლექბერნი | 15 | 2 | 3 | 10 | 14:24 | -10 | 9 | 7 | 2 | 1 | 4 | 9:10 | -1 | 7 | 8 | 0 | 2 | 6 | 5:14 | -9 | 2 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| დაბლინი (ასტონ ვილა) | 10 |
| რიკარდი (მიდლსბრო) | 9 |
| ოუენი (ლივერპული) | 9 |

XVI ტური

5 დეკემბერი

ასტონ ვილა - მანჩესტერი
ბლექბერნი - ჩარლტონი
დერბი - არსენალი
ევერტონი - ჩელსი
ლიდსი - ვესტ ჰემი
ლესტერი - საუთჰემპტონი
ტოტენჰემი - ლივერპული
უიმბლდონი - ქოვენთრი

6 დეკემბერი

მიდლსბრო - ნიუკასლი

7 დეკემბერი

შეფილდი - ნოტინგემი

## პირველი დივიზიონი

XXI ტური

### ნორვიჩი 1:3 ოქსფორდი

1:0 ბელამი (3), 1:1 უილსტერმანი (34), 1:2 უინდასი (45), 1:3 ტომსონი (48)

### ვესტ ბრომვიჩი 2:0 ვულვზი

1:0 კილბეინი (46), 2:0 მერფი (61)

### ბირმინგემი 4:2 ბრისტოლი

0:1 თორფი (4), 1:1 მ. ჯონსონი (5), 2:1 ნდლოვუ (11), 3:1 ფორსტერი (42), 3:2 ანდერსენი (45), 4:2 ფორსტერი (72)

### ბოლტონი 4:0 ბერი

1:0, 2:0 იოჰანსენი (21, 57), 3:0, 4:0 გუნლაუგსონი (64, 67)

### ბრედფორდი 0:3 ქუინზ პარკი

0:1 პიკოკი (49), 0:2 გალენი (52), 0:3 შერონი (72)

### ქრიუ 0:3 იფსვიჩი

0:1, 0:2, 0:3 სკოუფკროფტი (37, 57, 74პ)

### კრისტალ პალასი 2:2 უოტფორდი

0:1 რაიტი (23), 0:2 კენედი (26), 1:2 ტეტლი (33), 2:2 ჩურჩიჩი (75პ)

### გრიმსბი 1:0 სვინდონი

1:0 ლესტერი (10)

### პორტ ვეილი 2:2 ტრანმერი

1:0 ფოილი (30), 1:1 ალენი (57), 2:1 ფოილი (63), 2:2 აირონსი (79)

### შეფილდი 0:4 სანდერლენდი

0:1 ქუინი (7), 0:2, 0:3 ბრიჯესი (13, 35), 0:4 ქუინი (75)

### სტოკპორტი 2:0 პორტსმუთი

1:0 კუპერი (47), 2:0 დინინგი (48პ)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სანდერლენდი | 20 | 12 | 7 | 1 | 48:15 | 43 |
| იფსვიჩი | 20 | 11 | 5 | 4 | 29:11 | 38 |
| უოტფორდი | 21 | 10 | 6 | 5 | 37:31 | 36 |
| ბირმინგემი | 21 | 10 | 5 | 6 | 30:22 | 35 |
| ბოლტონი | 20 | 9 | 7 | 4 | 39:24 | 34 |
| შეფილდი | 21 | 9 | 6 | 6 | 33:33 | 33 |
| ნორვიჩი | 19 | 9 | 5 | 5 | 31:25 | 32 |
| ვულვზი | 21 | 9 | 5 | 7 | 30:21 | 32 |
| ჰადერსფილდი | 21 | 9 | 5 | 7 | 29:36 | 32 |
| ბრედფორდი | 20 | 9 | 4 | 7 | 35:25 | 31 |
| ვესტ ბრომვიჩი | 20 | 9 | 3 | 8 | 39:35 | 30 |
| გრიმსბი | 20 | 8 | 5 | 7 | 24:22 | 29 |
| კრ. პალასი | 18 | 8 | 3 | 7 | 30:30 | 27 |
| ბარნსლი | 21 | 6 | 8 | 7 | 32:30 | 26 |
| სტოკპორტი | 21 | 5 | 11 | 5 | 26:26 | 26 |
| ბერი | 21 | 6 | 6 | 9 | 15:24 | 24 |
| სვინდონი | 21 | 6 | 5 | 10 | 29:34 | 23 |
| ოქსფორდი | 21 | 6 | 5 | 10 | 25:35 | 23 |
| ტრანმერი | 20 | 4 | 10 | 6 | 26:31 | 22 |
| პორტ ვეილი | 21 | 6 | 4 | 11 | 24:40 | 22 |
| პორტსმუთი | 21 | 5 | 6 | 10 | 29:35 | 21 |
| ქუინზ პარკი | 20 | 6 | 3 | 11 | 21:29 | 21 |
| ბრისტოლი | 21 | 3 | 7 | 11 | 30:49 | 16 |
| ქრიუ | 20 | 2 | 5 | 13 | 21:44 | 11 |

## გერმანია

# დაბრუნებაც ასეთი უნდა

XV ტური

**ფრაიბურგი 2:0 შტუტგარტი**

1:0, 2:0 იაშვილი (9, 42)

ფრაიბურგი: გოლცი, ტ. ჰოფმანი, შ. მიულერი (შუმანი 61), კორელი, კოლი, ფრონცეკი, ბაია (პავლინი 84), გიუნეში, ქობიაშვილი, იაშვილი (ვასმერი 87), სელიმი

შტუტგარტი: ვოლფარტი, ტ. შნაიდერი, ვერლაატი, ბერთოლდი (ტიამი 46), სოლდო, ცაიერი, კელერი, ლისტეში, ბალაკოვი, აკპობორი (რისტიჩი 39), ბობიჩი (ჯორჯევიჩი 58)

გაფრთხილება: ბაია, იაშვილი, პავლინი, ბერთჰოლდი, რისტიჩი

მსაჯი: აუსტი

**ლევერკუზენი 2:0 დუისბურგი**

1:0 რინკი (1), 2:0 ემერსონი (60)

ნოინმა ვერ გამოიყენა პენალტი (51)

ლევერკუზენი: მატიშეკი, ჟივკოვიჩი, რ. კოვაჩი (მამიჩი 83), ნოვოტნი, რეები, რამელო, ჰაინცე, ემერსონი (ნ. კოვაჩი 86), ზე რობერტო, რინკი (რაიხენბერგერი 77), მეიერი

დუისბურგი: სტაუჩე, ჰაიტო, ემერლინგი, ვოლერტი, ჰოერსენი (ვოლტერსი 78), ტიოფტინგი (ვედაუ 70), ვანა, ნოინი, ჰირში, ანდერსენი, შპისი

გაფრთხილება: ჰაიტო, ჰირში, ჰოერსენი

მსაჯი: ბუხჰარტი

**ლაუტერნი 4:1 შალკე**

1:0 ხრისტოვი (9), 1:1 მაქსი (34), 2:1 როსლერი (67), 3:1 ჰრუტკა (71), 4:1 მარშალი (74პ)

კაიზერსლაუტერნი: რაინკე, სფორცა, კოხი, სამირი, ბუკი, ბალაკი, ხრისტოვი, რამზი (ჰრუტკა 46), რაიხი (რიდლი 84), მარშალი, როსლერი (რიშე 77)

შალკე: შობერი, ვან ჰოგდალემი, ა. მიულერი, ვან კერკჰოვენი, აიგენრაუხი, გუსენსი (ჰამი 74), კმეჩი, ანდერბრიუგე (კლიუევი 80), ბიუსკენსი (ტაპალოვიჩი 46), მულდერი, მაქსი

გაფრთხილება: ანდერბრიუგე, ბიუსკენსი, მულდერი, მიულერი, ვან კერკჰოვენი

მსაჯი: ცერი

**ვერდერი 4:1 მიუნხენი**

1:0 ბოდე (6), 1:1 ოუაკილი (42), 2:1 ბოდე (62), 3:1 როემბიაკი (83), 4:1 ჰერცოგი (88პ)

ვერდერი: როსტი, ბენკენი, სკრიპნიკი (ვოიტალა 11), ვიკი, ტოდტი, ვიდნერი (როემბიაკი 58), ტრარესი, აილტსი, ა. ჰერცოგი, ბოგდანოვიჩი (ფლო 58), ბოდე

მიუნხენი: მ. ჰოფმანი, გრაილიხი, ვანენბურგი, კურცი (აგოსტინო 67), ზელიჩი, სტევიჩი, ოუაკილი, ბორიმიროვი, მალცი, შროტი, ჰობში

გაფრთხილება: ბოდე, როემბიაკი, ბორიმიროვი, ჰოფმანი, ოუაკილი

მსაჯი: კესლერი

**დორტმუნდი 3:1 აინტრახტი**

1:0 შაპუიზა (14), 1:1 ვებერი (53), 2:1 ... (62), 3:1 მიოლერი (74)

დორტმუნდი: კლოსი, ჟულიო სეზარი, კოლერი, როიტერი, ფროინდი (კ. ბაუმანი 69), დედე, რიკენი, ჰესლერი, მიოლერი (ვ. ბუტი 84), სალუ (ბარბარესი 77), შაპუიზა

აინტრახტი: ნიკოლოვი, ბინდევალდი, ხუბჩევი, შური, პედერსენი (პისონტი 80), კუჩერა, ბრინკმანი (სტოიაკი 72), ვებერი, სობოტჩიკი, ბ. შნაიდერი, ფიორტოფტი (გებჰარდტი 72)

გაფრთხილება: მიოლერი, გებჰარდტი

მსაჯი: ბერგი

**ჰანზა 1:2 ჰერტა**

0:1 ვაიტი (51), 0:2 პრეეტცი (55), 1:2 იასერი (89)

ჰანზა: პიკენჰაგენი, რემერი, ვაილანდტი, ცალმანი (დოვე 55), იასერი, ლანგე (რამდანე 46), ვიბრანი (ელერსი 63), მაიაკი, ბრაიტკროიცი, ფუქსი, ნოივილი

ჰერტა: კირალი, შმიდტი, რეკდალი, სვერისონი, ვაიტი, ტრეჩოკი, ტომი (კოვიჩი 82), ჰარტმანი, ვოში, პრეეტცი, ჩამი (მაასი 20, დარდაი 72)

გაფრთხილება: პიკენჰაგენი, მაასი, პრეეტცი, რეკდალი, ტომი

მსაჯი: შტრამპე

**ვოლფსბურგი 4:1 ბოხუმი**

1:0, 2:0 იუსკოვიაკი (1, 20), 2:1 იონი (36), 3:1 პრეგერი (76), 4:1 გრაინერი (78)

ვოლფსბურგი: რაიტმაიერი, ბალვანცი (კოვაჩევიჩი 61), ტომსენი, ონილი (კრიგერი 46), ნოვაკი, დამაიერი, გრაინერი, კაპეტანოვიჩი, აკონორი (რეინა 74), პრეგერი, იუსკოვიაკი

ბოხუმი: ტ. ერნსტი, კუნცი, კრახტი, სუნდერმანი, შინდცილორცი, ნ. ჰოფმანი, რაისი, ტოპლაკი (გიულუნოღლუ 64), ბუკლი (ბასტურკი 46), იონი, დრინჩიჩი (პეტროვიჩი 70)

გაფრთხილება: აკონორი, გრაინერი, დრინჩიჩი, კუნცი, შინდცილორცი

გაძევება: კრახტი (68)

მსაჯი: ზიპელი

**ჰამბურგი 3:0 გლადბახი**

1:0, 2:0, 3:0 იებოა (6, 29, 86)

ჰამბურგი: ჰ. ბუტი, ჰოოგმა (ფოგელი 77), პანადიჩი, ჰერტჩი, გროთი, იეპსენი, კირიაკოვი (ფიშერი 88), ჰოლერბახი, გრავესენი, იებოა, დალინი (დემბინსკი 82)

მიონხენგლადბახი: ენკე, ანდერსონი, კლინკერტი, აიხინი (ფელდჰოფი 68), ჰაგნერი, ბ. შნაიდერი (სოპიჩი 38), ვინჰოფი, ვიტეჩეკი, პფლიპსენი, კეტელაერი, პოლსტერი (პეტერსონი 46)

გაფრთხილება: აიხინი, ჰაგნერი

მსაჯი: ფლაიშერი

**ბაიერნი 2:0 ნიურნბერგი**

1:0 ელბერი (36), 2:0 ლისარასუ (63)

ბაიერნი: კანი, ლინკე, ჰელმერი, შტრუნცი, იერემისი, ლისარასუ, ეფენბერგი (ტარნატი 78), ფინკი, ბასლერი (სალიჰამიჯიჩი 71), ელბერი, იანკერი (ციკლერი 68)

ნიურნბერგი: ჰილფიკერი, ლიოში, გრასერი (ჰოლუნინი 46), ტოიბერი, რანერი, გიუნტერი (ვაიგლი 68), ვისინგერი, ნიკლი (სკოოგი 46), ფ. ბაუმანი, გერბერი, კურტი

გაფრთხილება: ეფენბერგი, გიუნტერი, ლიოში, ტოიბერი

მსაჯი: დარდენე

თითქმის ორთვიანი იძულებითი შესვენების შემდეგ ბუნდესლიგას და „ფრაიბურგს" ალექსანდრე იაშვილი დაუბრუნდა. დაუბრუნდა, თანაც როგორ, „შტუტგარტს" ორი გოლი გაუტანა და თავის გუნდს 17 ოქტომბრის შემდეგ გამარჯვების სიტკბო პირველად აგემა. იაშვილის გარეშე „ფრაიბურგმა" ჩემპიონატში შვიდი მატჩი ჩაატარა, აქედან ერთი მოიგო, ორი ფრედ დაასრულა, ბოლო ოთხი კი წააგო.

დღესდღეობით საუკეთესო ქართველმა ლეგიონერმა შაბათს დაამტკიცა, რომ მეტს თუ არა, ნახევარ „ფრაიბურგს" მაინც უდრის. მან მთელი შეხვედრა ჩინებულად ჩაატარა და მიუხედავად ორთვიანი უთამაშებლობისა, მინდორზე საუკეთესო გახლდათ. ეს არც გერმანელ სპეციალისტებს გამოპარვიათ, რომლებმაც იაშვილი ტურის სიმბოლურ ნაკრებში შეიყვანეს.

მატჩი მასპინძელთა შეტევებით დაიწყო. უკვე მე-9 წუთზე სტუმართა დაცვის შეცდომით კარგად ისარგებლა სელიმმა, რომელმაც საჯარიმოში მყოფი იაშვილი დროულად შენიშნა, ამანაც ერთი შეხებით ბურთი კარში გადაგზავნა. „ფრაიბურგს" არც ამის შემდეგ შეუწყვეტია იერიშები, თუმცა 42-ე წუთამდე ამაოდ შვრებოდნენ. ტაიმის დასრულებამდე სამი წუთით ადრე კი იაშვილმა მოედნის სიღრმიდან კარგი პასი მიიღო, მეურვეს სწრაფად აუარა გვერდი, საჯარიმოში შეიჭრა და ძლიერად დაარტყა. სტუმართა ავსტრიელმა მეკარემ ფრანც ვოლფარტმა ბურთს თითები კი წაატანა, მაგრამ „შტუტგარტი" გოლს ვერ გადაარჩინა.

მეორე ტაიმში ანგარიშის შეცვლის შესაძლებლობა ორივე გუნდს ჰქონდა, თუმცა მეტი გოლი აღარ გასულა და „ფრაიბურგმაც" პირველი საშინაო გამარჯვება იზეიმა.

წინა ტურში „ჰერტასთან" ძალების დაზოგვამ „ბაიერნს" ამჯერადაც გაუმართლა. მიუნხენელებმა ოთხშაბათს ჩემპიონთა ლიგაში „ბრონდბიუ" დაამარცხეს 2:0, ორი დღის შემდეგ კი „ნიურნბერგიც" დანიელთა გზას გაუყენეს. „ბრონდბიუს" მსგავსად „ნიურნბერგმაც" „ოლიმპიაშტადიონზე" წააგო, თანაც იმავე ანგარიშით.

ამ მატჩში მასპინძელთა მოგების გარდა ყველა სხვა შედეგი სენსაციურად ჩაითვლებოდა, მაგრამ სენსაცია არ მოხდა. „ბაიერნმა" უპრობლემოდ დაამარცხა მეტოქე. სტუმრები იღბალს უნდა უმადლოდნენ, დიდი ანგარიშით რომ არ წააგეს. მიუნხენელები მთელი შეხვედრის განმავლობაში უდიდეს უპირატესობას ფლობდნენ, თუმცა უამრავი შესაძლებლობიდან მხოლოდ ორი გამოიყენეს. 36-ე წუთზე ელბერი პირისპირ გავიდა მეკარესთან და ძლიერი დარტყმით ანგარიში გახსნა. 63-ე წუთზე მსოფლიოს ჩემპიონმა, ფრანგმა ბიქსენტე ლისარასუმ იმარჯვა. ბასლერის ჯარიმიდან დარტყმული ჰილფიკერმა კი მოიგერია, მაგრამ ბურთთან პირველი ფრანგი ლეგიონერი გაჩნდა და სხვაობა გაზარდა. მალე პირველი გოლის ავტორს ელბერს შეეძლო დუბლის შესრულება და ბომბარდირთა დავაში დაწინაურება. მას მეკარემ შეუშალა ხელი. „ბაიერნს" ამის შემდეგაც შეეძლო ორბურთიანი უპირატესობის გაზრდა, მაგრამ ფრაიბურგელების მსგავსად ორ გოლს დასჯერდა.

ლიდერებთან ორქულიანი სხვაობა შეინარჩუნა „ლევერკუზენმა", რომელმაც შინ ასევე ორი გოლი აკმარა „დუისბურგს". ეს გამარჯვება კრისტოფ დაუმის ბიჭებისთვის ზედიზედ მეოთხე გახლდათ.

მასპინძლებმა „დუისბურგს" სალამი არ აცალეს — მატჩი 45 წამის დაწყებული იყო, როდესაც გერმანიის ნაკრების ბრაზილიელმა კანდიდატმა პაულუ რინკმა თავისიანები დააწინაურა. მის დარტყმულს „დუისბურგის" ლიტველმა მეკარემ გინტარას სტაუჩემ ვერაფერი მოუხერხა — 1:0. დებიუტშივე გაშვებულმა გოლმა სტუმრები დააბნია, თუმცა ლევერკუზენელებმა ამით ვერ ისარგებლეს, არადა, ჟივკოვიჩს და ემერსონს გატანის კარგი შანსები ჰქონდათ. საბოლოოდ მასპინძლებმა მაინც შეაგდეს ბურთი. მე-60 წუთზე ბრაზილიელმა ემერსონმა ძლიერი დარტყმით მეორედ დალაშქრა ლიტველის კარი. მანამდე „დუისბურგს" ჰქონდა გატანის ასპროცენტიანი შესაძლებლობა, მაგრამ ნოინის დარტყმული პენალტი მატიშეკმა მოიგერია. მეორე გაშვებულმა გოლმა სტუმრები გააქტიურა. მათ ორი მწვავე იერიში განახორციელეს „ლევერკუზენის" კართან, მაგრამ მასპინძლები ორჯერვე გადარჩნენ. 66-ე წუთზე ჰირშის თავური ხარიხამ მოიგერია, რამდენიმე წუთის შემდეგ შპისის დარტყმული კი — მატიშეკმა.

— გუნდის თამაშით ძალიან ნასიამოვნები ვარ. ბოლო დროს აშკარად მოვუმატეთ. ტემპი თუ შევინარჩუნეთ, „ბაიერნს" ჩემპიონობისთვის დიდ ბრძოლას გავუმართავთ — განაცხადა მატჩის შემდეგ „ლევერკუზენის" მწვრთნელმა კრისტოფ დაუმმა.

როგორც ჩანს, ჩემპიონობისთვის მართლაც ეს ორი გუნდი იბრძოლებს, რადგან მესამე კანდიდატმა „მიუნხენ 1860"-მა ნელ-ნელა უკლო თამაშს. ამ ტურში ბავარიელები ბრემენს ესტუმრნენ ვინკლერის გარეშე და მიმდინარე სეზონში ყველაზე მწარე მარცხიც იწვნიეს — 4:1.

ანგარიში მე-6 წუთზე ბოდემ გახსნა. ტაიმის მიწურულს მიუნხენელებმა კი აღადგინეს წონასწორობა, მაგრამ დროებით, 62-ე წუთზე ბოდემ დუბლი შეასრულა და თავისიანები მეორედ დააწინაურა. მატჩის მიწურულს როემბიაკმა გაარღვია სტუმართა დაცვა და თამაშის ბედიც გადაწყვიტა, თუმცა ბრემენელები არც სამ გოლზე გაჩერდნენ. 88-ე წუთზე ჰერცოგმა ბოლო მოუღო „მიუნხენის" ტანჯვას. ეს მოგება „ვერდერისთვის" ბოლო შვიდ დღეში მესამე გახლდათ. ფელიქს მაგათიც, ბუნებრივია, კმაყოფილი იყო შეგირდებით.

— მეტოქეს თავისუფლად მოქმედების საშუალება არ მივეცით. ვფიქრობ, ბიჭებმა თავიანთი შესაძლებლობები კარგად დაგვანახეს. ეს ჩვენი საუკეთესო თამაში გახლდათ და დამსახურებულადაც გავიმარჯვეთ.

— ბრემენს სამი ქულის წასაღებად ვესტუმრეთ, სამწუხაროა, რომ შინ ხელცარიელნი ვბრუნდებით — განსხვავებულ ხასიათზე იყო სტუმართა თავკაცი ლორანტი.

მორიგი იოლი გამარჯვება მოიპოვა ბუნდესლიგის ბოლო ჩემპიონმა „კაიზერსლაუტერნმა", რომელიც „შალკეს" მასპინძლობდა.

მოვლენები აქაც ისე განვითარდა, როგორც ბრემენში. ხრისტოვის დასაწყისშივე გატანილ გოლს მაქსმა უპასუხა ძლიერი და ზუსტი დარტყმით და ტაიმიც ფრედ 1:1 დასრულდა. მეორე ნახევარში კი „ლაუტერნმა" „სტუმართმოყვარეობა" გამოამჟღავნა და „შალკეს" სამი გოლით გაუმასპინძლდა. როსლერის 67-ე წუთზე წამოწყებული საქმე ჰრუტკამ გააგრძელა, 74-ეზე კი პენალტით მარშალმა დაავვირგვინა— 4:1.

ბოლო დროს მნიშვნელოვნად გამოასწორა თამაში დორტმუნდის „ბორუსიამ", რომლის მსხვერპლი „ვესტფალენშტადიონზე" ამჯერად „აინტრახტი" გახდა.

მთელი შეხვედრის განმავლობაში მასპინძლებს უდიდესი უპირატესობა ჰქონდათ და ტრადიციულად ბევრი საგოლე მომენტიც შექმნეს, გამოყენებით კი სამი გამოიყენეს. მე-14 წუთზე რიკენმა ჩინებულად ითამაშა, ორი მცველი მოატყუა და შაპუიზას გაატანინა. მეორე გოლიც რიკენის დამსახურება იყო. მისი დაახლოებით 40-მეტრიანი პასის შემდეგ სალუს ნიკოლოვის მეორედ დამწუხრება აღარ გასჭირვებია. მესამე გოლი კი შაპუიზას გადაცემით მიოლერმა გაიტანა. პირველ და მეორე გოლებს შორის ფრანკფურტელმა ვებერმა გამოიჩინა თავი და დროებით ანგარიში გაათანაბრა.

ერთადერთი გუნდი, რომელმაც სტუმრად ქულების მოპოვება შეძლო, ბერლინის „ჰერტაა". ბერლინელები პარასკევს როსტოკს ესტუმრნენ და შინ სამი ქულით ხელდამშვენებულნი დაბრუნდნენ. სამწუხაროდ ჩივის, დანარჩენ მატჩებში სტუმრებმა ერთი ქულაც ვერ მოიპოვეს.

**ვანო ოქროპირიძე**




ფრაიბურგი — შტუტგარტი. ალექსანდრე იაშვილი და ალი გიუნეში ერთმანეთს პირველ გოლს ულოცავენ

| № | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | ბაიერნი | 14 | 11 | 1 | 2 | 34:11 | +23 | 34 | 8 | 7 | 1 | 0 | 27:8 | +19 | 22 | 6 | 4 | 0 | 2 | 7:3 | +4 | 12 |
| 2 | ლევერკუზენი | 15 | 9 | 5 | 1 | 36:15 | +21 | 32 | 8 | 4 | 3 | 1 | 15:7 | +8 | 15 | 7 | 5 | 2 | 0 | 21:8 | +13 | 17 |
| 3 | ლაუტერნი | 15 | 9 | 3 | 3 | 25:23 | +2 | 30 | 8 | 6 | 1 | 1 | 18:11 | +7 | 19 | 7 | 3 | 2 | 2 | 7:12 | −5 | 11 |
| 4 | მიუნხენ 1860 | 15 | 8 | 3 | 4 | 27:21 | +6 | 27 | 7 | 4 | 1 | 2 | 12:8 | +4 | 13 | 8 | 4 | 2 | 2 | 15:13 | +2 | 14 |
| 5 | დორტმუნდი | 15 | 7 | 4 | 4 | 24:15 | +9 | 25 | 8 | 7 | 0 | 1 | 17:4 | +13 | 21 | 7 | 0 | 4 | 3 | 7:11 | −4 | 4 |
| 6 | ვოლფსბურგი | 15 | 6 | 6 | 3 | 30:20 | +10 | 24 | 7 | 4 | 2 | 2 | 18:9 | +9 | 14 | 7 | 2 | 4 | 1 | 12:11 | +1 | 10 |
| 7 | ჰერტა | 15 | 7 | 2 | 6 | 20:17 | +3 | 23 | 7 | 6 | 0 | 1 | 14:3 | +11 | 18 | 8 | 1 | 2 | 5 | 6:14 | −8 | 5 |
| 8 | ჰამბურგი | 15 | 5 | 6 | 4 | 20:16 | +4 | 21 | 7 | 4 | 3 | 1 | 13:6 | +7 | 15 | 7 | 1 | 3 | 3 | 7:10 | −3 | 6 |
| 9 | ფრაიბურგი | 15 | 4 | 6 | 5 | 19:21 | −2 | 18 | 8 | 1 | 4 | 3 | 8:10 | −2 | 7 | 7 | 3 | 2 | 2 | 11:11 | 0 | 11 |
| 10 | შტუტგარტი | 15 | 4 | 5 | 6 | 18:19 | −1 | 17 | 7 | 3 | 2 | 2 | 12:7 | +5 | 11 | 7 | 1 | 3 | 4 | 6:12 | −6 | 6 |
| 11 | ბოხუმი | 15 | 5 | 2 | 8 | 19:27 | −8 | 17 | 7 | 3 | 1 | 3 | 9:10 | −1 | 10 | 8 | 2 | 1 | 5 | 10:17 | −7 | 7 |
| 12 | ვერდერი | 15 | 4 | 4 | 7 | 22:22 | 0 | 16 | 8 | 1 | 3 | 4 | 12:13 | −3 | 6 | 7 | 3 | 1 | 3 | 10:9 | +1 | 10 |
| 13 | აინტრახტი | 15 | 4 | 4 | 7 | 19:25 | −6 | 16 | 7 | 3 | 1 | 3 | 12:12 | 0 | 10 | 8 | 1 | 3 | 4 | 7:13 | −6 | 6 |
| 14 | დუისბურგი | 15 | 3 | 6 | 6 | 15:24 | −9 | 15 | 7 | 3 | 4 | 0 | 10:5 | +5 | 10 | 8 | 0 | 2 | 6 | 5:19 | −14 | 2 |
| 15 | ნიურნბერგი | 15 | 2 | 8 | 5 | 18:28 | −10 | 14 | 7 | 0 | 6 | 1 | 8:12 | −4 | 6 | 8 | 2 | 2 | 4 | 10:16 | −6 | 8 |
| 16 | შალკე 04 | 15 | 3 | 5 | 7 | 15:26 | −11 | 14 | 7 | 2 | 2 | 3 | 8:9 | −1 | 8 | 8 | 1 | 3 | 4 | 7:17 | −10 | 6 |
| 17 | ჰანზა | 15 | 2 | 5 | 8 | 20:31 | −11 | 11 | 8 | 2 | 4 | 2 | 14:13 | +1 | 10 | 7 | 0 | 1 | 6 | 6:18 | −12 | 1 |
| 18 | გლადბახი | 14 | 2 | 3 | 9 | 19:39 | −20 | 9 | 6 | 2 | 1 | 3 | 11:15 | −4 | 7 | 8 | 0 | 2 | 6 | 8:24 | −16 | 2 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ვინკლერი (მიუნხენი) | 9 |
| ელბერი (ბაიერნი) | 9 |
| მარშალი (ლაუტერნი) | 9 |
| იუსკოვიაკი (ვოლფსბურგი) | 9 |

### XV ტური

4 დეკემბერი

ნიურნბერგი - ჰანზა

ბოხუმი - ბაიერნი

5 დეკემბერი

აინტრახტი - შალკე

ლევერკუზენი - ვოლფსბურგი

ჰერტა - ფრაიბურგი

შტუტგარტი - ჰამბურგი

გლადბახი - ვერდერი

დუისბურგი - ლაუტერნი

6 დეკემბერი

მიუნხენი - დორტმუნდი

### მეორე ბუნდესლიგა

XVI ტური

**კოტბუსი 0:1 დიუსელდორფი**

0:1 ტარე (18)

**უნტერჰახინგი 1:0 ვატენშაიდი**

1:0 რაკლი (81)

**ობერჰაუზენი 0:0 ფორტუნა**

**ულმი 2:0 ბერლინი**

1:0 კულიბალუ (81), 2:0 როსლერი (90)

**ჰანოვერი 1:1 ფიურტი**

1:0 კროიცი (40პ), 1:1 ვან ლენტი (45)

**გიუტერსლო 0:2 არმინია**

0:1, 0:2 ლაბადია (80, 88პ)

**კიოლნი 4:1 კარლსრუე**

1:0 ჰაზენჰუტლი (10), 2:0 რიოსელე (35), 2:1 რაიხი (62), 3:1 ვოლიტცი (72), 4:1 აზიზი (88)

**ზანქტ პაული — ურდინგენი**

*1 დეკემბერს გაიმართება*

**მაინცი — კიკერსი**

*2 დეკემბერს გაიმართება*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ულმი | 16 | 9 | 7 | 0 | 37:20 | 34 |
| უნტერჰახინგი | 16 | 10 | 3 | 3 | 23:11 | 33 |
| არმინია | 16 | 10 | 2 | 4 | 27:18 | 32 |
| ბერლინი | 16 | 9 | 2 | 5 | 25:20 | 29 |
| ფიურტი | 16 | 8 | 4 | 4 | 20:14 | 28 |
| კარლსრუე | 16 | 8 | 1 | 7 | 28:24 | 25 |
| ფორტუნა | 16 | 7 | 4 | 5 | 25:21 | 25 |
| მაინცი | 15 | 6 | 4 | 5 | 21:20 | 22 |
| კიოლნი | 16 | 6 | 4 | 6 | 22:27 | 22 |
| კიკერსი | 15 | 7 | 1 | 7 | 14:20 | 22 |
| ჰანოვერი | 15 | 5 | 3 | 7 | 19:20 | 18 |
| ობერჰაუზენი | 16 | 4 | 6 | 6 | 16:22 | 18 |
| ზანქტ პაული | 15 | 4 | 4 | 7 | 17:22 | 16 |
| კოტბუსი | 16 | 3 | 6 | 7 | 17:21 | 15 |
| დიუსელდორფი | 16 | 3 | 6 | 7 | 19:24 | 15 |
| ვატენშაიდი | 16 | 2 | 7 | 7 | 10:15 | 13 |
| გიუტერსლო | 16 | 3 | 4 | 9 | 20:30 | 13 |
| ურდინგენი | 14 | 1 | 4 | 9 | 13:24 | 7 |

# ზერელე ფიქრი არგენტინელებზე

## იტალია

XI ტური

### პარმა 4:0 მილანი

1:0 კიეზა (25), 2:0, 3:0 კრესპო (36, 60), 4:0 ბოგოსიანი (90)
პარმა: ბუფონი, ტურამი, სენსინი, კანავარო, ფუზერი, დ. ბაჯო (ჯუნტი 89), ბოგოსიანი, ბენარივო, ვერონი (ფიორე 80), კრესპო, კიეზა (ბალბო 65)
მილანი: როსი, სალა, კოსტაკურტა, ნგოტი, ჰელვეგი, ალბერტინი, ბობანი (ამბროზინი 75), მალდინი (ბა 46), განცი (ლეონარდო 46), ვეა, ბორჰოფი
გაფრთხილება: ბენარივო, ვეა, სენსინი, კოსტაკურტა, ლეონარდო, ვერონი
მსაჯი: დე სანტისი

### ბოლონია 3:0 იუვენტუსი

1:0 პარამატი (4), 2:0 სინიორი (9), 3:0 ფონტოლანი (30)
ბოლონია: ანტონიოლი, პარამატი, ბია, მანგონე, ტარანტინო, ბინოტო (მაინი 81), ინგესონი, მაროკი, ფონტოლანი (ერიბერტო 81), ანდერსონი, სინიორი (კოლივანოვი 84)
იუვენტუსი: პერუცი, ტუდორი, ფერარა (პესოტო 46), იულიანო, ბირინდელი, დი ლივიო (მირკოვიჩი 57), ტაკინარდი, კონტე, ზიდანი, ინძაგი, ამორუზო (ფონსეკა 46)
გაფრთხილება: იულიანო, ინგესონი, კონტე, ტუდორი
გაძევება: მირკოვიჩი (89)
მსაჯი: ჩეზარი

### უდინეზე 2:1 კალიარი

1:0 ბაკინი (32), 2:0 ამოროზო (65), 2:1 დე პატრე (87)
უდინეზე: ტურჩი, ბერტოტო, კალორი, გარგო, ბაკინი, აპია, ჯანიკედა, იორგენსენი (პინედა 70), ლოკატელი (ვალემი 66), პოჯი, ამოროზო (სოსა 81)
კალიარი: სკარპი, ძედინა, გრასადონია (კენტურიონი 57), ვილა, კავეცი, ონილი, ბერეტა (დე პატრე 46), მაკელარი, ვაზარი (მაცეო 45), კალონი, მუცი
გაფრთხილება: ლოკატელი, ვილა, დე პატრე, მაკელარე, კენტურიონი
მსაჯი: ბოლონინო

### ემპოლი 1:0 ვიჩენცა

1:0 კარპარელი (31)
ემპოლი: სერენი, ფუსკო, ბალდინი, ლუჩენტი (კრიბარი 69), ბიზოლი, ბიანკონი, პანე, მარტუშელო, ტონეტო, კარპარელი (კიაპარა 66), ზალაიეტი (ბონომი 80)
ვიჩენცა: ბრივიო, მეცანოტი (კონტე 84), სტოვინი, დი კარა, ბეგეტო, ამბროზეტი, დი კარლო, პალადინი, ვივიანი (მენდესი 50), შენარდი (ოტერო 50), ლუიზო
გაფრთხილება: ფუსკო, ტონეტო, მენდესი, კიაპარა, ბალდინი
გაძევება: ოტერო (53)
მსაჯი: მესინა

### ინტერი 2:1 სალერნიტანა

0:1 დი მიკელე (43), 1:1 სიმეონე (76), 2:1 ძანეტი (94)
ინტერი: პალიუკა, ბერგომი (კოე 63), კოლონეზე, ვესტი, ძანეტი, მორიერო (ჯორკაეფი 56), ვინტერი, სოუზა, სიმეონე, რ. ბაჯო, სამორანო
სალერნიტანა: ბალი, დელ გროსო, მონაკო, ფუსკო, ტოსტო, გატუზო, ბრედა, ბერნარდინი (ბოლიჩი 60), ვანუკი, დი მიკელე, კიანეზე (დი ვაიო 71)
გაფრთხილება: ტოსტო, დი მიკელე
მსაჯი: როდომონტი

### პერუჯა 2:0 პიაჩენცა

1:0, 2:0 ნაკატა (20, 50)
პერუჯა: როკატი, ზე მარია (სოლანო 62), რივასი, მატრეკანო, კოლონელო, პეტრაკი, ოლივე, ტედესკო (როკო 81), რაპაიჩი, ნაკატა, ბუკი (მელი 70)
პიაჩენცა: ფიორი, ლუკარელი, პოლონია, ვერხოვოდი, მანიგეტი, ბუზო (პიოვანი 57), კრისტალინი, მაცოლა, სტროპა (დელი კარი 65), რიციტელი, რასტელი (დიონიჯი 57)
გაფრთხილება: მანიგეტი, ბუკი, ლუკარელი, პიოვანი
გაძევება: მაცოლა (57)
მსაჯი: ტომბოლინი

### ლაციო 3:3 რომა

0:1 დელვეკიო (26), 1:1, 2:1 მანჩინი (29, 57), 3:1 სალასი (68პ), 3:2 დი ფრანჩესკო (79), 3:3 ტოტი (81)
ლაციო: მარკეჯანი, პანკარო, ნეგრო, მიხაილოვიჩი (კოუტუ 65), ფავალი, კონსეისაო (ვენტურინი 63), სტანკოვიჩი, ალმეიდა, ნედვედი, სალასი (დე ლა პენია 85), მანჩინი
რომა: კიმენტი, კანდელა, პეტრუცი, ალდაირი, ვომე, ტომაზი, ტომიჩი, დი ფრანჩესკო, პაულუ სერჟიო (ძაგო 85), დელვეკიო (ბარტლეტი 90), ტოტი
გაფრთხილება: დი ფრანჩესკო, ალდაირი, პეტრუცი, კანდელა, მიხაილოვიჩი, ალმეიდა, სალასი, ტოტი, ტომაზი
გაძევება: პეტრუცი (65)
მსაჯი: ფარინა

### ვენეცია 0:0 სამპდორია

ვენეცია: ტაიბი, ბრიოში, ბილიკა, ძირონელი (დე ფრანჩესკი 40), მარანგონი, მიკელი, იაკინი (ვოლპი 67), პედონე (ბრეშიანი 74), შვოკი, ტუტა
სამპდორია: ფერონი, საკიჩი, ნავა, გრანდონი, ბალერი, ფიჩინი, ფრანჩესკეტი (სგრო 9, ვერგასოლა 60), ლაილი, პეკია, ორტეგა, პალმიერი (იაკოპინო 82)
გაფრთხილება: იაკინი, ბალერი, ბილიკა, გრანდონი
გაძევება: ფიჩინი (28)
მსაჯი: პელეგრინო

### ბარი 0:0 ფიორენტინა

ბარი: მანჩინი, დე როზა, გარსია, ნექროიზი, მადსენი (ოლივარესი 57), ანდერსონი, დე აშენტისი, ბრესანი (ინოკენტი 90), ძამბროტა, ოსმანოვსკი, მასინგა
ფიორენტინა: ტოლდო, ტორიჩელი, ფალკონე, ფირიკანო, ტაროცი, ამორუზო (ბიჯიკა 46), კოისი, ჰაინრიხი, ედმუნდო, ბატისტუტა, ოლივეირა (რობიატი 67)
გაფრთხილება: გარსია, ფალკონე, დე აშენტისი, ედმუნდო, კოისი

რონალდო რომ არ ითამაშებდა, მთელმა იტალიამ წინასწარ იცოდა, ხოლო როდესაც ხალხმა იცის, რომ რონალდო არ ითამაშებს, ის საიდუმლო მიზეზს ეძებს.

სინამდვილეში: „მისთვის „რეალთან" მატჩის დროს რამდენჯერმე მუხლში რომ არ მიერტყათ, „სალერნიტანასთან" უთუოდ ვიხილავდით მოედანზე. ახლა კი უმჯობესია დაისვენოს და უახლოეს მომავალზე იფიქროს. იდუმალი არაფერია, უბრალოდ რონალდომ პარასკევის ვარჯიში გამოტოვა" — განუმარტა საზოგადოებრიობას „ინტერის" ექიმმა პიერო ვოპიმ.

რონალდოს მუხლს პირველად 8 ნოემბერს, „მილანთან" მატჩის პირველ ნახევარში შეეხნენ. მას მერე ბარზილიელი მკურნალობს, ვარჯიშობს და ჯერჯერობით ხან თამაშობს, ხან ვერა.

თუმცა „ინტერი" მის გარეშეც დიდი გუნდია. კვირას იგი აგებდა, ტაიმი წააგო, მეორეში კი ჯერ გაქვითა, ხოლო მერე, მსაჯის წამატებულ მეოთხე წუთზე მოიგო კიდეც.

ანგარიში სალერნოელმა დავიდე დი მიკელემ შესვენებამდე ორი წუთით ადრე გახსნა. ეს გახლდათ დი მიკელეს პირველი გოლი სერია A-ში. მან საჯარიმო მოედნის კიდესთან აარონ ვინტერს აჯობა და ისე დაარტყა, რომ ვერც მილანელთა მეკარემ, ჯანლუკა პალიუკამ დაიჭირა ბურთი.

იმ დღეს მარცხენა ფეხზე ამდგარმა ვინტერმა, შესვენებიდან დაბრუნებისთანავე კიდევ ერთი შეცდომა დაუშვა, ოღონდ ახლა იქითა კართან. მან დიეგო სიმეონეს კარგი გადაცემით ვერ ისარგებლა და ანგარიში უწინდებურად დასტოვა.

ანგარიში არც მაშინ გათანაბრდა, როდესაც ივან სამორანომ ბურთი მოწინააღმდეგის ბადეში შეაგდო — მსაჯმა ოფსაიდი შენიშნა.

და მაინც, დაჟინებამ თავისი გაიტანა. გაიტანა სიმეონემ, რომელსაც კუთხურიდან რობერტო ბაჯომ მიაწოდა ბურთი.

სულ ბოლოს კი ხავიერ ძანეტიმ ამოჰკრა მარჯვენა ფეხი ბურთს და „ინტერის" მონაგარს ცხრილში სამი ქულა მიამატა.

ეტყობა დაჟინება არგენტინული თვისებაა — სიმეონე და ძანეტი ხომ არგენტინელები გახლავან.

გაიხარეს იმ საღამოს „სან სიროზე" შეკრებილმა მილანელებმა, რადგან მათმა გუნდმა ლიდერთა ცუდი შედეგებით ისარგებლა და მათთან სხვაობა შეამცირა. თუმცა სიხარულის საბაბი სხვაც იყო: იმავე სტადიონის მეორე ბინადარმა „მილანმა" პარმაში წააგო.

იქნებ „მილანისთვის" 0:4-ს წაგება არც ჰქვია. ამ ანგარიშს რაღაც უფრო მძაფრი სიტყვა შეეფერება.

პარმაშიც არგენტინული დაჟინების მოწმენი გავხდით. „მილანის" კარში ხომ ენრიკო კიეზამ და ალენ ბოგოსიანმაც გაიტანეს, მაგრამ არგენტინელი ერნან კრესპოსთვის ერთი გოლი ცოტა აღმოჩნდა. მან ორი შეაგდო.

პარმელებს მეხუთე წუთზევე შეეძლოთ ანგარიშის გახსნა. კიეზა სტუმართა მეკარესთან, სებასტიანო როსისთან პირისპირ იყო შესული, მაგრამ აირია და ჩამოსწრებულმა ტომას ჰელვეგმა მდგომარეობა განმუხტა.

კიეზამ 25-ე წუთზე გამოასწორა შეცდომა, როდესაც როსიმ დინო ბაჯოს დარტყმული ხელში ვერ შეიმაგრა და მას დამატების საშუალება მიეცა.

პირველი ტაიმის დამთავრებამდე 9 წუთით ადრე ბაჯომ კრესპოს გადააწოდა, კრესპომ კი როსის თავზე გადაუგდო და კარშიც შეაგდო.

სანამ შესასვენებლად გავიდოდნენ, ლუიჯი სალამ და ჰელვეგმა თითოჯერ კარის ხაზიდანაც გამოიტანეს ბურთი, რომელიც მეორე ტაიმის მეთხუთმეტე წუთზე მაინც „მილანის" ბადეში აღმოჩნდა. მესამე გოლი კრესპოს თავურით გავიდა, მეოთხე კი, როგორც გითხარით, ბოგოსიანმა სულ ბოლო წუთზე შეაგდო.

კი მაგრამ, სად იყო გასული სეზონის საუკეთესო ბომბარდირი, მილანში გადაბარგებული ოლივერ ბირჰოფი? ის მოედანზე გახლდათ და განაგრძობდა იმას, რასაც ოქტომბრის მერე აკეთებდა და აკეთებს — გოლი ვერ გაჰქონდა. ბირჰოფმა განსაკუთრებით 69-ე წუთზე გამოიჩინა უიღბლობით თავი. ბურთს რომ თავური დაარტყა, კარიდან ერთ მეტრში იდგა.

ლიდერმა, „ფიორენტინამ" ბარიში 0:0 ითამაშა (ოდესმე მასაც ხომ უნდა ეთამაშა ფრე). ამ შეხვედრაში ველარ იმარჯვა თვით არგენტინელთა შორის ყველაზე დაჟინებულმა და, რაც მთავარია, გოლის დიდოსტატმა გაბრიელ ბატისტუტამ. მას და მის ბრწყინვალე პარტნიორს, ედმუნდოს, წინ ნამდვილად არ ედგა ის დაცვა, რომელსაც სერია A-ში საუკეთესო შეიძლება უწოდო, მაგრამ ყველაფრის მიუხედავად მასპინძელთა კარში ბურთი არ შევარდნილა, ხოლო სტუმართა კარში იგი მეკარე ფრანჩესკო ტოლდომ არ შეუშვა. თან „ბარის" ფეხბურთელთა სამი სახიფათო დარტყმა მოიგერია.

„იუვენტუსს" აშკარად კრიზისი ეწყება. ამდენწლიანი წარმატების მერე ეს ალბათ ფრიად ლიგოკურიცაა, თუმცა ბოლონიაში 0:3 დამარცხება მაინც მეტისმეტი უნდა იყოს.

ტაბლოზე 30-ე წუთის შემდეგ აღარ შეცვლილა ანგარიში — სამივე გოლი საწყის ნახევარ საათში გავიდა. მე-4 წუთზე მიქელე პარამატიმ თავურით გახსნა ანგარიში. პარამატის საგოლე პასი ჯუზეპე სინიორიმ ჩააწოდა, რომელმაც ხუთი წუთის შემდეგ თავად შეაგდო მეორე. მესამე გოლი დავიდე ფონტოლანის დარტყმას მოჰყვა. ფონტოლანმა საჯარიმო მოედნის გარეთ ბურთი გამოცდილ ჩირო ფერარას წაართვა, კენეტ ანდერსონთან ერთი-ორი გაითამაშა და ანჯელო პერუცის კარში შეაგდო.

რომაული დერბი: „ლაციო" — „რომა". მარტო ანგარიშის გაცნობაც საკმარისია, რომ მიხვდე, როგორ იყო დაძაბული „სტადიო ოლიმპიკო". 3:3, თან როგორი, საფინალო სასტვენამდე 11 წუთით ადრე „ლაციო" 3:1-ს იგებდა, 9 წუთით ადრე კი უკვე ფრე იყო.

26-ე წუთზე „რომას" თავდამსხმელმა მარკო დელვეკიომ გახსნა ანგარიში, მაგრამ ყოფილმა სამპდორიელმა და იტალიის ნაკრების წევრმა რობერტო მანჩინიმ „ლაციოს" სასარგებლოდ შეატრიალა საქმე — 2:1. 65-ე წუთზე მარსელო სალასის წინააღმდეგ უხეშობისთვის ფაბიო პეტრუციც გააძევეს მოედნიდან... სამ წუთში სალასმა პენალტიც გაიტანა...

ყველაფერი იქით მიდიოდა, რომ „ლაციოს" ზედიზედ მეხუთე დერბი უნდა მოეგო, მაგრამ...

**პაპუნა ძიძია**

REUTERS რომიდან



ლაციო — რომა. ვომესა და პანკაროს (15) ორთაბრძოლა

| № | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | ფიორენტინა | 11 | 7 | 1 | 3 | 22:12 | +10 | 22 | 5 | 5 | 0 | 0 | 14:2 | +12 | 15 | 6 | 2 | 1 | 3 | 8:10 | -2 | 7 |
| 2 | პარმა | 11 | 5 | 4 | 2 | 15:5 | +10 | 19 | 6 | 5 | 1 | 0 | 13:1 | +12 | 16 | 5 | 0 | 3 | 2 | 2:4 | -2 | 3 |
| 3 | რომა | 11 | 5 | 4 | 2 | 21:12 | +9 | 19 | 6 | 5 | 1 | 0 | 14:3 | +11 | 16 | 5 | 0 | 3 | 2 | 7:9 | -2 | 3 |
| 4 | მილანი | 11 | 5 | 3 | 3 | 15:14 | +1 | 18 | 5 | 3 | 1 | 1 | 10:7 | +3 | 10 | 6 | 2 | 2 | 2 | 5:7 | -2 | 8 |
| 5 | იუვენტუსი | 11 | 5 | 3 | 3 | 12:12 | 0 | 18 | 5 | 4 | 1 | 0 | 5:0 | +5 | 13 | 6 | 1 | 2 | 3 | 7:12 | -5 | 5 |
| 6 | ბოლონია | 11 | 4 | 5 | 2 | 15:9 | +6 | 17 | 6 | 2 | 3 | 1 | 9:6 | +3 | 9 | 5 | 2 | 2 | 1 | 6:3 | +3 | 8 |
| 7 | ინტერი | 11 | 5 | 2 | 4 | 20:18 | +2 | 17 | 6 | 4 | 0 | 2 | 13:9 | +4 | 12 | 5 | 1 | 2 | 2 | 7:9 | -2 | 5 |
| 8 | უდინეზე | 11 | 4 | 4 | 3 | 15:17 | -2 | 16 | 6 | 3 | 3 | 0 | 10:6 | +4 | 12 | 5 | 1 | 1 | 3 | 5:11 | -6 | 4 |
| 9 | პერუჯა | 11 | 4 | 3 | 4 | 15:16 | -1 | 15 | 6 | 4 | 1 | 1 | 13:8 | +5 | 13 | 5 | 0 | 2 | 3 | 2:8 | -6 | 2 |
| 10 | ლაციო | 11 | 3 | 5 | 3 | 18:15 | +3 | 14 | 5 | 2 | 3 | 0 | 10:5 | +5 | 9 | 6 | 1 | 2 | 3 | 8:10 | -2 | 5 |
| 11 | კალიარი | 11 | 4 | 2 | 5 | 18:16 | +2 | 14 | 6 | 4 | 2 | 0 | 15:7 | +8 | 14 | 5 | 0 | 0 | 5 | 3:9 | -6 | 0 |
| 12 | ბარი | 11 | 2 | 8 | 1 | 10:9 | +1 | 14 | 6 | 1 | 5 | 0 | 3:2 | +1 | 8 | 5 | 1 | 3 | 1 | 7:7 | 0 | 6 |
| 13 | სამპდორია | 11 | 3 | 4 | 4 | 10:18 | -8 | 13 | 5 | 3 | 2 | 0 | 7:2 | +5 | 11 | 6 | 0 | 2 | 4 | 3:16 | -13 | 2 |
| 14 | პიაჩენცა | 11 | 3 | 2 | 6 | 15:16 | -1 | 11 | 5 | 3 | 2 | 0 | 12:5 | +7 | 11 | 6 | 0 | 0 | 6 | 3:11 | -8 | 0 |
| 15 | ემპოლი* | 11 | 3 | 4 | 4 | 8:13 | -5 | 11 | 6 | 3 | 2 | 1 | 6:3 | +3 | 11 | 5 | 0 | 2 | 3 | 2:10 | -8 | 2 |
| 16 | სალერნიტანა | 11 | 3 | 1 | 7 | 8:17 | -9 | 10 | 5 | 3 | 1 | 1 | 6:3 | +3 | 8 | 6 | 0 | 0 | 6 | 2:14 | -12 | 0 |
| 17 | ვიჩენცა | 11 | 2 | 4 | 5 | 6:16 | -10 | 10 | 5 | 2 | 1 | 2 | 5:8 | -3 | 7 | 6 | 0 | 3 | 3 | 2:7 | -5 | 3 |
| 18 | ვენეცია | 11 | 1 | 3 | 7 | 4:14 | -10 | 6 | 6 | 1 | 2 | 3 | 2:4 | -2 | 5 | 5 | 0 | 1 | 4 | 2:10 | -8 | 1 |

*ემპოლის 2 ქულა აქვს დაკლებული

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ბატისტუტა (ფიორენტინა) | 11 |
| ამოროზო (უდინეზე) | 8 |
| კრესპო (პარმა) | 7 |
| მუცი (კალიარი) | 7 |

### XII ტური

6 დეკემბერი

კალიარი - ვენეცია
ფიორენტინა - ბოლონია
იუვენტუსი - ლაციო
მილანი - უდინეზე
რომა - პერუჯა
პიაჩენცა - ემპოლი
სალერნიტანა - ბარი
სამპდორია - პარმა
ვიჩენცა - ინტერი

## სერია B

XII ტური

### ტორინო 2:1 ატალანტა

1:0 ფერანტე (33), 2:0 ასტა (67), 2:1 კაჩა (68)

### ტერნანა 0:1 ლეჩე

0:1 კოცა (27)

### ლუკეზე 2:1 კრემონეზე

1:0, 1:1, 2:1 პაჩი (4, 50 ს.კ, 62პ)
ჯენოა 1:0 ტრევიზო
1:0 რუოტოლო (76)

### ფ. ანდრია 0:1 რეჯინა

0:1 არტიკო (3)

### ბრეშა 0:2 ვერონა

0:1 კამარატა (18), 0:2 გუიდონი (50)

### კიევო 0:2 ნაპოლი

0:1 ტურინი (81), 0:2 სკაპოლო (89)

### ჩეზენა 2:0 რეჯანა

1:0, 2:0 კომანდინი (27პ, 30)

### მონცა 1:0 რავენა

1:0 კრისტიანო (48)

### კოზენცა 1:5 პესკარა

0:1 ესპოზიტო (10), 0:2 ჯელსი (30), 1:2 ტატი (44), 1:3, 1:4 პიზანო (58, 67პ), 1:5 გალეოტო (88)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვერონა | 12 | 9 | 2 | 1 | 24:8 | 29 |
| ტრევიზო | 12 | 7 | 4 | 1 | 18:9 | 25 |
| ტორინო | 12 | 7 | 2 | 3 | 20:10 | 23 |
| პესკარა | 12 | 7 | 2 | 3 | 21:12 | 23 |
| ლეჩე | 12 | 6 | 3 | 3 | 13:9 | 21 |
| რავენა | 12 | 5 | 4 | 3 | 15:15 | 19 |
| ნაპოლი | 12 | 4 | 6 | 2 | 11:8 | 18 |
| რეჯინა | 12 | 4 | 5 | 3 | 13:11 | 17 |
| ატალანტა | 12 | 4 | 4 | 4 | 9:8 | 16 |
| მონცა | 12 | 4 | 4 | 4 | 8:10 | 16 |
| ბრეშა | 12 | 3 | 6 | 3 | 8:7 | 15 |
| ჯენოა | 12 | 4 | 3 | 5 | 13:14 | 15 |
| ტერნანა | 12 | 3 | 5 | 4 | 11:15 | 14 |
| კრემონეზე | 12 | 3 | 4 | 5 | 13:18 | 13 |
| კიევო | 12 | 3 | 3 | 6 | 7:13 | 12 |
| კოზენცა | 12 | 3 | 3 | 6 | 11:18 | 12 |
| რეჯანა | 12 | 2 | 5 | 5 | 11:15 | 11 |
| ლუკეზე | 12 | 1 | 6 | 5 | 7:11 | 9 |
| ჩეზენა | 12 | 1 | 4 | 7 | 8:17 | 7 |
| ფ. ანდრია | 12 | 1 | 3 | 8 | 5:18 | 6 |

# ესპანეთი

## XII ტური

### ბილბაო 1:0 მალიორკა

1:0 ურსაისი (6)
ბილბაო: ი. ეჩებერია, ფელიპე, ლარასაბალი, ფერეირა, ურუტია, კარლოს გარსია, ალკისა, ხავი გონსალესი (ლაკრუსი 65), ესკუერო (გერერო 65), ხ. ეჩებერია, ურსაისი (ლასა 80)
მალიორკა: როა, სივიერო, მ. სოლერი, მარსელინო, ოლაისოლა, იბაგასა (ჩუპა ლოპესი 46), სტანკოვიჩი, ლორენი, ენგონგა, ბიაჯინი, დანი
გაფრთხილება: ბიაჯინი, დანი
მსაჯი: ბუენო გრიმალი

### ვილიარეალი 2:0 ალავესი

1:0 ალბერტო (44), 2:0 გერარდო (66)
ვილიარეალი: პალოპი, პასკუალი, ტასევსკი, რობერტო, ალბელდა, კრაიოვეანუ (გარსია სან ხუანი 77), გერარდო, დიასი, ალფარო (ალბერტო 34), მოიზესი
ალავესი: კიკე, ალფონსო (მანიო 57), კარმონა, გალანი (ივან როჩა 46), ბერუე, იბონ ბეგონია, კანაბალი, პაბლო გომესი (ალექსი 76), დესიო, ასკოიტია, სივორი
გაფრთხილება: მოიზესი, ბერუე, პაბლო გომესი, ასკოიტია
მსაჯი: ესკინა ტორესა

### ვალიადოლიდი 0:1 დეპორტივო

0:1 პაულეტა (5)
ვალიადოლიდი: სეზარი, მარკოსი, გარსია კალვო, სანტა მარია, ხულიო სეზარი, კამინერო (ალბერტო 65), ტურიელი (ეუსებიო 46), ტორეს გომესი, ჩემა, პეტერნაკი, ვიქტორი
დეპორტივო: სონგო, რომერო (ხავი ლოპესი 80), არმანდო, ნაიბეტი, ზიანი, ჯალმინია (პაჯი 71), მაურო სილვა, ფრანი, კონსეისაო, დონატო, პაულეტა (ტურუ ფლორესი 78)
გაფრთხილება: ვიქტორი, არმანდო, ნაიბეტი, მაურო სილვა
მსაჯი: ანსატეგი როჩა

### ბეტისი 1:0 ტენერიფე

1:0 ფინიდი (57)
ბეტისი: პრატსი, ლუის ფერნანდესი, მერინო, სოლოსაბალი, ოლიასი, იტო (ალექსისი 64), კანიასი, ფერნანდო (ბენჟამინი 68), ფინიდი, დენილსონი (გალვესი 81), ოლი
ტენერიფე: უნსუე, ალექსისი, პაბლო პასი, ანდრე ლუისი (მატა 64), იოკანოვიჩი, ფელიპე (დომინგუში 60), ემერსონი, დანი, სლოვაკი, რობაინა (კოდრო 76), მაკაი
გაფრთხილება: მერინო, იტო, ფერნანდო, იოკანოვიჩი, დანი
მსაჯი: დიას ვეგა

### სარაგოსა 1:0 ოვიედო

1:0 მილოშევიჩი (6)
სარაგოსა: ხუანმი, პაბლო, პაკო, კუარტერო, აგუადო, ხოსე იგნასიო, კილი გონსალესი, ტორო აკუნია, მილოშევიჩი, ჯამელი, მარკო ვალესი (არაგონი 58)
ოვიედო: ესტებანი, მანელი, სეზარი, ნადი (დელი ვალდესი 75), ესკურსა, პომპეი, პაულო ბენტო, ონოპკო, ხაიმე (ივან ანია 60), ფაბიო პინტუ (მიოლერი 84), დუბოვსკი
გაფრთხილება: მილოშევიჩი, მარკოს ვალესი, სეზარი, პომპეი
მსაჯი: კარმონა მენდესი

### რასინგი 0:1 სოსიედადი

0:1 კოვაჩევიჩი (67)
რასინგი: სებალოსი, არსენო, მელბერგი, ნერუ (სიეტესი 31), მერინო, ტაისი (პრესიადუ 75), ვივარ დორადო, ვიქტორი, ისმაელი (ხელი 85), მუნიტისი, ბესტჩასტნიხი
სოსიედადი: ალბერტო, არანსაბალი, ლორენი, ანტია, ლოპეს რეკარტე, გომესი, გრასია, დე პაულა (იარეგი 73), კუხბაუერი, კოვაჩევიჩი, სა პინტუ (იდიაკესი 59)
გაფრთხილება: არსენო, მუნიტისი, ალბერტო, ანტია, კუხბაუერი
გაძევება: მერინო
მსაჯი: ბრიტო არსეო

### ესტრემადურა 1:0 ესპანიოლი

1:0 ივან ელგერა (34ს.კ.)
ესტრემადურა: გასპერჩიჩი, დავიდი, ბელენგუერი, კალა, ოსკარი, ხუანიტო, პოლი, ტონი ველამასანი (ბოგდანოვიჩი 82), დური (ტორილი 80), მანუელი (პედრო ხოსე 57), რუედა
ესპანიოლი: ტონი, კრისტობალი, ნანდო, პოჩეტინიო, ვილა, ივან ელგერა, კაპდევილა, არტეაგა (ნან რიბერა 56), ესნაიდერი, ბენიტესი (სერხიო 71), კიკე მარტინი (მარტინ პოსე 46)
გაფრთხილება: კალა, მანუელი, რუედა, არტეაგა, ბენიტესი
მსაჯი: პერეს ბურული

### სელტა 2:2 ვალენსია

0:1 პოპესკუ (21), 1:1 მოსტოვოი (32), 2:1 სანჩესი (55), 2:2 ილიე (66)
სელტა: დუტრუელი, კასერესი, ეგენი, გ. ჯოროვიჩი, ტომასი (ბერხესი 64), მაკელელე, მაზინიო, კარპინი, მოსტოვოი, პენევი (გუდელი 64), სანჩესი
ვალენსია: კანისარესი, როში, ჯუკიჩი, კარბონი, შვარცი (ხუან ფრანი 81), პოპესკუ (ანგლომა 63), მენდიეტა, მილა, კ. ლოპესი, ილიე, ანგულო
გაფრთილება: კასერესი, კარპინი, მოსტოვოი, პენევი, ანგლომა, მილა, კ. ლოპესი, ილიე
მსაჯი: ანდრადას ასურმენდი

### ბარსელონა 0:1 ატლეტიკო

0:1 იუგოვიჩი (39პ)
ბარსელონა: ჰესპი, პელეგრინო (სელადესი 63), სერხი, რაიციგერი, ოკუნოვო, ზენდენი (ჩირიჩი 46), ხავი, კოკუ, ფიგუ, ჯოვანი (ანდერსონი 46), კლუივერტი
ატლეტიკო: მოლინა, სერენა, შამოტი, ონი (რამონი 64), სანტი, აგილერა, იუგოვიჩი, ვალერონი (მენა 59), ლარდინი, ხოსე მარი, კიკო (ჟუნინიო 69)
გაფრთხილება: პელეგრინო, რაიციგერი, ფიგუ, ჯოვანი, კლუივერტი, სანტი, აგილერა, იუგოვიჩი
მსაჯი: მედინა კანტალიეხო

# პატარა ჰარუნას ოცნება

ხანდახან ისეც ხდება, რომ წინა სამატჩო ამბები გაცილებით დიდ ინტერესს იწვევს და უფრო ამახსოვრდებათ გულშემატკივრებს, ვიდრე თავად თამაში. შაბათ საღამოს, ბარსელონაში „კამპ ნოუზე“ კატალონური კლუბი ასი წლის იუბილეს აღნიშნავდა, თუმცა ხალხს, „ბარსას“ ქომაგებს დღესასწაული ჩაუშხამდათ. „ბარსელონამ“ შინ, მადრიდის „ატლეტიკოსთან“ წააგო, ვერც გოლი გაიტანა და სათანადოდაც ვერ ითამაშა, უნიათობის გამო კი საუკუნოვანი იუბილე, დიდ ზეიმად რომ უნდა ქცეულიყო, ერთ რიგით თარიღად იქცა.

მატჩამდე ორი საათით ადრე „კამპ ნოუზე“ შეკრებილი გულშემატკივრები ზეიმობდნენ და ბრწყინვალე თამაშის მოლოდინში ხასხასა მინდორზე მეტოქეთა გამოჩენას ელოდნენ. ტრიბუნაზე კლუბის ემბლემები იხატებოდა, ხალხი კატალონიის დროშას აფრიალებდა.

... პირველ ტაიმს ექვსი წუთი უკლდა, იუგოსლავიელმა ვლადიმირ იუგოვიჩმა გოლი რომ გაიტანა — პენალტი გამოიყენა, რუდ ჰესპის კარის ბადე შეარხია, თანაგუნდელებს ფრთები შეასხა და საბოლოო ჯამში „ატლეტიკოს“ წარმატება განაპირობა. სტუმართა მწვრთნელი, იტალიელი არიგო საკი ისე ხარობდა, ეს ორმოცდაათს მიტანებული კაცი ბავშვივით ცმუკავდა. „ბარსელონას“ „კამპ ნოუზე“ დამარცხება მართლაც სასახელო საქმეა, მაგრამ ამ ბოლო ხანებში ეს ისე ხშირია, კატალონიაში მოგებამ გარკვეულწილად ფასიც კი დაკარგა.

ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, შინ თამაშობ თუ გარეთ. „ბარსელონას“ ისტორიის მანძილზე ხშირად მომხდარა, „ლურჯ-წითლებს“ გადამწყვეტი მატჩები სწორედ გულშემატკივართა წყალობით მოუგიათ. კამპნოუელ ბიჭებს ქომაგობა არასდროს აკლდათ, მაგრამ შაბათს „ატლეტიკოს“ წინააღმდეგ იმდენად დასნეულებული „ბარსელონა“ წარდგა, გულშემატკივრები უძლურნი იყვნენ.



REUTERS

ბარსელონა — ატლეტიკო. ვლადიმირ იუგოვიჩმა (მარცხნივ) მასპინძლებს საუკუნოვანი იუბილე ჩაუშხამა

„ჯალათია ვან გაალი. ჯალათია და მეტი არაფერი“ — გაჰყვიროდნენ ქომაგები, თითქმის მთელი შეხვედრის განმავლობაში. ჰოლანდიელი მწვრთნელის მსხვერპლად კი ვის გულისხმობდნენ, ალბათ, ადვილი მისახვედრია. ის, რომ „ბარსელონა“ წყალწაღებულთა მორევში გადაეშვა, ბევრის აზრით, სწორედ ლუის ვან გაალის „დამსახურებაა“. ასე ფიქრობენ ქომაგები, „ბარსელონას“ ყოფილი მწვრთნელი იოჰან კრუიფი, ფეხბურთის სპეციალისტები და რაც მთავარია, ჟურნალისტები. ასე განსაჯეთ, კატალონიური კლუბის ყოფილი ფეხბურთელებიც.

დიდმა ჰოლანდიელმა იოჰან კრუიფმა თავის დროზე „ბარსელონას“ პრეზიდენტს ხოსე ლუის ნუნიესს ადამიანი-გამოცანა უწოდა. რამ გააოცა კრუიფი?

სანამ ვან გაალი „კამპ ნოუზე“ მივიდოდა, კლუბს ინგლისელი ბობი რობსონი წვრთნიდა. მისი ხელმძღვანელობით „ბარსელონამ“ მოიგო ესპანეთის სუპერთასი, ესპანეთის თასი, თასების მფლობელთა თასი, ხოლო ქვეყნის ჩემპიონატში მეორე ადგილზე გავიდა. და ეს ყველაფერი ერთ სეზონში. ოთხი ასპარეზობიდან „ბარსამ“ სამი მოიგო, ერთში კი მეორე ადგილზე გავიდა. ყოველივე ამასთან ერთად გუნდი ბრწყინვალე ფეხბურთს თამაშობდა. რა მოხდა შემდეგ? ხოსე ლუის ნუნიესმა რობსონს ესპანეთის ჩემპიონატში მეორე ადგილი არ აპატია, ლამის წყალში ჩაუყარა სამი თასის მოგება და იგი კლუბიდან გაუშვა. სანაცვლოდ ვან გაალი გადაიბირა, იფიქრა, ციდან ვარსკვლავებს მოვწყვეტო, მაგრამ არ გაუმართლა. „ბარსელონა“ არასტაბილურობით დაავადდა, შემდეგ კი ხასიათის კლუბად იქცა — დღეს თუ ბრწყინვალედ თამაშობს, ხვალ ზედაც არ შეხედავ. ყველაფერი ეს შედეგზეც ისახება — აგერ უკვე ორი სეზონია, „ბარსელონას“ ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ტურნირი ვერ დაუძლევია. თუ გასულ სეზონში კლუბმა შინაურ ასპარეზზე დუბლი მოახერხა, წლეულს ამის უფლებას აღარავინ მისცემს — პრიმერა დივიზიონში რამდენიმე თანაბარძალოვანი კლუბი დაგროვდა.

რაკი „ბარსელონას“ საამსეზონო მეტოქეებზე ჩამოვარდა სიტყვა, შორს ნუ წავალთ და აგერ „ატლეტიკოზე“ ვთქვათ. ხესუს ხილი ხილი მეტად ბრძნულად მოიქცა, მწვრთნელად არიგო საკი რომ მიიწვია. იტალიელმა „ატლეტიკოს“ მებრძოლი სული შთაბერა, გუნდმაც მის ტაქტიკას მალე აუღო ალღო და ძლიერადაც ათამაშდა. „ბარსელონაც“ იმსხვერპლა.

აქამდე „ბარსელონას“ და „ატლეტიკოს“ „კამპ ნოუზე“ 63-ჯერ ეთამაშათ. თხუთმეტი ფრედ დასრულებული შეხვედრის გარდა, მადრიდელები 38-ჯერ დამარცხებულიყვნენ, თან არც მეტი, არც ნაკლები, 153 ბურთი გაეშვათ, ანუ საშუალოდ მატჩში ორი გოლი. ამჯერად „ბარსელონამ“ ორი კი არა, საერთოდ ვერ გაიტანა და თავად დამარცხდა. მოგვიანებით, მეორე ნახევარში, ლუის ვან გაალმა იაზრა, რომ წინ წასვლა იყო საჭირო და არაფრისმაქნის ჯოვანის ნაცვლად სონი ანდერსონი ჩართო თამაშში. ბრაზილიელმა კლუივერტთან ერთობ სახიფათო თავდასხმის წყვილი შექმნა, მაგრამ არაფერი გამოვიდა — მოლინა კარს თავგანწირვით იცავდა.

რაც შეეხება პენალტს, რომელიც ვლადიმირ იუგოვიჩმა გაიტანა, ის მიხაელ რაიციგერის უხეშობის გამო დაინიშნა — ვან გაალის თანამემამულემ საჯარიმოში შეჭრილ ახალგაზრდა ხოსე მარისთნ იუხეშა. მერე რაც მოხდა, თავში გითხარით.

ამ მეტად საჭირო მოგებით „ატლეტიკომ“ დიდი პროგრესი განიცადა — მესამე ადგილზე გადაინაცვლა.

ლიდერი ამჯერად იგივე დარჩა — „მალიორკამ“ ბასკეთში ბილბაოელებთან წააგო და ლიდერის პოზიცია ვიგოელთა დაუდევრობის გამო შეინარჩუნა. „სელტამ“, თავის მხრივ, შინ „ვალენსიას“ ვერ აჯობა.

მიუხედავად „მალიორკასთან“ გამარჯვებისა, ლუის ფერნანდესის „ბილბაო“ მაინც ვერაა სათანადო ადგილზე. ქვეყნის პირველობის მეორე ფრიზიორი, რომლისგან წლეულს მეტს ელოდნენ, სუსტად თამაშობს, დაცვას, ნახევარდაცვასა და თავდასხმას შორის კავშირი მორღვეულია, ყოველივე ამას კი მოსდევს ის, რომ გუნდი ერთ შეხვედრას იგებს, მეორეს აგებს.

— ჩემპიონთა ლიგამ დიდი ძალები წაგვართვა. ახლა მთლიანად ჩემპიონატზე გადავერთვებით და იმედია, წარმატებას მალე მივაღწევთ. ამოსუნთქვის საშუალება მოგვეცემა — განუცხადა ჟურნალისტებს ისმაელ ურსაისმა, მალიორკელთა არგენტინელი გოლკიპერის კარლოს როას კარში გატანილი ერთადერთი გოლის ავტორმა.

ლიგაში ასპარეზობისთვის ფერნანდესის გუნდი მზად რომ არ იყო, ეს ადრევე ჩანდა, მაგრამ პრიმერა დივიზიონში ძველისძველ ნაცნობებთან პაექრობას განა რა განსაკუთრებული მომზადება სჭირდებოდა? ბასკები შინ იგებდნენ, სტუმრად მარცხდებოდნენ, ამის გამო კი ცხრილის ფსკერზე ჩაიძირნენ.

თამაში და მასთან ერთად სატურნირო მდგომარეობა გამოასწორა სევილიურმა „ბეტისმა“. გუნდის მწვრთნელად ესპანეთის ნაკრების ყოფილი თავკაცის ხავიერ კლემენტეს დანიშვნამ სასიკეთო შედეგი გამოიღო — გუნდმა ხუთ მატჩიდან ოთხი მოიგო და ძლიერთა მარაქაში გაერია. ახლა გამარჯვების მომტანი გოლი ნიგერიელმა ჯორჯ ფინიდიმ გაიტანა. მსოფლიოს უძვირფასესი ფეხბურთელი, ბრაზილიელი დენილსონი კი კვლავ არ ჩანდა. 35 მილიონი დოლარის გადახდა დენილსონში სხვა არაფერი იყო, თუ არა უაზრობა.

ამჯერად მეთორმეტე ტური არ დასრულებულა — „რეალი“ საკონტინენტთაშორისო თასის თამაშისთვის ემზადებოდა, ამიტომაც „სალამანკასთან“ სამეფო კლუბის დაპირისპირება ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციამ 6 იანვრისთვის გადაიტანა.

პრიმერა დივიზიონზე საუბარს აქ დავამთავრებთ და ორიოდ სიტყვით მეორე დივიზიონს შევეხებით — „ბარსელონას“ მეორე გუნდმა მე-14 ტურში „ოსასუნა“ იმსხვერპლა და ბოლო ორი გოლი, იცით, ვინ გაიტანა? აიაქსელი ტიჯანი ბაბანგიდას 16 წლის ძმამ, ჰარუნამ. სხვათა შორის, პატარა ჰარუნას „დუბლის“ შემდეგ განუცხადებია, „ბარსელონას“ პირველ კლუბში თამაშზე ახლა უკვე სერიოზულად ვოცნებობო.

**ლაშა გოდუაძე**

| № | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | მალიორკა | 12 | 6 | 4 | 2 | 13:5 | +8 | 22 | 6 | 5 | 1 | 0 | 10:1 | +9 | 16 | 6 | 1 | 3 | 2 | 3:4 | -1 | 6 |
| 2 | სელტა | 12 | 5 | 6 | 1 | 22:13 | +9 | 21 | 6 | 3 | 3 | 0 | 12:5 | +7 | 12 | 6 | 2 | 3 | 1 | 10:8 | +2 | 9 |
| 3 | ატლეტიკო | 12 | 6 | 2 | 4 | 22:14 | +8 | 20 | 6 | 5 | 1 | 0 | 18:3 | +15 | 16 | 6 | 1 | 1 | 4 | 4:11 | -7 | 4 |
| 4 | დეპორტივო | 12 | 5 | 5 | 2 | 15:11 | +4 | 20 | 6 | 4 | 2 | 0 | 11:4 | +7 | 14 | 6 | 1 | 3 | 2 | 4:7 | -3 | 6 |
| 5 | ბარსელონა | 12 | 5 | 4 | 3 | 20:13 | +7 | 19 | 6 | 3 | 2 | 1 | 12:6 | +6 | 11 | 6 | 2 | 2 | 2 | 8:7 | +1 | 8 |
| 6 | ვალენსია | 12 | 6 | 1 | 5 | 21:15 | +6 | 19 | 6 | 5 | 0 | 1 | 14:5 | +9 | 15 | 6 | 1 | 1 | 4 | 7:10 | -3 | 4 |
| 7 | სარაგოსა | 12 | 6 | 1 | 5 | 17:17 | 0 | 19 | 6 | 3 | 0 | 3 | 10:12 | -2 | 9 | 6 | 3 | 1 | 2 | 7:5 | +2 | 10 |
| 8 | რეალი | 11 | 5 | 3 | 3 | 24:18 | +6 | 18 | 5 | 1 | 2 | 2 | 9:8 | +1 | 5 | 6 | 4 | 1 | 1 | 15:10 | +5 | 13 |
| 9 | ბეტისი | 12 | 5 | 2 | 5 | 8:14 | -7 | 17 | 6 | 3 | 1 | 2 | 5:7 | -2 | 10 | 6 | 2 | 1 | 3 | 3:7 | -4 | 7 |
| 10 | რასინგი | 12 | 4 | 4 | 4 | 15:16 | -1 | 16 | 6 | 3 | 2 | 1 | 10:5 | +5 | 11 | 6 | 1 | 2 | 3 | 5:11 | -6 | 5 |
| 11 | ბილბაო | 12 | 5 | 1 | 6 | 18:20 | -2 | 16 | 6 | 3 | 1 | 2 | 12:10 | +2 | 10 | 6 | 2 | 0 | 4 | 6:10 | -4 | 6 |
| 12 | სოსიედადი | 12 | 4 | 4 | 4 | 15:17 | -2 | 16 | 6 | 3 | 2 | 1 | 9:5 | +4 | 11 | 6 | 1 | 2 | 3 | 6:12 | -6 | 5 |
| 13 | ოვიედო | 12 | 4 | 3 | 5 | 15:17 | -2 | 15 | 6 | 2 | 1 | 2 | 6:4 | +2 | 10 | 6 | 1 | 2 | 3 | 9:13 | -4 | 5 |
| 14 | ვალიადოლიდი | 12 | 4 | 3 | 5 | 11:15 | -4 | 15 | 6 | 4 | 0 | 2 | 8:5 | +3 | 13 | 6 | 0 | 3 | 3 | 3:10 | -7 | 3 |
| 15 | სალამანკა | 11 | 4 | 2 | 5 | 11:18 | -7 | 14 | 6 | 4 | 1 | 1 | 9:5 | +4 | 13 | 5 | 0 | 1 | 4 | 2:13 | -11 | 1 |
| 16 | ვილიარეალი | 12 | 3 | 4 | 5 | 16:17 | -1 | 13 | 6 | 3 | 2 | 1 | 13:8 | +5 | 11 | 6 | 0 | 2 | 4 | 3:9 | -7 | 2 |
| 17 | ესპანიოლი | 12 | 3 | 4 | 5 | 13:14 | -1 | 13 | 6 | 2 | 3 | 1 | 7:6 | +1 | 9 | 6 | 1 | 1 | 4 | 6:8 | -2 | 4 |
| 18 | ალავესი | 12 | 3 | 3 | 6 | 9:14 | -5 | 12 | 6 | 2 | 2 | 2 | 4:3 | +1 | 8 | 6 | 1 | 1 | 4 | 5:11 | -7 | 4 |
| 19 | ესტრემადურა | 12 | 3 | 2 | 7 | 8:20 | -17 | 11 | 6 | 2 | 1 | 3 | 3:8 | -5 | 7 | 6 | 1 | 1 | 4 | 5:12 | -7 | 4 |
| 20 | ტენერიფე | 12 | 2 | 4 | 6 | 15:20 | -5 | 10 | 6 | 0 | 4 | 2 | 7:9 | -2 | 4 | 6 | 2 | 0 | 4 | 8:11 | -3 | 6 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ვიქტორ სანჩესი (რასინგი) | 7 |
| ურსაისი (ბილბაო) | 7 |
| კ. ლოპესი (ვალენსია) | 6 |
| რაული (რეალი) | 6 |
| მაკაი (ტენერიფე) | 6 |

### XIII ტური

6 დეკემბერი

ვილიარეალი - ვალიადოლიდი
დეპორტივო - ბარსელონა
ატლეტიკო - ბილბაო
მალიორკა - ბეტისი
ტენერიფე - სარაგოსა
ოვიედო - რასინგი
სოსიედადი - ესტრემადურა
ესპანიოლი - რეალი
სალამანკა - სელტა
ალავესი - ვალენსია

## მეორე დივიზიონი

### XIV ტური

**ლას პალმასი 6:0 ორენსე**
1:0 პაკუი (23), 2:0 ორლანდო (35), 3:0, 4:0 რენალდო (41, 61), 5:0 ელოი (88), 6:0 სოკორო (90)

**ტოლედო 3:3 ლეგანესი**
1:0 ლოსადა (2), 1:1 ხოსე მარი (22), 2:1 კინი (24), 2:2 ხოსე მარი (32), 3:2 კინი (40), 3:3 ხოსე მარი (79)

**ბარსელონა B 4:0 ოსასუნა**
1:0, 2:0 ლუისი (37, 41), 3:0, 4:0 ბაბანგიდა (64, 74)

**ერკულესი 0:3 მალაგა**
0:1 კატანია (75), 0:2, 0:3 რუანო (78, 88)

**რაიო 1:1 ნუმანსია**
0:1 ხავი მორენო (28), 1:1 პაბლო სანსი (73)

**ატლეტიკო B 0:0 კომპოსტელა**

**ლოგრონიესი 1:1 ლეიდა**
1:0 იგლესიასი (59), 1:1 კალდერონი (61)

**მალიორკა B 0:0 სევილია**

**სპორტინგი 0:1 რეკრეატივო**
0:1 ფერეირა (32)

**ეიბარი 1:0 მერიდა**
1:0 გარიტანო (54პ)

**ალბასეტე 0:1 ბადახოსი**
0:1 არტერო (74)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნუმანსია | 14 | 10 | 4 | 0 | 28:7 | 34 |
| ტოლედო | 14 | 7 | 6 | 1 | 21:11 | 27 |
| ლას პალმასი | 14 | 7 | 5 | 2 | 26:10 | 26 |
| რაიო | 14 | 6 | 7 | 1 | 16:15 | 25 |
| მალაგა | 14 | 7 | 3 | 4 | 21:17 | 24 |
| ლეიდა | 14 | 6 | 5 | 3 | 18:14 | 23 |
| სევილია | 14 | 6 | 5 | 3 | 16:12 | 23 |
| ატლეტიკო B | 14 | 6 | 4 | 4 | 24:19 | 22 |
| რეკრეატივო | 14 | 6 | 4 | 4 | 10:7 | 22 |
| ოსასუნა | 14 | 6 | 4 | 4 | 13:11 | 22 |
| კომპოსტელა | 14 | 5 | 6 | 3 | 20:15 | 21 |
| მერიდა | 14 | 4 | 6 | 4 | 13:12 | 18 |
| ლოგრონიესი | 14 | 4 | 5 | 5 | 17:20 | 17 |
| ბადახოსი | 14 | 4 | 3 | 7 | 10:12 | 15 |
| ლეგანესი | 14 | 4 | 3 | 7 | 14:22 | 15 |
| მალიორკა B | 14 | 4 | 2 | 8 | 17:21 | 14 |
| ალბასეტე | 14 | 3 | 4 | 7 | 9:15 | 13 |
| ერკულესი | 14 | 3 | 4 | 7 | 12:21 | 13 |
| ორენსე | 14 | 4 | 1 | 9 | 11:24 | 13 |
| ეიბარი | 14 | 3 | 2 | 9 | 12:23 | 11 |
| სპორტინგი | 14 | 2 | 4 | 8 | 10:21 | 10 |
| ბარსელონა B | 14 | 2 | 3 | 9 | 16:28 | 9 |

# ველოდრ-ომი

## საფრანგეთი

XVI ტური

**მარსელი 0:0 პსჟ**

**ბორდო 1:0 ლანსი**

1:0 მიკუ (58)

**რენი 2:3 ნანტი**

1:0 ნონდა (25), 1:1 სიბიერსკი (30), 2:1 გრეგუარი (44), 2:2 სიუფო (83), 2:3 ლე რუ (88)

**ბასტია 4:1 ლიონი**

1:0 ჟურიეტი (17), 2:0 ნე (22), 2:1 გრასი (43), 3:1, 4:1 ანდრე (68 პ, 72)

**სტრასბური 1:1 მონაკო**

0:1 კრისტანვალი (22), 1:1 მარტინსი (25)

**მეცი 3:1 მონპელიე**

1:0 როდრიგესი (45), 1:1 სილვესტრი (49), 2:1, 3:1 ლუკიჩი (54, 77)

**ლე ავრი 2:1 ოსერი**

0:1 დენიო (19), 1:1 მამუნი (51), 2:1 ბეკანოვიჩი (52)

**ტულუზი 1:1 სოშო**

1:0 პეტროვიჩი, 1:1 ბ. ბუჟე (74)

**ლორიანი 0:1 ნანსი**

0:1 ვიარი (44)

საფრანგეთის პირველი დივიზიონის მე-16 ტური აღსანიშნავი იყო დაუძინებელი მტრების — „მარსელისა“ და „პარი სენ ჟერმენის“ დაპირისპირებით. კვირას გამართულ ამ მატჩში მაყურებელმა თითქმის ყველაფერი იხილა, რაც ფეხბურთს ახასიათებს — მძაფრი შეტევები, დაცვაში თავდადებული თამაში, ძელზე მორტყმული ბურთები, ფეხბურთელთა გაწევ-გამოწევა, მწვრთნელთა პროტესტები, პირ-

ამ მომენტში კი არტურ ჟორჟემ ნერვები ვერ მოთოკა და თანამსაჯს ეძგერა, თამაშგარე რატომ არ დააფიქსირეო. მას „მარსელის“ სათადარიგოთა სკამი უმალ გამოეხმაურა და ჩხუბიც ატყდა, სადაც ყველაზე მეტად მასპინძელთა მცველმა ბლონდომ იაქტიურა. მისმა დარტყმამ კი უწია მიზანს, მაგრამ ამით მხოლოდ მარკო სიმონე დაზარალდა და არა პსჟ — იტალიელს გვარიანი მუშტი მოხვდა სახეში, პასუხის გაცემა კი ვერ შეძლო.

შესვენებაზე გასახდელებში მიმავალ გუნდის კაპიტნებთან ძალიან მკაცრად გაარჩია ინციდენტი შეხვედრის მთავარმა არბიტრმა და ბლანსაც და სიმონესაც თანაგუნდელების დაწყნარება მოსთხოვა.

თუ პირველი ტაიმი მთლიანად მასპინძელთა უპირატესობით წარიმართა, მატჩის მეორე ნახევარში „პარი სენ ჟერმენმაც“ სცადა გოლის გატანა. თამაში ორმხრივ იერიშებში გაგრძელდა, რამაც იგი კიდევ უფრო საინტერესო გახადა. 47-ე წუთი: ბლანის მეკარისთვის მიცემული პასი სიმონემ კინაღამ ჩაჭრა. 53-ე წუთი: ადაილტონის პასის შემდეგ კვლავ სიმონე ჩაერთო საქმეში. ბურთი სტეფან პორატოს კარის მარჯვენა ცხრიანს ოდნავ ასცდა. 59-ე წუთი: მარცხენა ფლანგზე კამარამ გაილალა და სამი პარიზელი იოლად ჩამოიშორა. მისი ჩაწოდებული ბურთი მორისს მიუვიდა, რომელმაც უხეიროდ დაარტყა. მე-60 წუთი: შეცდომა უკვე პსჟ-ს ცენტრალურ მცველ ვიორნსს მიუვიდა. გერმანელს თავის საჯარიმოსთან მორი-

ნტი შევქმენით. ამ მოგებით მესამე ადგილზე მყოფ „რენს“ უკვე თერთმეტი ქულით გავასწარით, რაც იმედს გვაძლევს, რომ გაისად ჩემპიონთა ლიგაში მოვხვდებით“ — გახარებული იყო ჟირონდელთა თავკაცი ელი ბოპი.

ბოლო ოთხ მატჩში სამი მარცხი და ერთი ფრე. არ იფიქროთ, ამას რომელიმე მაჩანჩალა გუნდზე ვამბობთ. ასეთი ცუდი შედეგის მიუხედავად, „რენი“ მაინც მესამე ადგილზეა, რაც იმით აიხსნება, რომ მისი კონკურენტებიც ბლომად კარგავენ ქულებს. შაბათ საღამოს ბრეტონელები „ნანტთან“ დამარცხდნენ, მიუხედავად იმისა, რომ ორჯერ დაწინაურდნენ. „კარგად ვითამაშეთ და ერთ ქულას მაინც ვიმსახურებდით“ — დანანებით თქვა, „რენის“ მწვრთნელმა პოლ ლე გუენმა. შეიძლება ვინმემ იფიქროს, „რენი“ სტარტზე მშვენიერი თამაშის მერე გადაიღალა და კრიზისის დროც დაუდგაო, მაგრამ ასე არ თვლის ბრეტონელთა კაპიტანი გრეგუარი: „მეცში თავს დავდებთ და ყველას დავუმტკიცებთ, რომ მესამე ადგილზე შემთხვევით არ ვიმყოფებით“.

„მეცმა“ კი, ეტყობა, ბოლოს და ბოლოს მიაგნო თავის თამაშს. ლოტარინგიელებმა მე-16 ტურში „მონპელიეს“ უმასპინძლეს და ლამაზად გაიმარჯვეს. ანგარიში პირველი ტაიმის მიწურულს გახსნა წარმოშობით კორსიკელმა ბრუნო როდრიგესმა. მეორე ნახევრის დასაწყისში კი საპასუხო გოლი კუთხურის მოწოდების შემდეგ ფრანკ სილვესტრმა გაიტანა. ამის მერე სლადან ლუკიჩის ჯერი დადგა, რომელმაც დუბლის შესრულება შეძლო და თავის გუნდს სამი ქულა მოაპოვებინა.

უხვგოლიანი გამოდგა მატჩი კორსიკაზეც, სადაც ადგილობრივმა „ბასტიამ“ წინა ტურში „მარსელის“ დამმარცხებელი „ლიონი“ მიიღო. მიიღო და დიდი ანგარიშითაც დაამარცხა — 4:1. ბასტიელებმა თავიდანვე მძლავრად შეუტიეს და მალე ორი გოლითაც გაახარეს თავიანთი გულშემატკივრები. ჯერ ფრანკ ჟურიეტიმ ისახელა თავი საჯარიმო დარტყმიდან, შემდეგ კი ფრედერიკ ნემ გა-



მარსელი — პსჟ. „მარსელის“ თავდასხმამ პსჟს დაცვა ვერ გაარღვია

თამდე სავსე სტადიონი, მაგრამ ამ თამაშს აკლდა მთავარი — გოლი. ამაში „დამნაშავე“ კი სტუმართა გუნდია, რომელმაც ყველაფერი გააკეთა, რომ არ დამარცხებულიყო და მიაღწია კიდეც საწადელს.

„ეს ერთ-ერთი ყველაზე რთული გამოცდა იყო და ჩვენც თავი არ შევირცხვინეთ“ — თქვა მატჩის შემდეგ პარიზელთა თავკაცმა არტურ ჟორჟემ, რომელიც ქულის მოპოვებით ერთობ კმაყოფილი ჩანდა. პსჟ მთლიანად დაცვაზე ფიქრობდა და თერთმეტი დედაქალაქელი თითქმის გაუვალ ჯებირად აღიმართა საკუთარ კართან. მაგრამ მარსელელები საკმაოდ ხშირად ახერხებდნენ ამ ჯებირის გარღვევას, თუმცა ბოლო მომენტში... მე-16 წუთი: ალენ გომა საკუთარი კარიდან 25 მეტრში ჯარიმდება. ლორან ბლანის უძლიერესი დარტყმა ერიკ რაბესანდრატანას ხვდება. 24-ე წუთი: ერიკ რუა ჯარიმას აწვდის. ბლანის თავური კრისტიან ვიორნსს ხვდება, ბურთი გალასს მისდის. ახალგაზრდა მარსელელი მაკრატელათი გზავნის მას კარში. ზედა ძელი. 26-ე წუთი: კუთხური პსჟ-ს კართან. მაღალ ბურთზე რაბესანდრატანა ახტა და ნებით თუ უნებლიედ ხელით ითამაშა. მსაჯმა დუმილი ამჯობინა. 42-ე წუთი: მეტოქის საჯარიმოში ფლორიან მორისი შემობრუნებით ურტყამს. ბურთი მარცხენა ძელს ხვდება და ტიტი კამარას მისდის. კამარა კრისტოფ დიუგარის აწვდის, მსოფლიოს ჩემპიონის დარტყმა კი გომას ხვდება. 44-ე წუთი: მარცხენა ფლანგიდან ბრანდოს ჩაწოდება. ალჟერინო ბურთის გამოტანას ვერ ახერხებს და რობერ პირესს გოლის გატანის საუცხოო შანსი ეძლევა, მაგრამ მისი დარტყმული ბურთი ბერნარ ლამას ლუკმა ხდება. 45-ე წუთი: კამარას ფლანგურ გარღვევას ლამა უნებელყოფს.

სმა ბურთი მოპარა, მაგრამ მარსელელს კვლავ არაფერი გამოუვიდა. 67-ე წუთი: კამარას მშვენიერი გასროლილი ლამამ გაჭირვებით მოიგერია. 83-ე წუთი: ჯარიმის გათამაშების შემდეგ რუა ურტყამს, ბურთი მცველს ხვდება და დომოროს მისდის. მისი დარტყმული კვლავ მცველს მოხვდა და კარს ოდნავ ასცდა. 85-ე წუთი: რავანელიმ ბურთი ძელს მოარტყა. 86-ე წუთი: პირესი ერთი-ერთზე გავიდა ლამასთან და ბურთი თავზე გადაუგდო, მაგრამ ვიორნსმა საკუთარი კარის ხაზთან მოუსწრო მას და პსჟ-ც კიდევ ერთხელ გადარჩა გოლს.

„პარი სენ ჟერმენმა“, ისევე როგორც შარშან, ერთი ქულის წაღება მოახერხა მარსელიდან, თუმცა გასული სეზონისგან გასხვავებით, წლეულს მას ფორტუნაც საკმაოდ მოეხმარა. „ჩვენსა და პსჟ-ს შორის დიდი განსხვავებაა. „მარსელი“ თამაშის გაწვავებას არ ერიდებოდა და მხოლოდ მოგება სურდა. გაკვირვებული ვარ, როცა სიხარულის შეძახილები მესმის მეტოქის გასახდელიდან. მატჩის მოგება არც კი უცდიათ და ჩვენ კვლავ თოთხმეტი ქულით ჩამოგვრჩებიან. პარიზელ მაყურებელს ახლავე ვეტყვი, რომ მეორე წრეში, 5 მაისს, „პარკ დე პრესის“ მინდორზე სათამაშოდ და მოსაგებად და არა ყრუ დაცვით ქულის ასაღებად გავალთ“ — თქვა მასპინძელთა მწვრთნელმა როლან კურბისმა.

„მარსელის“ მიერ ორი ქულის დაკარგვით იმწამს ისარგებლა „ბორდომ“, რომელმაც საფრანგეთის ჩემპიონ „ლანსს“ მოუგო და გათამაშების ცხრილს კვლავ სათავეში მოექცა. იოან მიკუს გოლი სავსებით საკმარისი აღმოჩნდა წარმატების მისაღწევად. „მშვენიერი შეხვედრა იყო ორ მშვენიერ გუნდს შორის. ჩვენი გამარჯვება მართლაც ლოგიკურია, რადგან მეტოქეზე გაცილებით მეტი სახიფათო მომე-

იტანა მეორე გოლი თავურით. სახიფათო მომენტები სტუმართა კართან ამის მერეც მრავლად იქმნებოდა, მაგრამ უშედეგოდ. ტაიმის მიწურულს კი „ლიონის“ ერთ-ერთი იშვიათი შეტევა შვეიცარიელმა მარკო გრასიმ დააგვირგვინა. მეორე ტაიმი პირველის მსგავსად წარიმართა და მასპინძლებმა კიდევ ორი გოლის გატანა მოახერხეს — ორჯერვე ექსრენელი პიერ-ივ ანდრე აღმოჩნდა მოწოდების სიმაღლეზე.

მომდევნო, მე-17 ტური, 3 და 4 დეკემბერს გაიმართება.

გაიოზ თალაკვაძე

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბორდო | 16 | 12 | 2 | 2 | 32:12 | 38 |
| მარსელი | 16 | 11 | 4 | 1 | 30:12 | 37 |
| რენი | 16 | 8 | 3 | 5 | 21:19 | 27 |
| მონაკო | 16 | 7 | 3 | 6 | 23:17 | 24 |
| ლიონი | 16 | 6 | 6 | 4 | 21:16 | 24 |
| პსჟ | 16 | 6 | 5 | 5 | 18:13 | 23 |
| ბასტია | 16 | 7 | 2 | 7 | 22:18 | 23 |
| ნანტი | 16 | 6 | 5 | 5 | 20:19 | 23 |
| ოსერი | 16 | 6 | 4 | 6 | 19:20 | 22 |
| მონპელიე | 16 | 6 | 3 | 7 | 28:28 | 21 |
| სტრასბური | 16 | 5 | 6 | 5 | 14:15 | 21 |
| ლანსი | 16 | 6 | 2 | 8 | 22:23 | 20 |
| ნანსი | 16 | 5 | 5 | 6 | 17:19 | 20 |
| მეცი | 16 | 4 | 6 | 6 | 14:19 | 18 |
| ლე ავრი | 16 | 3 | 6 | 7 | 12:19 | 15 |
| სოშო | 16 | 3 | 5 | 8 | 14:31 | 14 |
| ტულუზი | 16 | 2 | 6 | 8 | 11:25 | 12 |
| ლორიანი | 16 | 2 | 5 | 9 | 11:24 | 11 |

| ბომბარდირები | |
|---|---|
| ვილტორდი (ბორდო) | 10 |
| ანდრე (ბასტია) | 9 |
| მორისი (მარსელი) | 9 |
| კასკარინო (ნანსი) | 8 |
| ნონდა (რენი) | 8 |
| რავანელი (მარსელი) | 7 |
| სიმონე (პსჟ) | 7 |

## ჰოლანდია

XVI ტური

**ვიტესი 3:2 აიაქსი**

1:0 მახლასი (4), 2:0 იოჰემსენი (11), 3:0 ბუთი (45), 3:1 ბლინდი (68), 3:2 ფ. დე ბური (86პ)

აიაქსი: ვან დერ სარი, ფ. დე ბური, ბლინდი, ჰუქსტრა, რ. დე ბური, ძინძლაძე, ვიჩხე (დანი 84), ვამბერტო (ბაბანგიდა 67), მოსი (მაკართი 46), გრონკიაერი

**ეინდჰოვენი 2:2 გრააფსხაპი**

0:1 ვისკაალი (3), 1:1, 2:1 ნილისი (36, 38), 2:2 ვისკაალი (73)

**სპარტა 1:2 ფეიენოორდი**

0:1 ტომასონი (16), 1:1 ტამერი (73), 1:2 კრუზი (88)

**უტრეხტი 2:0 ტილბურგი**

1:0 ვან დერ გააგი (82), 2:0 კუიტი (90)

**კამბური 3:1 სიტარდი**

0:1 სიმონსი (28), 1:1 ვან რაივაიკი (54), 2:1, 3:1 მიულერი (62, 64)

**როდა 2:1 მაასტრიხტი**

0:1 იორდენსი (31), 1:1 ნიგაარდი (66), 2:1 ვან დე ლუერი (77)

**ნაიმეგენი — ვალვაიკი**

გადაიდო

რა დაემართა „აიაქსს“? სად არიან კლუბის თავდამსხმელები? ეს კითხვები ამსტერდამელთა ჰოლანდიელ ქომაგებს კი არა, საქართველოშიც ბევრს აწუხებს. წლეულს „აიაქსი“, ალბათ, ველარ გაიმეორებს იმ ბრწყინვალე შედეგს, გასულ სეზონში რომ ჰქონდა, ანუ ქვეყნის ჩემპიონატს და თასს ველარ მოიგებს. ამსტერდამელებს ძალიან უჭირთ.

ბოლო ხანებში გიორგი ქინქლაძემ პირველი შეხვედრა ითამაშა „აიაქსში“ შეუცვლელად, მაგრამ ქართველი ლეგიონერის გამოჩენამ მარტინ ოლსენის გუნდს ვერაფერი უშველა. „აიაქსი“ დამარცხდა და ლიდერ „ფეიენოორდს“ კიდევ უფრო ჩამორჩა. არნემელებს სახელოვანი მეტოქის განადგურებაც შეეძლოთ, მაგრამ პირველ ტაიმში მიღწეული უპირატესობა საკმარისად ჩათვალეს და მეორე ნახევარში თავი დიდად აღარ შეუწუხებიათ. შედეგად შესანიშნავი გამარჯვება კინაღამ ხელიდან გაუშვეს — ჯერ იყო და სტუმართა ვეტერანმა დენი ბლინდმა, რომელიც უკანასკნელ სეზონს ატარებს ერთი გოლი გაქვითა, შეხვედრის დასრულებამდე ცოტა ხნით ადრე კი ფრენკ დე ბურმა, რომელიც მომავალ სეზონში ასევე ტოვებს „აიაქსს“, სხვაობა მინიმუმამდე შეამცირა. მეტი „აიაქსმა“ ვერაფერი იღონა, დამარცხდა.

მასპინძელთა ბერძნი თავდამსხმელი ნიკოს მახლასი, ბოლო ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი, „ვიტესის“ შემადგენლობაში მესე მატჩს ატარებდა. საიუბილეო შეხვედრა მახლასმა გოლით აღნიშნა.

„აიაქსის“ მარცხი ძალიან წაადგა ლიდერ „ფეიენოორდს“. როტერდამელებმა უსახურ შეხვედრაში „სპარტა“ დაამარცხეს და პოზიცია უფრო გაიმყარეს. გამარჯვების მომტანი გოლი არგენტინელმა თავდამსხმელმა ხულიო კრუზმა გაიტანა. მან მასპინძელთა მცველების არეულობით კარგად ისარგებლა და „სპარტას“ შეცდომა არ აპატია. „ფეიენოორდიდან“ მანამდე დანიელმა იან დალი ტომსონმა იგოლა, სწორედ იმ თავდამსხმელმა, გასულ სეზონში „ნიუკასლის“ შემადგენლობაში რომ ვერ ხვდებოდა.

კვირას ჰოლანდიის ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტმა „ფეიენოორდი“ 5 ათასი გულდენით დააჯარიმა — წლეულს გაზაფხულზე ქვეყნის თასის ფინალი როტერდამელთა მშობლიურ „დე კუიპზე“ გაიმართა, „ფეიენოორდის“ ხელმძღვანელობამ კი სტადიონის მატჩისთვის მოწესრიგება ვერ მოახერხა, ჯარიმაც სწორედ ამიტომ გადაიხადეს.

ჰოლანდიური ფეხბურთის კიდევ ერთმა გრანდმა (თუ შეიძლება დღეს მას გრანდი ვუწოდოთ), „ეინდჰოვენმა“ შინ „გრააფსხაპის“ დამარცხება ვერ შეძლო. ეგ კი არა, შეხვედრა კინაღამ ჩაიშალა — მე-17 წუთზე მსაჯმა ეინდჰოვენელთა უძლიერესი თავდამსხმელი ვან ნისტელროი თვალთმაქცობისთვის მეორედ გააფრთხილა და შესაბამისად გააძევა კიდეც, რითაც გულშემატკივრები აღაშფოთა. ქომაგები ისე აღელდნენ, მსაჯმა ათიოდ წუთით შეაჩერა მატჩი, თუმცა მერე დაწყნარდნენ და თამაშიც განახლდა. ბელგიელმა თავდამსხმელმა ლუკ ნილისმა დუბლი შეასრულა, მაგრამ გუნდს ვერ მოაგებინა.

არ უთამაშია „ბრედას“. აჩიკო არველაძის გუნდი ჰოლანდიის თასის გათამაშების მეორე წრის მატჩს „ალმელოსთან“ სტუმრად. შეხვედრა ფრედ 0:0 დასრულდა. პენალტების სერიაში კი ბრედელებმა 5:4 იმარჯვეს.

ირაკლი ილაშვილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფეიენოორდი | 14 | 11 | 2 | 1 | 34:13 | 35 |
| აიაქსი | 16 | 9 | 4 | 3 | 34:14 | 31 |
| ჰერენვენი | 15 | 9 | 3 | 3 | 24:15 | 30 |
| ვიტესი | 15 | 9 | 2 | 4 | 28:19 | 29 |
| ტვენტე | 15 | 8 | 4 | 3 | 26:17 | 28 |
| როდა | 15 | 8 | 3 | 4 | 25:18 | 27 |
| ნაიმეგენი | 14 | 6 | 5 | 3 | 24:20 | 23 |
| ეინდჰოვენი | 15 | 6 | 5 | 4 | 34:25 | 23 |
| ტილბურგი | 16 | 6 | 4 | 6 | 27:29 | 22 |
| ალკმაარი | 15 | 4 | 8 | 3 | 21:21 | 20 |
| უტრეხტი | 15 | 5 | 3 | 7 | 25:28 | 18 |
| მაასტრიხტი | 16 | 5 | 2 | 9 | 18:27 | 17 |
| გრააფსხაპი | 16 | 3 | 8 | 5 | 17:26 | 17 |
| კამბური | 16 | 3 | 5 | 8 | 16:30 | 14 |
| სპარტა | 15 | 3 | 3 | 9 | 15:28 | 12 |
| ბრედა | 13 | 2 | 4 | 7 | 15:21 | 10 |
| სიტარდი | 16 | 2 | 4 | 10 | 13:30 | 10 |
| ვალვაიკი | 15 | 1 | 3 | 11 | 16:31 | 6 |

**თასის მეორე წრე**

ალმელო — ბრედა 0:0 პენ. 4:5

## პორტუგალია

XIII ტური

**ფარენსე 0:0 მარიტიმუ**

**ამადორა 2:1 ბოავიშტა**

0:1 კევედუ (16), 1:1 ჟილბერტუ (30პ), 2:1 ვიეირა (65)

**შავეში 1:2 ბრაგა**

0:1 ელპიდიუ სილვა (21), 1:1 ოლივეირა (82), 1:2 ლუის მანუელი (88)

**კამპომაიორენსე 0:5 ბენფიკა**

0:1 ნუნუ გომეში (25), 0:2, 0:3 ლეალი (42, 43), 0:4 კანდაუროვი (75), 0:5 ნუნუ გომეში (77პ)

**ბეირა მარი 0:0 გიმარაეში**

**რიუ ავე 0:0 ალვერკა**

**სპორტინგი 2:0 უნიაუ**

1:0 კრპანი (30), 2:0 საბროზა (86პ)

**სეტუბალი — პორტუ**

წუხელ გვიან გაიმართა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპორტინგი | 13 | 8 | 5 | 0 | 24:8 | 29 |
| ბოავიშტა | 13 | 8 | 4 | 1 | 22:10 | 28 |
| პორტუ | 12 | 8 | 2 | 2 | 29:12 | 26 |
| ბენფიკა | 13 | 7 | 3 | 3 | 26:11 | 24 |
| უნიაუ | 13 | 7 | 3 | 3 | 15:9 | 24 |
| ამადორა | 13 | 7 | 3 | 3 | 17:14 | 24 |
| სალგეიროში | 13 | 4 | 6 | 3 | 16:17 | 18 |
| ბრაგა | 13 | 4 | 4 | 5 | 18:23 | 16 |
| რიუ ავე | 13 | 4 | 4 | 5 | 11:17 | 16 |
| სეტუბალი | 12 | 4 | 3 | 5 | 11:17 | 15 |
| გიმარაეში | 13 | 3 | 5 | 5 | 19:15 | 14 |
| ფარენსე | 13 | 4 | 2 | 7 | 12:19 | 14 |
| ალვერკა | 13 | 2 | 7 | 4 | 10:16 | 13 |
| შავეში | 13 | 3 | 3 | 7 | 15:24 | 12 |
| ბეირა მარი | 13 | 2 | 6 | 5 | 8:14 | 12 |
| კამპომაიორენსე | 13 | 2 | 3 | 8 | 13:25 | 9 |
| მარიტიმუ | 13 | 1 | 6 | 6 | 12:17 | 9 |
| აკადემიკა | 13 | 2 | 3 | 8 | 14:24 | 9 |

## საბერძნეთი

საბერძნეთი. მე-11 ტური: პაოკი — პანელეფსინიაკოსი 3:1; პანიონისი — პანილიაკოსი 5:2; ირაკლისი — ეთნიკოსი (პირეოსი) 5:0; იონიკოსი — აპოლონი 3:0; პრუდეფტიკი — ოფი 0:1; ეთნიკოსი (ასტირი) — ვერია 4:0; ოლიმპიაკოსი — კავალა 4:1; აეკი — არისი 6:0; ქსანტი — პანათინაიკოსი 1:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აეკი | 11 | 8 | 2 | 1 | 25:8 | 26 |
| პანათინაიკოსი | 11 | 8 | 1 | 2 | 22:12 | 25 |
| ოლიმპიაკოსი | 11 | 8 | 1 | 2 | 29:8 | 25 |
| ქსანტი | 11 | 7 | 2 | 2 | 14:8 | 23 |
| არისი | 11 | 5 | 2 | 4 | 14:17 | 17 |
| პაოკი | 11 | 6 | 2 | 3 | 17:13 | 17 |
| პანიონისი | 10 | 5 | 1 | 4 | 27:16 | 16 |
| ოფი | 10 | 5 | 1 | 4 | 14:11 | 16 |
| იონიკოსი | 11 | 5 | 1 | 5 | 22:15 | 16 |
| ეთნიკოსი (ა) | 11 | 5 | 1 | 5 | 19:18 | 16 |
| პანილიაკოსი | 11 | 5 | 1 | 5 | 16:18 | 16 |
| ირაკლისი | 11 | 4 | 3 | 4 | 19:13 | 15 |
| კავალა | 11 | 3 | 3 | 5 | 20:28 | 12 |
| პანელეფსინ. | 11 | 2 | 4 | 5 | 8:15 | 10 |
| ვერია | 11 | 1 | 4 | 6 | 4:17 | 7 |
| აპოლონი | 11 | 1 | 3 | 7 | 13:31 | 6 |
| პრუდეფტიკი | 11 | 1 | 3 | 7 | 10:20 | 6 |
| ეთნიკოსი (პ) | 11 | 0 | 3 | 8 | 2:26 | 3 |

ქირავდება
1-ოთახიანი
კეთილმოწყობილი
ბინა
ქავთარაძის ქუჩაზე
☎ 93 15 72

## შოტლანდია

### თასის ფინალი

**რეინჯერსი 2:1 სენტ ჯონსტონი**
1:0 გივარში (6), 1:1 დასოვიჩი (8), 2:1 ალბერცი (35)

### XVI ტური

**აბერდინი 0:3 დანდი იუნაიტედი**
0:1 ოლოფსონი (17), 0:2 მილერი (49), 0:3 ისტონი (56)

**სელტიკი 2:0 მოზერველი**
1:0 ლარსონი (40), 2:0 ო'დონელი (46)

**დანფერმლაინი 0:2 კილმარნოკი**
0:1, 0:2 დურანტი (32, 56)

დიდი ვოლტერ სმიტის ჰოლანდიელმა შემცვლელმა დიკ ადვოკაატმა თავის პირველი გლაზგოური ტიტული მოიპოვა — „რეინჯერსი“ შოტლანდიის თასის მფლობელი გახდა.

შეხვედრა „სელტიკის“ სტადიონ „პარკჰედზე“ გაიმართა, მას 45 533 გულშემატკივარი დაესწრო და მშვენიერი სანახავი გამოდგა. ამაში ლომის წილი სახელოვანი „რეინჯერსის“ მოწინააღმდეგე „სენტ ჯონსტონმაც“ დაიდო, რომელიც ქვეყნის თასის გათამაშების ფინალში მეორედ მონაწილეობდა.

ანგარიში უკვე მე-6 წუთზე გაიხსნა — მსოფლიოს ჩემპიონმა სტეფან გივარშმა „სენტ ჯონსტონის“ მეკარე ალან მეინს აჯობა. თუმცა „რეინჯერსის“ ქომაგები ჯერ კიდევ ზეიმობდნენ, ნიკ დასოვიჩმა დაახლოებით 16 მეტრიდან ძლიერად რომ დაარტყა და ორი კვირის წინ „წმინდანების“ შემარცხვენელებს (მაშინ გლაზგოელებმა ჩემპიონატის მატჩში „სენტ ჯონსტონს“ 7:0 მოუგეს) საპასუხო გოლი გაუტანა.

ამას ადვოკაატის შეგირდთა მხრიდან გააფთრებული შეტევები მოჰყვა, რამაც პირველივე ტაიმში, უფრო ზუსტნი თუ ვიქნებით, 35-ე წუთზე შედეგი გამოიღო. გოლი (როგორც შემდგომ გაირკვა, მატჩში უკანასკნელი) გერმანელმა იორგ ალბერცმა გაიტანა, თანაც ძალიან ლამაზი, და თავისიანები დააწინაურა.

მეორე ტაიმი პირველივით დაძაბული და სანახაობრივი გამოდგა. განსაკუთრებით თვალსაჩინო მომენტი მე-80 წუთზე შეიქმნა, როდესაც რუსი ანდრეი კანჩელსკისის ფაქტობრივად აუღებელი დარტყმა მეინმა სასწაულებრივ აიღო. ამით გაგულისებულმა „სენტ ჯონსტონის“ ფეხბურთელებმა დარჩენილ დროში მთელი ძალით შეუტიეს და რომ არა გლაზგოელთა ფინელი კარის დარაჯის ანტი ნიემის ბრწყინვალე გარჯა, საქმე უეჭველად დამატებით დრომდე მივიდოდა.

— მიხარია, რომ თასი დავისაკუთრეთ, უფრო მეტად გამიხარდება, ჩემპიონებიც თუ გავხდებით — დიკ ადვოკაატი სიტყვათუნწი გახლდათ.

სანამ „რეინჯერსი“ და „სენტ ჯონსტონი“ თასის მფლობელის ვინაობის არკვევდნენ, შოტლანდიაში ჩემპიონატის მატჩებიც გაიმართა.

კვლავ მოიგო გლაზგოს „სელტიკმა“. ამჯერად შოტლანდიის ჩემპიონმა „მოზერველს“ მოუგო 2:0. კიდევ ერთხელ გაახარა ქომაგები შვედმა ჰენრიკ ლარსონმა და ახლა 10 გატანილი გოლით ბომბარდირთა სიას სათავეში უდგას.

რაც შეეხება დანარჩენ ორ შეხვედრას, „კილმარნოკმა“ სტუმრად აუტსაიდერ „დანფერმლაინს“ 2:0 მოუგო, ხოლო „აბერდინმა“ დიდი ანგარიშით წააგო „დანდი იუნაიტედთან“ 0:3 და მისთვის უჩვეულო, მე-9 ადგილამდე დაეშვა.

**ნოდარ ძასრაძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეინჯერსი | 15 | 9 | 3 | 3 | 29:13 | 30 |
| კილმარნოკი | 16 | 7 | 7 | 2 | 21:10 | 28 |
| სელტიკი | 16 | 7 | 5 | 4 | 32:17 | 26 |
| სტ. ჯონსტონი | 15 | 6 | 5 | 4 | 18:21 | 23 |
| ჰართსი | 15 | 5 | 4 | 6 | 16:19 | 19 |
| დანდი | 15 | 5 | 4 | 6 | 14:20 | 19 |
| მოზერველი | 16 | 4 | 6 | 6 | 13:22 | 18 |
| დანდი იუნ. | 16 | 4 | 5 | 7 | 16:18 | 17 |
| აბერდინი | 16 | 3 | 5 | 8 | 15:24 | 14 |
| დანფერმლაინი | 16 | 2 | 8 | 6 | 13:23 | 14 |

სარბიელი
სამუშაოდ იწვევს
სპორტისა და ინგლისური ენის მცოდნე ქალებსა და ვაჟებს
დაგვირეკეთ: 39 48 29; 38 11 14 ან გვესტუმრეთ დედაქალაქში: ალექსანდრე ყაზბეგის 42, II კორპუსი, IV სართული

## ბელგია

### XVI ტური

**ლიერსი 4:2 ოსტენდე**
1:0 ჰააგდორენი (20), 1:1 სმიტსი (23), 2:1 ბროკენი (32), 3:1 კავენსი (51), 4:1 ბროკენი (63), 4:2 დევუისტი (87)
ლიერსი: მენცო, ბროკენი, **შეყილაძე** (ლარემანსი 77), ვან მეირი, პოორტერსი, ლეენი (სერნელსი 81), სომერსი, ზდებელი, ჰააგდორენი, ჰუისმანსი (ჰოფკინსი 77), კავენსი

**ლოკერენი 4:1 სტანდარდი**
1:0 სნუეკსი (3), 2:0 ლისასი (19), 3:0 კოლერი (37), 3:1 ე. მპენზა (63), 4:1 სნუეკსი (82)
სტანდარდი: რუნიე, აფოლაბი, ბილიჩი (ემილ მპენზა 38), ბლეი, ერნსტი, მედვედი, რემაკლი, ჰელერსი, ლუკუნკუ (გოდფრუა 84), მბო მპენზა, ფოლია

**ბრიუგე 0:0 მუსკრონი**

**ანდერლეხტი 3:2 გენკი**
0:1 სტრუპარი (23), 1:1 სტალენსი (38), 1:2 ულარი (56), 2:2 რადზინსკი (59), 3:2 სტალენსი (82)

**აალსტი 3:2 ვესტერლო**
0:1 ბრონიო (13), 1:1 მეისენი (14), 1:2 ბრონიო (52), 2:2 ლაუვერსი (53), 3:2 ვან ჰოივეგენი (77)

**ჰარელბეკი 2:2 გენტი**
0:1 ბარკა (2), 1:1 ვოსტინი (21), 2:1 ვერჰოვენი (39), 2:2 დრაგუტინოვიჩი (66)

**ეკერენი 1:0 ბევერენი**
1:0 მილოშევიჩი

**სენტ ტრუიდენი 1:0 შარლერუა**
1:0 ფიერსი (87)

**ლომელი 3:1 კორტრაიკი**
1:0 კანაერტსი (11), 2:0 ზუაუი (21), 2:1 დემკინი (64), 3:1 დე კელვერი (80)

ბელგიის ჩემპიონატის მორიგი ტური გათამაშების ლიდერებისთვის მეტად უიღბლო გამოდგა. „ბრიუგემ“ შინ „მუსკრონს“ ვერაფრით გაუტანა გოლი და ერთ ქულას დასჯერდა. მისი მთავარი კონკურენტი „გენკი“ კი „ანდერლეხტთან“ სტუმრად დამარცხდა, თუმცა ორჯერ დაწინაურდა. წააგო ჩვენებური ლაშა ჯაკობიას გუნდმაც, სამაგიეროდ, მოიგო გელა შეყილაძის „ლიერსმა“.

„სტანდარდის“ შემადგენლობაში კვლავ არ იყო ჯაკობია. ძლიერი დაცვით სახელგანთქმული ტომისლავ ივიჩის გუნდი „ლოკერენს“ ესტუმრა. „ლოკერენმა“ სტუმარმასპინძლობის ადათი არად ჩააგდო და „სტანდარდს“ დიდი ანგარიშით სძლია. ხორვატ მწვრთნელს კი ზედიზედ მეორე მარცხის შემდეგ გულშემატკივრებმა რამდენიმე ბრალდება წაუყენეს: როცა გუნდში ექვსი თავდამსხმელი გყავს, მატჩის მხოლოდ ერთი მათგანით დაწყება არ შეიძლება, მბო მპენზასთან მისი ძმის ემილის, გალფრუას ან დე კონდეს შეწყვილება ნამდვილად უკეთეს შედეგს მიგვაღწევინებსო. გარდა ამისა, როცა რომელიმე ფეხბურთელი ამბობს, რომ მთელი ძალით ვერ ითამაშებს, მისი მინდორზე გაყვანა უპრიანი არ არისო. ასეთები კი კვირას ჰელერსი, ლუკუნკუ და ბილიჩი იყვნენ. ერთი სიტყვით, ივიჩი საკმაოდ აკრიტიკეს.

გელა შეყილაძის „ლიერსმა“ შინ „ოსტენდეს“ მოუგო და თან კარგი, გამართული თამაშიც აჩვენა. ქართველი დაცვაში კვლავ კარგად გაისარჯა. მასპინძელთა თავდამსხმელებიც არ მსხდარან გულხელდაკრეფილნი და სტუმრებს ოთხი გოლი გაუტანეს. ამ მოგებით „ლიერსმა“ მკვეთრად გაიუმჯობესა სატურნირო მდგომარეობა, რაც მისი მწვრთნელის ვალტერ მეუვსის საუბარსაც შეეტყო: „ასე თუ გავაგრძელეთ, ალბათ, ევროთასების საგზურსაც მოვიპოვებთ, რითაც ყველა ჩვენს გულშემატკივარს უზომოდ გავახარებთ“. რამდენად რეალურია მეუვსის იმედი, მომავალი ტურები გვიჩვენებს.

**დავით სიჭინავა**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრიუგე | 16 | 11 | 3 | 2 | 32:15 | 36 |
| გენკი | 16 | 10 | 3 | 3 | 35:19 | 33 |
| ლოკერენი | 16 | 9 | 4 | 3 | 36:19 | 31 |
| სტანდარდი | 16 | 9 | 1 | 6 | 23:16 | 28 |
| მუსკრონი | 16 | 7 | 6 | 3 | 29:25 | 27 |
| ვესტერლო | 16 | 8 | 2 | 6 | 36:27 | 26 |
| სტ. ტრუიდენი | 16 | 7 | 5 | 4 | 23:16 | 26 |
| ლიერსი | 16 | 8 | 1 | 7 | 30:27 | 25 |
| გენტი | 16 | 6 | 6 | 4 | 27:31 | 24 |
| ანდერლეხტი | 16 | 6 | 5 | 5 | 26:25 | 23 |
| აალსტი | 16 | 6 | 4 | 6 | 28:30 | 22 |
| ეკერენი | 16 | 6 | 3 | 7 | 26:26 | 21 |
| ჰარელბეკი | 16 | 4 | 5 | 7 | 20:27 | 17 |
| ბევერენი | 16 | 4 | 3 | 9 | 18:26 | 15 |
| შარლერუა | 16 | 3 | 6 | 7 | 22:24 | 15 |
| ლომელი | 16 | 4 | 2 | 10 | 17:27 | 14 |
| ოსტენდი | 16 | 1 | 5 | 10 | 12:39 | 8 |
| კორტრაიკი | 16 | 1 | 4 | 11 | 23:44 | 7 |

## შვეიცარია

### XX ტური

**ქსამაქსი 0:2 გრასჰოპერი**
0:1 ყაველაშვილი (37), 0:2 ტიკვა (70)
გრასჰოპერი: ცუბერბიულერი, მაცარელი (ბერნერი 78), გრენი, კრისტი, ტიკვა (**ნემსაძე** 88), ტარარახე, კაბანასი, კომიზეტი, **ყაველაშვილი**, მანინი (დე ნაპოლი 68)

**სერვეტი 0:1 იანგ ბოისი**
0:1 სმაიჯიჩი (56)

**ბაზელი 1:1 ლოზანა**
1:0 ფრიკი (4), 1:1 პანტელიჩი (31)

**არაუ 2:2 სიონი**
1:0, 2:0 ივანოვი (17პ, 75პ), 2:1, 2:2 ტოლოტი (78პ, 79)

**ლუცერნი 1:1 სენტ გალენი**
1:0 სკეფანოვიჩი (18), 1:1 დელ სანტო (43)

**ციურიხი 4:1 ლუგანო**
1:0 ფიშერი (30), 2:0 ლიმა (71), 2:1 ვეგმანი (83), 3:1 ჰოდელი (85), 4:1 ფიშერი (87)

მიხეილ ყაველაშვილისთვის წინა კვირა წარმატებული გამოდგა. მან სამშაბათს უეფას თასის მერვედფინალში „ბორდოს“ გაუტანა გოლი, კვირას კი „ქსამაქსთან“ გასვლით შეხვედრაშიც გამოიჩინა თავი.

ამ მატჩში „კალიების“ მეორე ქართველმა გიორგი ნემსაძემაც ითამაშა, თუმცა მან მინდორზე სულ ორი წუთი დაჰყო — 88-ე წუთზე მეორე გოლის ავტორი, ისრაელის ნაკრების ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი ავი ტიკვა შეცვალა.

თამაში თოვლით დაფარულ მინდორზე წარიმართა. „გრასჰოპერმა“ მთელი შეხვედრა ძლიერად ჩაატარა და დამსახურებულადაც გაიმარჯვა.

პირველივე მწვავე შეტევა კინაღამ გოლით დასრულდა. ტიკვას საშუალო მანძილიდან დარტყმული ძელმა მოიგერია, დამმატებელი კი არავინ აღმოჩნდა. მალე ტარარახესა და კომიზეტის მიეცათ გოლის გატანის კარგი შესაძლებლობა, მაგრამ გადამწყვეტ მომენტებში ვერ ივარგეს. სამაგიეროდ, 37-ე წუთზე იმარჯვა ყაველაშვილმა, ტარარახეს პასის შემდეგ ძლიერად დაარტყა და შვეიცარიული გაზეთების ქებაც დაიმსახურა.

მეორე ტაიმში მასპინძელთა შემადგენლობაში წამყვანი ფეხბურთელი ისაბელა გამოჩნდა, რომელმაც „ქსამაქსის“ შეტევები გაამწვავა, თუმცა გოლამდე საქმე არ მისულა. 70-ე წუთზე კი კვლავ სტუმრებმა გაიხარეს. კომიზეტი-ტარარახე-ტიკვას სამსვლიანი კომბინაცია ამ უკანასკნელის ზუსტი დარტყმით დასრულდა. შეხვედრაც საბოლოოდ ციურიხელებმა მოიგეს 2:0.

დიდი სენსაცია მოხდა ჟენევაში, სადაც ჩემპიონატის ლიდერმა „სერვეტმა“ ერთ-ერთ აუტსაიდერ „იანგ ბოისთან“ 0:1 წააგო შეხვედრა. ამ მატჩში „სერვეტს“ ყველა ფავორიტად თვლიდა, მაგრამ სეზონის დასაწყისში „გრასჰოპერის“ დამმარცხებულმა „იანგ ბოისმა“ ჟენეველებიც მათ გზას გაუყენა. მატჩის ერთადერთი გოლი 56-ე წუთზე სმაიჯიჩმა გაიტანა.

„კალიებთან“ ერთქულიანი სხვაობა შეინარჩუნა „ციურიხმა“, რომელმაც შინ „ლუგანოს“ იოლად სძლია 4:1. ბოლო სამი ბურთი ციურიხელებმა მას შემდეგ შეაგდეს, რაც სტუმრები ათი კაცით დარჩნენ მინდორზე — 62-ე წუთზე მსაჯმა როსი გააძევა.

საინტერესო გამოდგა აუტსაიდერთა დაპირისპირება. „არაუ“ — „სიონის“ შეხვედრაში გატანილი ოთხი გოლიდან სამი თერთმეტმეტრიანი გავიდა. ჯერ ივანოვმა დუბლით დააწინაურა მასპინძლები (ორივე პენალტით შეაგდო), შემდეგ კი სტუმარმა ტოლოტმა ასევე დუბლი შეასრულა. მან 78-ე წუთზე თერთმეტი მეტრიდან ანგარიშში სხვაობა შეამცირა, წუთის შემდეგ კი თამაშიდან გაიტანა და მატჩიც 2:2 დასრულდა.

**ვანო ოქროპირიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სერვეტი | 20 | 11 | 7 | 2 | 33:20 | 40 |
| გრასჰოპერი | 20 | 10 | 5 | 5 | 33:23 | 35 |
| ციურიხი | 20 | 9 | 7 | 4 | 32:21 | 34 |
| ლოზანა | 20 | 8 | 8 | 4 | 34:33 | 32 |
| ქსამაქსი | 20 | 7 | 10 | 3 | 29:21 | 31 |
| სენტ გალენი | 20 | 7 | 6 | 7 | 30:26 | 27 |
| ბაზელი | 20 | 7 | 4 | 9 | 18:30 | 25 |
| ლუცერნი | 20 | 5 | 8 | 7 | 25:25 | 23 |
| სიონი | 20 | 5 | 7 | 8 | 21:34 | 22 |
| იანგ ბოისი | 20 | 4 | 6 | 10 | 31:31 | 18 |
| ლუგანო | 20 | 4 | 6 | 10 | 29:39 | 18 |
| არაუ | 20 | 3 | 6 | 11 | 28:40 | 15 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კონტინენტებს შორის

დღეს ტოკიოში ესპანურ „რეალსა“ და ბრაზილიურ „ვასკუ და გამას“ შორის გამარჯვებულს საკონტინენტთაშორისო თასს გადასცემენ. საკონტინენტთაშორისო თასის მფლობელს კლუბთა შორის მსოფლიოს ჩემპიონსაც უწოდებენ.

გუშინ მეტოქეებს იაპონიის დედაქალაქის „ეროვნულ სტადიონზე“ თანაბრად, 45 წუთი გამოუყვეს სავარჯიშოდ და მინდორთან შესაგუებლად.

„ვასკუ და გამა“ თითქმის სამი კვირაა რაც ტოკიოშია. ბრაზილიელებმა აკლიმატიზაციისთვის თადარიგი დაიჭირეს, რაც ერთხელაც ადასტურებს ისტორიულ ფაქტს, რომ საკონტინენტთაშორისო თასი სამხრეთ ამერიკაში გაცილებით პოპულარულია, ვიდრე ევროპაში.

REUTERS ტოკიოდან



გუს ჰიდინკი (შუაში) ჭკუას არიგებს რობერტო კარლოსსა და კლარენს ზეედორფს

„რეალი“ იაპონიაში მილანიდან გაემგზავრა, მას მერე, რაც ჩემპიონთა ლიგის შეხვედრაში „ინტერთან“ 1:3 წააგო.

„პირველ ღამეს ვერაფრით დავიძინე, ხოლო შაბათს, სავარჯიშოდ რომ გაგვიყვანეს, დაღლილობას ვგრძნობდი“. — განუცხადა სააგენტო „როიტერის“ კორესპონდენტს მადრიდული კლუბის და ესპანეთის ნაკრების თავდამსხმელმა რაულმა — „სამაგიეროდ ახლა ყველანი შევეგუეთ გარემოს. მეორე ღამეს პრობლემა აღარ გვქონდა, არავის დაუჩივლია“.

რაულმა დღევანდელი შეხვედრის მნიშვნელობაზეც ილაპარაკა. მან თქვა, რომ საფრანგეთში, მსოფლიოს ჩემპიონატზე წარუმატებელი გამოსვლის მერე ესპანელ გულშემატკივარს საერთაშორისო გამარჯვება სჭირდება. მისი აზრით თუ „რეალი“ საკონტინენტთაშორისო თასს მოიპოვებს, ხალხისთვისაც კარგი იქნება და თავად კლუბისთვისაც, რომელიც ძალას ირწმუნებს და შინაურ პირველობასა თუ ჩემპიონთა ლიგაში მოწინავე პოზიციებს აღიდგენს.

„საკონტინენტთაშორისო თასის ფინალში თამაში ყოველთვის მინდოდა. ნეტავ ესპანეთს გამარჯვებულნი დავუბრუნდეთ, მაშინ სეზონის დარჩენ ნაწილს გამხნევებულნი ჩავატერებთ“ — დასძინა რაულმა.

„ვასკუ და გამას“ მწვრთნელის, ანტონიო ლოპესის აზრით კი მისი გუნდის გამარჯვება ბრაზილიური ფეხბურთის აღდგინებას ნიშნავს.

„ჩვენს ქვეყანაში მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში დამარცხებამ ხალხი თითქოს წელში გატეხა. თუ „რეალის“ დამარცხებას შევძლებთ, ბრაზილიელებს ღირსების გრძნობას დავუბრუნებთ და მეც ამ შეხვედრას სწორედ ასე ვუდგები: ჩვენ ქვეყნის სახელით გვიწევს თამაში“ — უთხრა ლოპესმა ჟურნალისტებს.

ტოკიოში ჩაფრენილი „რეალის“ ბანაკში კვირას ერთი საინტერესო ამბავი მოხდა: კლარენს ზეედორფმა და ივან კამპომ ვარჯიშის დროს იჩხუბეს. წაკიდებულები ძლივს დააშორეს თანაგუნდელებმა. მწვრთნელმა გუს ჰიდინკმა დაუყოვნებლივ მთელი გუნდი ჩაამწკრივა და მორიგი ჩხუბის კერა მოსპო. მოგვიანებით ჰიდიკმა თქვა: „ჩხუბი მყისიერმა ემოციამ გამოიწვია. საწვრთნელი თამაში გახურდა, დაემსგავსა ნამდვილს და ფეხბურთელებმაც თავი ველარ შეიკავეს. ვარჯიშის შემდეგ გუნდში მშვიდობა აღდგა“.

## უკრაინა

გამოტოვებული მატჩი: დინამო (კიევი) — შახტიორი 2:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შახტიორი | 15 | 11 | 0 | 4 | 45:15 | 33 |
| დინამო | 14 | 10 | 3 | 1 | 39:10 | 33 |
| კარპატი | 15 | 8 | 5 | 2 | 24:13 | 29 |
| კრივბასი | 15 | 7 | 6 | 2 | 17:7 | 27 |
| მეტალურგი (მ) | 15 | 6 | 4 | 5 | 18:13 | 22 |
| მეტალურგი (დ) | 15 | 6 | 4 | 5 | 18:20 | 22 |
| ცსკა | 15 | 5 | 7 | 3 | 19:17 | 22 |
| მეტალურგი (ზ) | 14 | 6 | 3 | 5 | 22:23 | 21 |
| მეტალისტი | 15 | 6 | 1 | 8 | 15:24 | 19 |
| დნეპრი | 15 | 5 | 1 | 9 | 13:27 | 16 |
| ტავრია | 15 | 4 | 4 | 7 | 16:20 | 16 |
| ვორსკლა | 15 | 4 | 4 | 7 | 16:22 | 16 |
| ზირკა | 15 | 4 | 4 | 7 | 13:19 | 16 |
| ნივა | 15 | 4 | 4 | 7 | 11:19 | 16 |
| პრიკარპატია | 15 | 2 | 4 | 9 | 13:33 | 10 |
| მიკოლაივი | 15 | 2 | 4 | 9 | 10:27 | 10 |

## სლოვენია

სლოვენია. მე-16 ტური: ბელტინჩი — ნოვა გორიცა 2:2; კოპერი — ოლიმპია 1:1; ველენიე — მარიბორი 2:0; ცელიე — მურა 0:1; დომზალე — კოროტანი 1:3; აიდოვშინა — ტრიგლავი 5:1.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მარიბორი | 16 | 9 | 5 | 2 | 35:17 | 32 |
| ნოვა გორიცა | 15 | 9 | 3 | 3 | 30:17 | 30 |
| მურა | 16 | 8 | 4 | 4 | 33:16 | 28 |
| ოლიმპია | 16 | 7 | 4 | 5 | 27:22 | 25 |
| კოროტანი | 16 | 7 | 4 | 5 | 25:23 | 25 |
| აიდოვშინა | 16 | 6 | 4 | 6 | 21:17 | 22 |
| ველენიე | 16 | 6 | 4 | 6 | 18:15 | 22 |
| ბელტინჩი | 16 | 5 | 3 | 8 | 20:31 | 18 |
| კოპერი | 16 | 4 | 4 | 8 | 18:30 | 16 |
| ცელიე | 15 | 3 | 6 | 6 | 13:19 | 15 |
| დომზალე | 16 | 3 | 5 | 8 | 14:33 | 14 |
| ტრიგლავი | 16 | 2 | 6 | 8 | 14:28 | 12 |

## სპორტული ლატარია "CROCO"

| | | | |
|---|---|---|---|
| **ჩემპიონთა ლიგა** | | | |
| 2 დეკემბერი | | | |
| გალათასარაი — იუვენტუსი | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| **გერმანიის ჩემპიონატი.** II ბუნდესლიგა | | | |
| 1 დეკემბერი | | | |
| ზანქტ პაული — ურდინგენი | 1,5 | 3,6 | 5,0 |
| 2 დეკემბერი | | | |
| მაინცი — კიკერსი | 2,0 | 3,0 | 3,3 |
| **გერმანია. თასის მეოთხედფინალი** | | | |
| 1 დეკემბერი | | | |
| ბაიერნი — შტუტგარტი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 2 დეკემბერი | | | |
| ზიგენი — ვოლფსბურგი | 5,0 | 3,2 | 1,6 |
| ობერჰაუზენი — მიონხენგლადბახი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| ვერდერი — ბერლინი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| **ინგლისის ჩემპიონატი.** I დივიზიონი | | | |
| 2 დეკემბერი | | | |
| ნორვიჩი — გრიმსბი | 1,6 | 2,9 | 6,0 |
| ქუინზ პარკი — იფსვიჩი | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| **იტალიის თასი. მეოთხედფინალი.** პირველი მატჩები | | | |
| 1 დეკემბერი | | | |
| უდინეზე — პარმა | 2,2 | 2,8 | 3,1 |
| 2 დეკემბერი | | | |
| ატალანტა — ფიორენტინა | 4,2 | 2,9 | 1,8 |
| 3 დეკემბერი | | | |
| ლაციო — ინტერი | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| **საფრანგეთი** | | | |
| 3 დეკემბერი | | | |
| მონაკო — ნანსი | 1,45 | 3,3 | 7,0 |
| ოსერი — მარსელი | 2,6 | 2,7 | 2,6 |
| ლიონი — ბორდო | 2,4 | 2,7 | 2,8 |
| **ინგლისის ლიგის თასის მეოთხედფინალი** | | | |
| 1 დეკემბერი | | | |
| უიმბლდონი — ჩელსი | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| სანდერლენდი — ლუტონი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 2 დეკემბერი | | | |
| ტოტენჰემი — მანჩესტერი | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| ლესტერი — ბლექბერნი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| **ჰოლანდია** | | | |
| 1 დეკემბერი | | | |
| ჰერენვენი — ეინდჰოვენი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 2 დეკემბერი | | | |
| კამბური — უტრეხტი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| ნაიმეგენი — სპარტა | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| ალკმაარი — როდა | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| 3 დეკემბერი | | | |
| სიტარდი — ვალვაიკი | 1,7 | 3,1 | 4,4 |
| **ბელგია.** ლიგის თასი | | | |
| 2 დეკემბერი | | | |
| ანტვერპენი — ანდერლეხტი | 5,0 | 3,2 | 1,6 |
| ბევერენი — სტანდარდი | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| ლიერსი — ჰარელბეკი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| ლოკერენი — ლომელი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| სენტ ტრუიდენი — სერკლ ბრიუგე | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| **შოტლანდია ჩემპიონატი.** გამოტოვებული მატჩი | | | |
| 2 დეკემბერი | | | |
| სენტ ჯონსტონი — ჰარტსი | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| **ავსტრიის ჩემპიონატი.** გამოტოვებული მატჩი | | | |
| 1 დეკემბერი | | | |
| შტაირი — ლუსტენაუ | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| **თურქეთის თასის მერვედფინალი.** საპასუხო მატჩები | | | |
| 1 დეკემბერი | | | |
| ქარაბუქი — ქოჯაელი | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| 2 დეკემბერი | | | |
| ერზურუმი — სამსუნი | 1,9 | 3,0 | 3,5 |
| საქარია — ალთაი | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| გენჩლერბირლიგი — ისთანბული | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| ბურსა — ანკარა | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| გაზიანთეფი — ტრაბზონი | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| ბეშიქთაში — ქორლუ | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| **ჰოკეი. NHL** | | | |
| 1 დეკემბერი | | | |
| ბოსტონი — ვანკუვერი | 1,6 | 4,4 | 2,7 |
| რეინჯერსი — ფლორიდა | 1,8 | 4,4 | 2,2 |
| პიტსბურგი — ანაჰაიმი | 1,5 | 4,4 | 3,0 |
| ვაშინგტონი — ნიუ ჯერსი | 2,1 | 4,4 | 1,9 |
| ნეშვილი — ოტავა | 1,9 | 4,4 | 2,1 |
| 2 დეკემბერი | | | |
| ბუფალო — ფლორიდა | 1,4 | 4,4 | 3,4 |
| ტორონტო — ლოს ანჯელესი | 1,3 | 4,4 | 4,0 |
| აილენდერსი — რეინჯერსი | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| კაროლინა — მონრეალი | 1,8 | 4,4 | 2,2 |
| კოლორადო — დეტროიტი | 2,1 | 4,4 | 1,9 |
| ედმონტონი — ფინიქსი | 2,1 | 4,4 | 1,9 |
| სან ხოსე — დალასი | 2,4 | 4,4 | 1,7 |
| 3 დეკემბერი | | | |
| ოტავა — ლოს ანჯელესი | 1,7 | 4,4 | 2,4 |
| ჩიკაგო — ანაჰაიმი | 1,9 | 4,4 | 2,1 |
| კალგარი — ტამპა ბეი | 1,7 | 4,4 | 2,4 |

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ.

ფრენბურთი

# შურისძიება იტალიურად

იაპონიაში დასრულდა მსოფლიოს ჩემპიონატი ფრენბურთში ვაჟთა გუნდებს შორის. შაბათს გაიმართა ნახევარფინალური მატჩები, კვირას კი ფინალი. მანამდე კი ჩატარდა შეხვედრები, რომლებმაც გუნდებს ტურნირზე საბოლოო ადგილები მიაკუთვნა.

პირველ ნახევარფინალში ერთმანეთს იუგოსლავია და კუბა დაუპირისპირდნენ. ევროპელებმა მატჩი ძალიან ძლიერად დაიწყეს და პირველი პარტია მეტად იოლად მოიგეს — 15:3. „თითქოს ჩაძინებულები ვიყავით. როცა გამოვფხიზლდით, უკვე 3:10-ს ვაგებდით, მერე მეტოქემ ზედიზედ ხუთი ქულაც მიითვალა და გაიმარჯვა კიდეც პირველ პარტიაში" — თქვა კუბელთა კაპიტანმა იოსვანი ერნანდესმა. მომდევნო ხელში კუბელებმა უფრო მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს იუგოსლავიელებს და მხოლოდ 12:15 დამარცხდნენ. ნახევარფინალის მესამე პარტია კი ისეთი დაძაბული და საინტერესო გამოდგა, ამ მსოფლიოს ჩემპიონატზე, ალბათ, სხვა ვერც ერთი შეედრებოდა. ანგარიში 8:8 იყო, როცა სლავთა გუნდში ვლადიმირ ბატეზმა გამოიდო თავი. მისი საუცხოო თამაშის წყალობით იუგოსლავია 14:9 დაწინაურდა, აქ კი კუბელები გარდაიქმნენ და ზედიზედ შვიდი ქულის მოპოვება შეძლეს. გამარჯვების მომტანი დაფარება რაულ დიაგომ შეასრულა — 16:14. მეოთხე პარტია კი უკანასკნელი გამოდგა. ატლანტის ოლიმპიადის ბრინჯაოსმედალოსნებმა წინა პარტიის შეცდომა აღარ გაიმეორეს, დროზე ადრე საკუთარი გამარჯვება აღარ ირწმუნეს და ფინალისკენაც გაიკვლიეს გზა.

„რა თქმა უნდა, მოგებით ძალიან კმაყოფილი ვარ, თუმცა ამ თამაშში 3:0 უნდა გაგვემარჯვა. მაგრამ მესამე პარტიაში ჩემი ბიჭები შეცდნენ, დროზე ადრე იფიქრეს — მეტოქე დაგვნებდაო. ეს კი საკმაოდ ძლიერმა კუბამ არ გვაპატია. კიდევ კარგი, ბოლო პარტიას მეტი სერიოზულობით მოვეკიდეთ. ახლა იმედი გვაქვს, რომ ოქროს მედლებს დავეუფლებით, თუმცა ეს მეტისმეტად ძნელი იქნება" — თქვა იუგოსლაველთა მწვრთნელმა ზორან გაიჩმა.

მეორე ნახევარფინალი მსოფლიოს ჩემპიონ იტალიასა და ბრაზილიას შორის მეტად დრამატული გამოდგა. ორივე გუნდის მოთამაშეები საუკეთესოდ ირჯებოდნენ და არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ ფინალის საკადრისი ორთაბრძოლა ნახევარფინალში გაიმართა. სამხრეთამერიკელების მარცხში ყველაზე მეტად მათმა თანამემამულემ — პაულო „ბებეტო" დე ფრეიტასმა დაიდო წილი. ეს კაცი იტალიელთა მთავარი მწვრთნელია და უდიდესი წვლილი მიუძღვის აპენინელთა გამარჯვებაში. მატჩი გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა, მეტოქეები რიგრიგობით აგროვებდნენ ქულებს და ასევე რიგრიგობით იგებდნენ პარტიებს. ბოლოს კი უფრო იღბლიანები იტალიელები აღმოჩნდნენ და ფინალშიც სწორედ ისინი გავიდნენ.

„მეტად დაძაბულ შეხვედრაში შევძლით წარმატების მიღწევა, რითაც უზომოდ კმაყოფილი ვარ. ბრაზილიელები ძალიან ძლიერი ფრენბურთელები არიან. არ გეგონოთ, ამას იმიტომ ვამბობ, რომ მეც ბრაზილიელი ვარ. არა, ეს უბრალოდ ფაქტია, რისი მოწმენიც დღეს კიდევ ერთხელ გავხდით. ძალიან გვიშველა იმან, რომ მე თვითონაც ბრაზილიური სკოლის აღზრდილი ვარ. სწორედ ამიტომ იყო, რომ გამოვიცანი; თუ რა ტაქტიკას დაგვიპირისპირებდა მოწინააღმდეგე ბოლო პარტიაში და საჭირო მითითებებიც მივეცი ჩემს მოთამაშეებს. მათაც იმედები არ გამიცრუეს და ყველა ჩემი დარიგება უნაკლოდ შეასრულეს. ისინი ნამდვილად დიდი ფრენბურთელები არიან. ფინალში ყოველნაირად ვეცდებით ტიტული შევინარჩუნოთ და მეოთხედფინალურ ჯგუფში იუგოსლავიასთან მარცხისთვის რევანში ავიღოთ, თუმცა ეს ძალიან გაგვიჭირდება, რადგან იუგოსლავიელები საკმაოდ კარგ ფრენბურთს თამაშობენ" — პაულო დე ფრეიტასმა იმღლევანდელი მოწინააღმდეგეც აქო, მომავალიც, თავისი გუნდიც და არც თავის თავს დააკლო სადიდებელი სიტყვები.



REUTERS ტოკიოდან

იტალიელთა კაპიტანი ანდრეა გარდინი: კაცი ვარ და ქუდი მხურავს

ბრინჯაოს მედლებს ერთმანეთს კუბა და ბრაზილია ეცილებოდნენ. ამ გუნდებმა მეოთხედფინალურ ჯგუფში უკვე ითამაშეს, გამარჯვება მაშინ სამხრეთამერიკელებს დარჩათ. კვირას კი კუბამ შეძლო ძლიერი მეტოქის დამარცხება და მესამე ადგილზეც დამსახურებულად გავიდა. კარიბელებმა იუგოსლავიასთან წაგება, ეტყობა, უფრო იოლად გადაიტანეს, ვიდრე ბრაზილიელებმა იტალიასთან. თუმცა პირველი პარტია საწინააღმდეგოს მეტყველებდა — 15:12 ბრაზილიის სასარგებლოდ. ამის მერე ბარსელონას ოლიმპიადის გამარჯვებულებს დაღლა შეეტყოთ, რითაც კუბელებმა მაშინვე ისარგებლეს და თავდასხმაში მეტად ენერგიული თამაშით ზედიზედ სამი პარტია და მატჩი მოიგეს. „ჩანდა, რომ ორივე ნაკრებს ნახევარფინალურმა მატჩებმა ბევრი ძალა წაართვა, ამიტომაც არც ერთი იყო მოწოდების სიმაღლეზე და არც მეორე. ბრაზილიელებს ძალიან კარგი გუნდი ჰყავთ და ვფიქრობ, მეოთხე ადგილი მათ სიძლიერეს არ შეესაბამება. ბრინჯაოს მედლების მოგებით ყველანი ძალიან გახარებული ვართ. მართალია, ჩვენი ქალების წარმატება ვერ გავიმეორეთ, მაგრამ ჩვენთვის მესამე ადგილიც საკმაოდ კარგი შედეგია, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ისეთი ძლიერი გუნდები, როგორებიც ბრაზილია, რუსეთი ან კიდევ ჰოლანდია არიან, ჩვენს უკან დარჩნენ" — განაცხადა მატჩის შემდეგ კუბელთა თავკაცმა ხუან დისმა.

„მე მგონი, დღეს ჩვენი შესაძლებლობების მხოლოდ 50% გამოვავლინეთ. მინდა, მეტოქეს გამარჯვება მივულოცო, ჩვენ კი ვეცდებით, შემდეგ ტურნირებზე უფრო მაღალი ადგილები დავიკავოთ" — იმედიანადაა განწყობილი ბრაზილიელთა კაპიტანი ნალბერ ბიტენკური.

ფინალურ მატჩს ტოკიოში 12 000 მაყურებელი დაესწრო. იტალიამ მეოთხედფინალურ ჯგუფში 0:3 მარცხისთვის შური იძია და იუგოსლავია 3:0 დაამარცხა. მსოფლიოს ჩემპიონებმა მეტოქეს თამაშის მოგების თითქმის არანაირი შანსი არ მისცეს. სლავებმა, შეიძლება ითქვას, მხოლოდ პირველ პარტიაში გაიბრძოლეს, თუმცა მხოლოდ საპატიო ანგარიშით მარცხს „მიაღწიეს". ამის მერე თითქოს ერთი გუნდიღა თამაშობდა. აპენინელებს ყველაფერი გამოსდიოდათ — უძლიერესი დარტყმები, საუცხოო მოწოდებები, ჩინებული დაფარებები. ეს კი სწრაფად აისახა ანგარიშზე — 15:5, 15:10. ერთი სიტყვით, იტალიამ დამსახურებულად გაიმარჯვა მატჩშიც და ტურნირზეც. იუგოსლავია კი, ალბათ, მეოთხედფინალურ ჯგუფში რუსეთთან ჩაგდებული თამაშის გამო „დაისაჯა".

„ძალიან კმაყოფილი ვარ. მშვენიერი თამაში გამოდგა და დარწმუნებული ვარ, მაყურებელმაც ისიამოვნა. დამსახურებულად მოვიგეთ, მეტოქეს ერთი თავით ვჯობდით, რაც ანგარიშიდანაც ჩანს. მიხარია, რომ ტიტულის შენარჩუნება შევძელით. ახლა მთელ ძალებს მსოფლიოს თასისა და ოლიმპიადის მოსაგებად მივმართავთ და იმედია, ამ ამოცანასაც წარმატებით გადავჭრით. კიდევ ერთხელ ვიტყვი, რომ ძალიან მიხარია" — სიხარულისგან მეშვიდე ცაზე იყო იტალიელთა თავკაცი პაულო დე ფრეიტასი.

**გაიოზ თალაკვაძე**

| შაბათი |
|---|
| **ნახევარფინალები** |
| იუგოსლავია — კუბა 3:1 (15:13, 15:12, 14:16, 15:10) |
| იტალია — ბრაზილია 3:2 (15:10, 13:15, 15:11, 10:15, 15:10) |
| **მე-9 ადგილისთვის** |
| რუსეთი — ბულგარეთი 3:0 (15:13, 15:2, 15:7) |
| ჰოლანდია — ესპანეთი 3:2 (13:15, 16:17, 15:12, 15:10, 15:10) |
| **მე-9 ადგილისთვის** |
| აშშ — არგენტინა 3:2 (15:10, 15:11, 11:15, 13:15, 15:9) |
| უკრაინა — კანადა 3:0 (15:11, 15:13, 15:11) |
| კვირა |
| **ფინალი** |
| იტალია — იუგოსლავია 3:0 (15:12, 15:5, 15:10) |
| **მე-3 ადგილისთვის** |
| კუბა — ბრაზილია 3:1 (12:15, 15:6, 15:11, 15:12) |
| **მე-5 ადგილისთვის** |
| რუსეთი — ჰოლანდია 3:0 (15:7, 15:12, 15:12) |
| **მე-7 ადგილისთვის** |
| ბულგარეთი — ესპანეთი 3:1 (15:12, 15:7, 15:11) |
| **მე-9 ადგილისთვის** |
| აშშ — უკრაინა 3:0 (16:14, 15:12, 15:10) |
| **მე-11 ადგილისთვის** |
| არგენტინა — კანადა 3:0 (15:7, 15:10, 15:6) |

**თორმეტი საუკეთესო**

1. იტალია
2. იუგოსლავია
3. კუბა
4. ბრაზილია
5. რუსეთი
6. ჰოლანდია
7. ბულგარეთი
8. ესპანეთი
9. აშშ
10. უკრაინა
11. არგენტინა
12. კანადა

28 ნოემბერს სპორტის სასახლეში შეკრებილი მცირერიცხოვანი გულშემატკივარი პირველ გამარჯვებას ელოდა, მაგრამ მორიგი ნამდვილქართული სირცხვილის მოწმე შეიქნა. საქართველოს ნაკრები (პირობითად, რა თქმა უნდა) უშველებელმა სკანდინავიურმა „მანქანამ" გადაყლაპა და დამშეულმა ქართული კალათბურთიც ზედ მიაყოლა.

დიახ! ქართული კალათბურთი, რომელიც თვალსა და ხელს შუა გვიკვდება, ჭირისუფალი კი დღემდე არ გამოჩენილა. ან კი ვის სჭირდება პატივაყრილი და დაჩაჩანაკებული... ხოლო ეიფორია მისი სიცოცხლისუნარიანობის შესახებ მცდარია.

ამის თქმას რატომღაც ყველა ერიდება.

EURO BASKET 99

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი. E ჯგუფი

## საქართველო 59:82 შვედეთი

28 ნოემბერი. თბილისი. სპორტის სასახლე. პირველი ტაიმი 43:37

მსაჯები: კამენ ტოშევი (ბულგარეთი), მარეკ ჩმიკევიჩი (პოლონეთი)

# ისევ მარცხი, ისევ სირცხვილი როდემდე?!

მატჩის შემდეგ

მატჩის შემდეგომ, ნაკრების მთავარ მწვრთნელს, ლევან მოსეშვილს გა-
ვესაუბრეთ:

**— ეროვნულმა ორი განსხვა-
ვებული ტაიმი აჩვენა...**

— პირველი ნახევარი ჩვენს სასარგე-
ბლოდ კი დავასრულეთ, მაგრამ საქმე
ცუდი პირი უჩანდა. განსაკუთრებით და-
ცვით ვიყავი უკმაყოფილო. მოთამაშეებს
ვერ დავადანაშაულებ, რომ ბრძოლის ჟინი
აკლდათ, მაგრამ ჩეხებთან მატჩისგან გა-
ნსხვავებით, შედარებით დაბალ შვედე-
ბთან ბრძოლა გაუჭირდათ. შესვენებაზე
დარიგებებიც მივეცით და თითქოს მეო-



ასე დაიწყო, გაგრძელდა და დასრულდა საქართველო-შვედეთის საკალათბურთო მატჩის საკრივო ჩანართი

მაგრამ ეს არ არის ის შემთხვევა, როცა ამით საქმეს ეშველება. ყველა განვიცდით, ყველას გვტკივა და იმიტომ.

სათქმელი კი ძალიან ბევრი დაგროვდა, წარმოუდგენლად ბევრი...

... ჩეხეთის გუნდთან ღირსეული (!) მარცხის შემდეგ იმ დღეს ყველა ქართველთა გამარჯვებას ელოდა. ან კი რატომ? როცა ექვსი თამაშიდან ექვსივე წავაგეთ. ნუთუ მხოლოდ იმიტომ, რომ ჩეხებმა მხოლოდ 7 ქულით მოგვიგეს? საკმარისია კი ეს ყოველივე ხმაურის ასატეხად, არიქა, ნაკრებმა ბრძოლისუნარიანობა გამოავლინა და წლის საუკეთესო თამაში აჩვენა, უდავოდ ალმასვლას განვიცდით და შვედებს უეჭველად მოვუგებთო. რატომ ვიყავით ასეთი თავდაჯერებულნი შვედთა ძლევაში? აი, ყველაზე დიდი და უპატიებელი შეცდომა.

გამარჯვება კი ძალიან გვწყუროდა. მერედა, როგორ გავიხარებდი. ცოტათი მაინც გავუხანგრძლივებდით ქართულ კალათბურთს მაჯისცემას. ახლა კი...

კიდევ კარგა ხანს გაგვყვება იმ დღის ტკივილი. სამუდამოდ ჩაიბეჭდება ჩვენს მეხსიერებაში ამბავი შვედთაგან ქართველთა ძლევისა.

... ეს იყო შეხვედრა, რომლის სცენარიც უნიჭოდ დაიდგა. თავიდანვე გაცხადდა, რომ ცბიერი როლფ ნილსონისგან დამოძღვრილი სკანდინავიელები, ვითომ ქართველების უპირატესობას რომ აღიარებდნენ, არაფერს დათმობდნენ და მხოლოდ გამარჯვებისთვის იბრძოლებდნენ. საინტერესო იყო, რას დაუპირისპირებდა ნილსონს ლევან მოსეშვილი, რომელსაც წარმატების მიღწევა გუნდური და სწრაფი თამაშის ხარჯზე ესახებოდა, მაგრამ დაიწყო შეხვედრა და გამოჩნდა, რომ კომბინაციურ თამაშთან ქართველები კვლავაც (როგორც წესი) მწყრალად იყვნენ და სისწრაფითაც ჩამოუვარდებოდნენ მეტოქეს.

რაც უფრო მოუმატებდა მოწინააღმდეგე ტემპს, მით უფრო უჭირდათ ჩვენებს მათთან გამკლავება. არადა, ერთი შეხედვით შვედები ერთფეროვნად, პრიმიტიულად ავითარებდნენ შეტევებს. მათი ლიდერი, ტორბიორნ გერკე, ცენტრის პოზიციიდან უკანა ხაზზე ამოინაცვლებდა და მასზე აკიდებული ვატო ნაცვლიშვილიც ძალაუნებურად ფარს სცილდებოდა. შედეგად ჩვენი ფარის მისადგომებთან „აუთვისებელი" სივრცეები ჩნდებოდა, რასაც ტანმაღალი შვედები თავიანთ სასარგებლოდ იყენებდნენ.

თუ მეტოქე ასე თუ ისე შეთანხმებულად მოქმედებდა, ქარველთა მხრიდან მსგავსი ქმედების მაგვარიც კი არ ყოფილა. ისინი მხოლოდ ინდივიდუალური თამაშით ცდილობდნენ ქულების მოგროვებას, რაც არც თუ ხშირად გამოსდიოდათ და გადამწყვეტ ფაზაში ჩვენებურთა შეტევები მოწინააღმდეგის დაცვით ჯებირებს ეხეთქებოდა.

მატჩის მსვლელობისას არ შესრულებულა არც ერთი გააზრებული კომბინაცია, რომელიც ქართველებს ლოგიკურ დასასრულამდე მიეყვანოთ. აქედან დასკვნა: გუნდი ტაქტიკურად აბსოლუტურად მოუმზადებელი იყო. მოთამაშეები არ ასრულებდნენ მწვრთნელების მითითებებს. ნებისმიერ შემთხვევაში ძნელია ამას გამართლება მოუძებნო.

მთელი თამაშის სიმძიმემ ფაქტობრივად ექვსი კალათბურთელის მხრებზე გადაიარა. გასაგებია, რომ გუნდმა მოისაკლისა ვაშაკიძე, რომელიც ჩეხებთან მატჩში დაშავდა, ვერ მომჯობინდა ქარაბაკი, რომლისაც მწვრთნელებს ასევე ეიმედებოდათ (სტეფანიაზე შეგნებულად არაფერს ვამბობთ), მაგრამ თუ შესაძლებელია, გუნდში ათი მეტ-ნაკლებად თანაბარძალოვანი კალათბურთელი იყოლიო, ვფიქრობთ, ასეც უნდა მოიქცე. რითი აიხსნება, რომ შეკრებაზე საერთოდ არ გამოიძახეს რამაზ გოგობერიშვილი, რომელიც დღესდღეობით ერთ-ერთი საუკეთესო ქართველი კალათბურთელია. ნუთუ მისი ნიჭი და უნარი კონკრეტულ მატჩში არ გამოგვადგებოდა? რატომ არ დაუძახეს ვაკო ბეჟანიშვილს, რომელიც წარმატებით გამოდის რუსულ სუპერლიგაში! ნუთუ სხვაც ბევრი გვყავს მისნაირი? ესეც ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი ჩვენი წარუმატებლობისა.

„ნაკრებს ახალი სისხლი სჭირდება" — ხშირად გაიგონებდით მწვრთნელებისგან. კი, ბატონო, ასეა, მაგრამ ისიც ხომ დღესავით ნათელია, რომ ერთბაშად, ერთი ხელის მოსმით არაფერი გამოდის. რომ ეს ყველაფერი ეტაპობრივად და გააზრებულად უნდა გაკეთდეს. როდემდე ვიაროთ შერცხვენილებმა? როდემდე ვყლაპოთ ბოღმა, შვედეთის დარ გუნდებთან წაგებით ყელში რომ გაგვჩხერია? უნდა ვიმოქმედოთ, საქმე უნდა ვაკეთოთ, არადა, მუდამ ასე ვიქნებით.

– ასეთ დამარცხებას მაინც ვერავინ იფიქრებდა. დამწუხრებული გულშემატკივარი სწრაფად ტოვებდა სპორტის სასახლის ტრიბუნას და ვინ იცის, რა ვარამი უტრიალებდა გულში. რას მოელოდა და რა ნახა. მოვა კი საერთოდ საყვარელი გუნდის საქომგოდ? საკითხავი, აი, ეს არის.

თუმცა რატომ? კალათბურთის ნაცვლად გვარიანი ჩხუბი იხილა, გემრიელი მუშტის ქნევა. ამად თუ შემოივლის როდესმე...

**დიმიტრი ნიშნიანიძე**

რე ტაიმის დასაწყისში საქმეც გამოსწორდა, მაგრამ ახლა თავდასხმაში მოვიკოჭლეთ. ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს, როცა გუნდი შინაურ კედლებში 13 წუთის განმავლობაში 8 ქულას გააკეთებს. ჩვენ საგანგებოდ გამოვწიეთ ფარიდან ჯაფარიძე, რადგან პირველ ნახევარში შორი სროლები წაუვიდა. ამით ვერ ვიხეირეთ: ბურთი მასთან თითქმის არც მისულა. ბურთსაც ცენტრთან ვათამაშებდით, რომ შვედებსაც ზემოთ ამოეწიათ და ქულები ჩვენი უკანახაზელების ინდივიდუალური შესვლებით დაგვეგროვებინა. არც ამან გამოიღო ნაყოფი. საბოლოოდ შეტევების გაცუდებამ მოთამაშეების ნერვებზე იმოქმედა და ჩხუბიც მოხდა. ჯაფარიძისა და ბერძენიშვილის გაძევების შემდეგ კი უკვე ყველაფერი დაიკარგა.

**— მომხდარ ინციდენტზე რას იტყვით?**

— რა თქმა უნდა, ასეთი რამ არ უნდა ხდებოდეს, სამარცხვინოა საქმე მუშტამდე არ უნდა მოსულიყო, სპორტული პაექრობა ჩხუბში არ უნდა გადაიზარდოს.

მოედნის გარედანაც კარგად ჩანდა, თუ როგორი ძალისმიერი და ხისტი თამაში იყო. გერკეს წაქცევას (ამას სიმულაციას უფრო ვუწოდებ) ორივე მხრიდან მოჰყვა გამოხმაურება და საბოლოოდ ჩხუბში გადაიზარდა.

**— ამ მატჩში ნდობა ყველაზე მეტად ვინ ვერ გაგიმართლათ?**

— მთლიანობაში ყველაზე ითქმის, რაც მათ დავავალეთ—სწრაფი ტემპი და მეტოქის მჭიდროდ მეურვეობა, ვერ შეასრულეს. ამის ბრალია, რომ შვედები პა-



კვლავ უშედეგოდ: ჩხეიძეს სალსტრიომმა დაუფარა

| საქართველო | წუთი | 2-ქულიანი | 3-ქულიანი | საჯარიმო | მოხსნა | პასი | ჩაჭრა | ფოლი | ქულა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 9 აბრამიძე | 35 | 3/4 | 0/5 | 0/0 | 1 | 2 | 0 | 3 | 6 |
| 15 ჩხეიძე | 37 | 3/8 | 0/0 | 3/7 | 4 | 0 | 0 | 1 | 9 |
| 5 ბოისა | 22 | 3/4 | 0/1 | 2/2 | 3 | 1 | 1 | 4 | 8 |
| 13 ვ. ნაცვლიშვილი | 38 | 5/11 | 0/0 | 1/3 | 15 | 2 | 1 | 5 | 11 |
| 12 ჯაფარიძე | 31 | 5/7 | 2/4 | 0/1 | 3 | 0 | 0 | 4 | 16 |
| 11 ბერძენიშვილი | 3 | 0/0 | 0/0 | 1/2 | 2 | 0 | 0 | 5 | 1 |
| 6 ფლენტი | 26 | 0/1 | 0/2 | 3/4 | 2 | 1 | 6 | 2 | 3 |
| 14 მაისურაძე | 8 | 1/3 | 1/2 | 0/0 | 0 | 0 | 0 | 3 | 5 |
| სულ | 200 | 20/38 | 3/14 | 10/19 | 30 | 6 | 8 | 27 | 59 |

| საქართველო | წუთი | 2-ქულიანი | 3-ქულიანი | საჯარიმო | მოხსნა | პასი | ჩაჭრა | ფოლი | ქულა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4 ჰაკანსონი | 32 | 3/7 | 0/0 | 3/4 | 4 | 1 | 1 | 1 | 9 |
| 9 ი. ლარსონი | 18 | 0/0 | 1/4 | 0/0 | 2 | 0 | 1 | 3 | 3 |
| 14 სტიუმერი | 34 | 0/0 | 1/2 | 0/0 | 3 | 1 | 0 | 3 | 3 |
| 12 გერკე | 34 | 5/6 | 0/2 | 16/17 | 5 | 2 | 1 | 0 | 26 |
| 11 ბლომი | 23 | 4/8 | 0/0 | 4/6 | 7 | 1 | 0 | 5 | 12 |
| 7 აულანდერი | 10 | 0/1 | 0/1 | 0/0 | 0 | 1 | 0 | 1 | 0 |
| 6 ბერგსტრიომი | 24 | 1/1 | 3/5 | 3/3 | 4 | 3 | 2 | 4 | 14 |
| 8 იონსონი | 2 | 0/0 | 0/0 | 0/0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 15 სალსტრიომი | 23 | 6/11 | 0/0 | 3/4 | 5 | 1 | 0 | 4 | 15 |
| სულ | 200 | 19/34 | 5/14 | 29/34 | 30 | 10 | 5 | 21 | 82 |



ჩხუბში ქართველები ტორბიორნ გერკეს (12) მოერივნენ, კალათბურთის თამაშისას კი შვედმა აჯობათ

...ლ ტაიმში ფონს სამიანებით გადიო-...ნ. ჩვენებს ფარზე ბრძოლაც არ გამო-...ოდათ.

...წვრთნელებიც არ ვიცილებთ ჩვენს ...ლ პასუხისმგებლობას, მაგრამ გაოცე-... იწვევს შვედთა ასეთი თავდადება. ...გონა, თურქებთან განადგურების შე-...გ ისინი მორალურად გატეხილები იქ-...ოდნენ, მაგრამ ცივსისხლიანები ყო-...ან. მობილიზებაც შეძლეს და პრო-...იონალების დარად გამარჯვებისკენ ...ოლვაც მეტი აღმოაჩნდათ.

...აც შეეხება ჩვენს ნაკრებს, ჩეხეთში ...ენები თამაშიდან გამომდინარე, ვფი-...ბდით, მეტს შევძლებდით. თითქო-... შინაურ კედლებში მოგების მეტი ...ი გვქონდა, მაგრამ ხელიდან გავუ-...თ.

...ჭებიდან არავის გამოყოფა არ მსურს, ...ლა მოთამაშეს მეტი შეეძლო. ნაცვლი-...ს ფეხი აწუხებდა და რაც შეეძლო ...თა. მართალია, ძველებურად ვერ გა-...ურება, მაგრამ მაინც დიდი ძალაა. ... შეუძლია ბოისას. მას სლოვენიაში ...ნა დიდად დაეტყო, სათამაშო და ფი-...ური კონდიციებიც აუმაღლებია. თუმც ...შეხვედრაშიც, ჩეხებთან მატჩის და-... გუნდთან მისმა შეუთამაშებლობამ ... თავი. თანაც თავის სიმაღლეს ისე ... იყენებდა და მისი ნაკლებად ეფექ-...ობაც ამითაა გამოწვეული. ახლა, როცა ... ტანმაღალი მოთამაშე გამოგვაკლდა, ...ს მეტი მოეთხოვება და მისი დიდად ...მედება.

*...თავარ მწვრთნელთან საუბარს ვამ-...რებდით, გასახდელიდან კოჭლობით ...ტანგ ნაცვლიშვილი რომ გა-...და და, ბუნებრივია, მასაც გავესაუ-...თ.*

— ფეხი სირბილის საშუალებას არ მა-...და. ტკივილი მანამდეც მაწუხებდა, მა-... ასე არც ისრაელის შეკრებაზე შევუ-...ბივარ და არც ჩეხებთან. თბილისში, ...ის წინა ვარჯიშებზე, დიდ დატვი-...ს ვერიდებოდი, მაგრამ არც ამან მი-...ა. გული მწყდება, შინ ჩვენს გულშე-...ვრებს ჩემი თამაში რომ ვერ ვაჩვენე.

— **ჩხუბზე რას იტყვი?**

— თამაში უხეშობის ზღვარზე მიმდი-...ობდა. ორივე გუნდს უბურთოდ მე-...ბრძოლა გვიწევდა. ბოლო ხანებში ...აში ძალისმიერი, ხისტი თამაშები ...ობს და გერკეს სიმულაცია ჩემთვის ...ლოდნელი იყო. ამიტომაც დავადექი ...ე და ადგომა მოვთხოვე. ამ დროს ...ცამ ხელი მკრა და ჩხუბიც დაიწყო.

— **თურქეთში ნაკრებს გაჰყვები?**

— ჩემი თამაშით მე თავად უკმაყოფი-...ვარ, ...ა მწვრთნელები რას გადაწყ-...ენ, ... საქმეა. ისე კი თუ ფეხი ... მომცემს, ალბათ, ნაკრებთან ...ბი.

*...ხდელიდან სხვებიც გამო-...ენ. ისინი სასახლეს დალვრემილები ...ებოდნენ. ირაკლი მაისურაძეც ...ხრილი მიდიოდა და მარცხენა თვა-... სალბუნს იფენდა.*

— **თვალი როგორღა დაიშავე?**

— მეტოქეს მჭიდროდ ვიყვანდი და დასხლტომას რომ ლამობდა, სახეში იდაყვი მომარტყა. მსაჯმა კი რატომღაც მე დამაჯარიმა...

— **გეტყობა, შენი თამაშით უკმაყოფილო ხარ?**

— მოედანზე მეორე ტაიმის მიწურულს შევედი და მატჩში ჩართვა გამიჭირდა. ნერვიულობისგან გუნდი მოშლილი იყო და მეც ვერაფერი შევძელი მატჩის გადასარჩენად.

*თამაშის შემდეგ, ბუნებრივია, შვედების აზრი გვაინტერესებდა, მაგრამ ქართველი სამართალდამცავების ენერგიული საქმიანობის შედეგად ჩვენი საუბარი მეტად ხანმოკლე გამოდგა. პირველად გასახდელიდან ორი წუთით გამოსული ჩრდილელთა მთავარი მწვრთნელი როლფ ნილსონი მოვიხელთეთ:*

— **ბატონო ნილსონ, თამაშის შესახებ რას იტყოდით?**

— ეს იყო ჩვენთვის უმნიშვნელოვანესი შეხვედრა. საბედნიეროდ, მოვიგეთ. ჩემი აზრით, ეს იყო დიდი მატჩი და დიდი გამარჯვება. უმთავრესი მოვლენები მეორე ტაიმის პირველ ნახევარში განვითარდა, როდესაც თამაშში გარდატეხა შევიტანეთ და ქართველებს მოდუნება არ ვაპატიეთ.

— **გუნდებში ვის გამოარჩევდით?**

— ჩვენებიდან გამოვყოფდი გერკეს და სალსტრიომს. ისე, ყველამ კარგად ითამაშა, მაგრამ იოაკიმ ბლომისგან მეტს ველოდი. მან ეს თამაში ჩააგდო. რაც შეეხება თქვენებს — ყველაზე ძალიან მომეწონა 15 ნომერი (ჩხეიძე) და ორი დიდი ბიჭი: ნომერი 13 (ნაცვლიშვილი) და... და ნომერი 12 (ჯაფარიძე)

— **მსაჯობაზეც გვითხარით.**

— კომენტარზე უარს ვამბობ.

— **ჩვენი ქვეყანა როგორ მოგეწონათ?**

— იცით, მაინცდამაინც კარგად დათვალიერება ვერ მოვახერხე, მე მგონი, ურიგო არ უნდა იყოს.

*აქ შვედების მთავარ მწვრთნელს დავემშვიდობეთ და ორიოდე კითხვით ჩვენს მძლეველთა ლიდერს ტორბიორნ გერკეს მივმართეთ.*

— დიდი ბრძოლა გაგვიმართეთ, მოგებაც შეგეძლოთ, მაგრამ, ვფიქრობ, ღირსეულად გავიმარჯვეთ. მატჩის ბოლოს მომხდარმა ინციდენტმა ძალიან ცუდი გავლენა იქონია თქვენზე. რაც მთავარია, მოვიგეთ, ძალიან გახარებული ვარ.

— **შვედეთის ნაკრებში ასზე მეტი მატჩი ჩაგიტარებიათ. ეს თქვენი საუკეთესო თამაში იყო?**

— არ ვიტყოდი, რომ ძლიერად ვითამაშე. ვფიქრობ, მეტი შემიძლია.

*ამის შემდეგ, ცხადია, სხვებთან გასაუბრებაც გვსურდა, მაგრამ პოლიცია ფხიზლად იყო. ალბათ, ეშინოდა, კაითუ იქ შეკრებილ ათიოდე ჟურნალისტსა და ავტოგრაფების რამდენიმე პატარა მოყვარულს რაიმე არ გვევნო ტანზრგე შვედებისათვის.*

**ირაკლი ფირაშვილი**
**მამუკა ტულუში**

## A ჯგუფი

### ბელგია 93:75 ბულგარეთი

ბელგია: ბაიერი, კლეიმანსი (14), დე სევერი, დიუპონი, გუტალსი (24), ჟომინი (5), სტასი (12), სტრიულენსი (27), ვან პაელე (11)

ბულგარეთი: ბალევი (7), დიმიტროვი (6), კუჩინოვი (22), მინჩევი (4), ნატოვი (9), პეტროვი (2), რავუცოვი (5), სტოიკოვი (17), ველჩევი (3)

### საბერძნეთი 79:72 სლოვაკეთი

საბერძნეთი: ალვერტისი (17), ბალოიანისი (3), ეკონომუ (9), იანულისი (6), კორონიოსი (8), პაპანიკოლაუ (23), რენციასი (6), სიგალასი (5), სიუტისი, ცაკალიდისი (2)

სლოვაკეთი: ბოჰუნიცკი (3), გოლიანი (2), იაკაბოვიჩი (4), ლოვიკი (28), მიხალიკი (6), მიჩუდა (3), პეტრუშკა (26), სვიტეკი

### გერმანია 76:91 სლოვენია

გერმანია: არიგბაბუ (11), ფემერლინგი (13), გნადი (2), მახოვსკი (7), მუში (7), ნოვიცკი (2), ნიურნბერგერი (7), როდლი (13), ტომიჩი (12), ვუხერერი (2)

სლოვენია: დანეუ (19), დუშჩაკი (7), იაგოდნიკი (8), იურკოვიჩი (19), კრალევიჩი (10), მაკრისი (ნესტეროვიჩი) (8), ტოვორნიკი (4), ტუშეკი (4), ზდოვცი (12)

## B ჯგუფი

### პოლონეთი 50:61 მაკედონია

პოლონეთი: ბაჩიკი (4), დრიია (4), იანკოვსკი (10), პლუტა (3), სიდორი (2), სუსკი, შიბილსკი (4), ვილანგოვსკი, ვოიჩიკი (11), ზიელინსკი (12)

მაკედონია: ბლაჟევსკი (10), ბოჩევსკი (6), გეჩევსკი (1), კნიაზევი, კურტოვიკი (2), მიხაილოვსკი, ნაუმოსკი (29), სრბინოსკი, სტანკოვიკი (6), სტეფანოვი (7)

### რუსეთი 108:60 პორტუგალია

რუსეთი: დომანი (5), გუტოროვი (10), კარასიოვი (7), მიხაილოვი (16), მორგუნოვი (14), ნოსოვი (11), ზ. პაშუტინი (11), პანოვი (2), პეტრენკო (18), იუდინი (14)

პორტუგალია: ანტუნეში (8), აზევედუ (9), ბენტუ (2), ბრიტუ (2), მორეირა (2), დიასი (9), მარკეში (8), სიამუ (11), ოლივეირა (9), პაისი

### რუმინეთი 54:72 უნგრეთი

რუმინეთი: დ. ალეკუ (3), აპოსტოლი (5), ბიკოვი (14), ბურლაჩუ (3), იპიადინუ, ლაპუსტე (11), მოკანუ (7), პალიი, ტენტერი (5), ტოადერი (6)

უნგრეთი: ბენცე (3), ბოროში (6), ციგლერი (2), დავიდი (5), გულიაში (5), ჰალმი (12), კალმანი (9), ოროში (8), შიტკუ (22)

## C ჯგუფი

### ისრაელი 77:70 უკრაინა

ისრაელი: კოენი, გუდესი (21), ჰენფელდი (6), კაცი (7), მუხტარი (3), საფარი (5), შეფერი (20), შელეფი (4), შტეინჰაუერი (10), თორჯემანი (1)

უკრაინა: ბაზელევსკი (17), იაილო (2), ლოხმანჩუკი (21), მედვედენკო (12), მურზინი (5), ოკუნსკი (2), რიჟოვი, შაპტალა, ვოლკოვი (8), იევსტრატენკო (3)

### ესპანეთი 74:58 ინგლისი

ესპანეთი: ფ. ანგულო (11), ლ. ანგულო (3), დე ლა ფუენტე (11), დე მიგელი (6), დუენიასი (8), ერეროსი (20), ლოპესი (3), რეიესი (9), როდრიგესი, რომერო (3)

ინგლისი: ამაეჩი (21), ბეტსი, ბაკნელი (15), კარტერი (3), ჩუნგი (3), ჰანსელი (3), ჰასლემი (2), ჰერიმენი (5), ჰიუგინსი (4), ვილიამსი (2)

### დანია 58:69 ბელარუსი

დანია: ანდერსენი (13), ბაეკი (3), ბიერეგაარდი (7), ჰაუგე (2), ჰიორტი (5), იენსენი (8), იერიხოვი (2), ლარსენი (14), პ. პედერსენი (2), ტ. პედერსენი (2)

ბელარუსი: ბოიდაკოვი (13), შარკო (2), კორშუკი (2), კული (18), კრივონოსი (18), ლაშკევიჩი (2), მისიუტჩენკო, პლოტნიკოვი (2), პინტიკოვი (11), სვეტნიკი (4)

## D ჯგუფი

### ხორვატია 64:67 ბოსნია

ხორვატია: გირიჩეკი (10), კომაზეცი (2), კრსტიჩი (2), მრშიჩი (9), მულაომეროვიჩი (7), რაჯა (27), ტაბაკი (4), ზადრავეცი (3)

ბოსნია: ალიჰოჯიჩი (12), აიდინი (15), ფირიჩი (14), ლერიჩი (5), მარკოვიჩი (19), მირკოვიჩი, მუეძინოვიჩი (2)

### ლიტვა 80:61 პოლანდია

ლიტვა: ადომაიტისი (10), ეინიკისი (13), გედრაიტისი (2), იასიკევიჩუსი (12), მასკოლიუნასი (2), პრაშკევიჩუსი (2), საბონისი (17), შტომბერგასი (13), ე. ჟუკაუსკასი, მ. ჟუკაუსკასი (9)

ჰოლანდია: ბენეში (1), დე ფრიზი (8), ჰამინკი (20), ჰაინენი (2), ჰიუბენსი (4), კრიგერი, ნაჰარი (12), ვან დენ ბროკი (2), ვან დერ სლუისი (9), ვან რაინი (3)

### ისლანდია 79:100 ესტონეთი

ისლანდია: არნარსონი (16), ბრაგასონი (15), გუდფინსონი (7), ფ. ჰარდარსონი (7), ჰ. ჰარდარსონი (7), ჰაუკსონი (7), ინგვარსონი, კრისტინსონი, ორლიგსონი (16), სტეფანსონი (4)

ესტონეთი: კივინუკი, კრიისა (4), კულამი (13), კუუსმაა, ლიივაკი (2), მიუურსეპი (41), ნოორმეტსი (14), პარნი (12), პეჰკა (14)

## E ჯგუფი

### თურქეთი 78:65 ლატვია

თურქეთი: ბესოქი (12), ენე (6), ერდენაი (4), ქუთლუაი (2), ოიგუჯი (1), სარიჯა (22), თუნჩერი (4), თურქჯანი (19), თურქოღლუ (8), ილდირიმი

ლატვია: ბაგაცსკისი (6), ბერნატსი (10), ბონდარენკო (1), ლიეპა (12), პურნისი (2), შტელმახერსი (15), ვალეიკო, ვეკვაგარსი (4), ვიტოლსი (12), ზეიდაკსი (3)

### ჩეხეთი 63:79 იტალია

ჩეხეთი: ბეჩკა (5), ჩუდეკი (7), დვორჟაკი (2), ოკაჩი (8), სტანეკი (7), ტრემლი (7), ვაჰალა (8), ი. ველში (1), პ. ველში (3), ზიდეკი (15)

იტალია: აბიო (19), ბასილე (9), კიაჩიგი (9), დე პოლი (2), დი ჯულიომარია (7), დილგლაი (4), მარკონატო (6), მენეგინი (13), მიანი (2), სკარონე (8)

### საქართველო 59:82 შვედეთი

საქართველო: აბრამიძე (6), ბერძენიშვილი (1), ბოისა (8), ჩხეიძე (9), ჯაფარიძე (16), ჟღენტი (3), მაისურაძე (5), ვ. ნაცვლიშვილი (11)

შვედეთი: აულანდერი, ბერგსტრიომი (14), ბლომი (12), გერკე (26), ჰაკანსონი (9), იონსონი, ლარსონი (3), სალსტრიომი (15), სტიუმერი (3)

# ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები

28-29 ნოემბერი

EURO BASKET 99

| A ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | მ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 სლოვენია | ● | 75:71 | 79:66 | 27.02 | 72:61 | 2.12 | 6 | 1 | 568:499 | 13 |
| 2 გერმანია | 76:91 | ● | 74:71 | 76:73 | 2.12 | 27.02 | 5 | 2 | 520:507 | 12 |
| 3 საბერძნეთი | 76:79 | 24.02 | ● | 92:62 | 77:56 | 79:72 | 4 | 3 | 537:495 | 11 |
| 4 ბულგარეთი | 79:71 | 61:83 | 2.12 | ● | 86:82 | 86:70 | 3 | 4 | 522:567 | 10 |
| 5 ბელგია | 24.02 | 70:72 | 27.02 | 93:75 | ● | 75:68 | 2 | 5 | 513:538 | 9 |
| 6 სლოვაკეთი | 70:101 | 66:68 | 73:76 | 24.02 | 88:76 | ● | 1 | 6 | 507:561 | 8 |

| B ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | მ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 რუსეთი | ● | 87:78 | 116:73 | 24.02 | 108:60 | 115:45 | 7 | 0 | 693:496 | 14 |
| 2 უნგრეთი | 2.12 | ● | 49:68 | 78:68 | 85:69 | 86:56 | 5 | 2 | 517:462 | 12 |
| 3 მაკედონია | 89:94 | 27.02 | ● | 79:72 | 2.12 | 80:52 | 5 | 2 | 537:497 | 12 |
| 4 პოლონეთი | 75:82 | 60:69 | 50:61 | ● | 27.02 | 2.12 | 2 | 5 | 492:520 | 9 |
| 5 პორტუგალია | 76:91 | 24.02 | 64:87 | 81:86 | ● | 81:64 | 2 | 5 | 502:591 | 9 |
| 6 რუმინეთი | 27.02 | 54:72 | 24.02 | 70:81 | 70:71 | ● | 0 | 7 | 411:586 | 7 |

| C ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | მ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 ესპანეთი | ● | 24.02 | 74:58 | 101:53 | 80:51 | 86:57 | 7 | 0 | 583:422 | 14 |
| 2 ისრაელი | 61:67 | ● | 27.02 | 95:64 | 77:70 | 2.12 | 5 | 2 | 540:478 | 12 |
| 3 ინგლისი | 76:92 | 68:82 | ● | 24.02 | 61:88 | 87:70 | 3 | 4 | 482:525 | 10 |
| 4 ბელარუსი | 2.12 | 71:65 | 55:60 | ● | 72:102 | 66:60 | 3 | 4 | 450:541 | 10 |
| 5 უკრაინა | 66:83 | 62:65 | 2.12 | 27.02 | ● | 66:67 | 2 | 5 | 505:505 | 9 |
| 6 დანია | 27.02 | 76:95 | 64:72 | 58:69 | 24.02 | ● | 1 | 6 | 452:541 | 8 |

| D ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | მ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 ბოსნია | ● | 57:87 | 74:67 | 2.12 | 27.02 | 109:84 | 6 | 1 | 553:534 | 13 |
| 2 ლიტვა | 66:69 | ● | 24.02 | 80:61 | 87:77 | 96:71 | 5 | 2 | 568:464 | 12 |
| 3 ხორვატია | 64:67 | 72:64 | ● | 27.02 | 88:63 | 2.12 | 5 | 2 | 534:485 | 12 |
| 4 ჰოლანდია | 76:81 | 57:88 | 67:79 | ● | 24.02 | 77:65 | 3 | 4 | 524:566 | 10 |
| 5 ესტონეთი | 90:96 | 2.12 | 76:82 | 90:99 | ● | 88:79 | 2 | 5 | 584:610 | 9 |
| 6 ისლანდია | 24.02 | 27.02 | 74:82 | 83:87 | 79:100 | ● | 0 | 7 | 535:639 | 7 |

| E ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | მ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 იტალია | ● | 24.02 | 84:60 | 92:81 | 96:84 | 90:43 | 6 | 1 | 575:459 | 13 |
| 2 თურქეთი | 64:72 | ● | 27.02 | 65:48 | 78:65 | 2.12 | 6 | 1 | 531:463 | 13 |
| 3 ჩეხეთი | 63:79 | 67:74 | ● | 24.02 | 77:69 | 81:74 | 4 | 3 | 515:541 | 11 |
| 4 შვედეთი | 2.12 | 64:90 | 93:97 | ● | 87:82 | 89:85 | 3 | 4 | 544:570 | 10 |
| 5 ლატვია | 64:62 | 74:84 | 2.12 | 27.02 | ● | 99:63 | 2 | 5 | 537:547 | 9 |
| 6 საქართველო | 27.02 | 73:76 | 68:70 | 59:82 | 24.02 | ● | 0 | 7 | 465:587 | 7 |

# ღმერთი, მეფე და კორეტხა

**ჰანოვერი. გერმანია. ATP ტურის მსოფლიოს ჩემპიონატი. ტარდება პარდზე დარბაზში. საპრიზო 3,5 მილიონი $**

III ტური.

## წითელი ჯგუფი

**კარლოს მოია (4, ესპანეთი) — ევგენი კაფელნიკოვი (8, რუსეთი) 7:5, 7:5**

მატჩის გამარჯვებული ნახევარფინალის საგზურს ეპატრონებოდა, ამიტომ მესამე ტურის სხვა შეხვედრებისგან განსხვავებით, მან გაცილებით დაძაბულ ბრძოლაში ჩაიარა. მარცხი რუსმა საკუთარ თავს უნდა დააბრალოს: მეტოქეს კორტის ერთი ბოლოდან მეორემდე არაქათის გაცლამდე არბენინებდა, მაგრამ როდესაც საქმე გათამაშების დასრულებაზე მიდგებოდა, ხელსაყრელი პოზიციიდან ბურთს ხან ბადის შუაგულს უმიზნებდა, ხან გვერდითა მსაჯებს (სულ 50 უნებლიე შეცდომა დაუგროვდა). „კაფელნიკოვმა შარშან აქ ნახევარფინალში მომიგო და შურისძიება მინდოდა. ბოლომდე ვიბრძოლე, ყველა ბურთს ვუსწრებდი და კედელივით უკან ვაბრუნებდი, ამიტომაც, მგონი, დავიმსახურე მოგება" — აღნიშნა მატჩის შემდეგ ესპანელმა.

| | | თ | მ-წ | სტ |
|---|---|---|---|---|
| 1. | სამპრასი | 3 | 3:0 | 6:0 |
| 2. | მოია | 3 | 2:1 | 4:3 |
| 3. | კაფელნიკოვი | 3 | 1:2 | 2:5 |
| 4. | კუჩერა | 3 | 0:3 | 2:6 |

## თეთრი ჯგუფი

**გრეგ რუზეცკი (ინგლისი) — ტიმ ჰენმანი (7, ინგლისი) 6:2, 6:4**

ინგლისის დევისის თასის თანაგუნდელების შეხვედრა პირადი ქიშპობის გამო პრინციპული კი გახლდათ, მაგრამ ჰენმანს ჯგუფში პირველი ადგილი ისეც გარანტირებული ჰქონდა და ზედმეტი სირბილით თავი არ შეუწუხებია. რუზეცკის კი მოგება აუცილებლად სჭირდებოდა — ჯერ ერთი, მოგვიანებით კორეტხას წაგების შემთხვევაში ნახევარფინალში სწორედ ის გავიდოდა, მეორეც, თანამემამულის დამარცხებით საუკეთესოთა ათეულში ამზევდებოდა. ..გრეგმა მხოლოდ მეორე კურდღელი დაიჭირა.

**ალექს კორეტხა (5, ესპანეთი) — ალბერტ კოსტა (ესპანეთი) 6:2, 6:4**

ალბერტ კოსტას ჰანოვერამდე ჩოგანი ხელში 20 დღის მანძილზე არ აეღო, არდადეგებს ზღვაზე ატარებდა და დარბაზში კარიერის 17-ვე მატჩიც წააგო, მაგრამ მარსელო რიოსის შეცვლაზე გორან ივანიშევიჩისა და პეტერ კორდას უარის გამო ტურნირის ორგანიზატორებს მასზე დაყაბულება მოუხდათ. ზემოთქმულის გათვალისწინებით, ესპანელის მარცხი მოულოდნელი არავისთვის ყოფილა, თუმცა მატჩს მაინც საეჭვო სუნი უდიოდა — კოსტა და კორეტხა ძველი მეგობრები არიან, კორეტხას მეორე ადგილზე გასასვლელად მოგება სჭირდებოდა, თანაც მომდევნო შეხვედრებისთვის ძალების დასაზოგად — ძალიან იოლი, რასაც მიაღწია კიდეც. იმედგაცრუებული მაყურებლების სტვენა კი შემთხვევითი, ალბათ, სულაც არ გახლდათ.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1. | ჰენმანი | 3 | 2:1 | 4:3 |
| 2. | კორეტხა | 3 | 2:1 | 5:3 |
| 3. | რუზეცკი | 2 | 2:0 | 4:0 |
| 4. | კოსტა | 2 | 0:2 | 0:4 |

ნახევარფინალი

**კორეტხა — სამპრასი 4:6, 6:3, 7:6 (7:3)**

ძნელი სათქმელია, მსოფლიოს პირველ ჩოგანს ამ ადგილის სეზონის ბოლოს ზედიზედ მეექვსედ შენარჩუნება გაუტკბა თუ ამ მიღწევის აღნიშვნიდან გადმოყოლილი ნაბახუსევი („პაზმელია") გაუგრძელდა, მაგრამ შაბათს პირველ ორ ხელში სამპრასი თავის თავს არ ჰგავდა, მატჩი კი — მსოფლიოს ჩემპიონატის ნახევარფინალს. მის სანახავად შეყრილნი ძლიერნი ამა ქვეყნისანიც: გერმანიის კანცლერი გერჰარდ შრედერი და სოკ-ის პრეზიდენტი ხუან ანტონიო სამარანჩი მთქნარებითა და ნაძალადევი ინტერესით თუ ადევნებდნენ თვალს მეტოქეთა ცოდვილობას.

თუმცა მანამდე დაშავებული მესამე, გადამწყვეტმა სეტმა ათმაგად აანაზღაურა. პირველივე გეიმში ესპანელმა სამპრასს მოწოდება აართვა. მარცხის წინაშე აღმოჩენილმა „პისტოლ პიტმაც", როგორც იქნა, სამიზნე გაისწორა და მაშინვე გაისროლა — პირველი სეტიდან მოყოლებული თავისი პირველივე ბრეიკ-პოინტი ბრეიკად აქცია. ამას უამრავი ლამაზი გათამაშება მოჰყვა, კულმინაციას კი მატჩმა ბოლოსწინა გეიმში მიაღწია, როდესაც 6:5-ზე ამერიკელს სამჯერ მიეცა ერთი დარტყმით ფინალის საგზურის მოპოვების შესაძლებლობა.

პირველ მატჩ-პოინტზე უსაშველოდ გრძელი გათამაშება სამპრასის აცილებული ბექჰენდით დასრულდა, მეორეზე კორეტხამ ბადესთან წარმატებული გასვლით იხსნა თავი, მესამეზე კი ამერიკელი უკვე თავად აღმოჩნდა ბადესთან. ესპანელის პირველი შემოვლებული მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა როგორღაც მოიგერია, მაგრამ მეორე კიდევ უფრო ძნელი ასაღები გამოდგა — სამპრასს ბეკერის მსგავსი ნახტომის გაჭიმვა მოუხდა. ამისგან ღირებული არაფერი გამოსულა: პიტი კორტს მთელი ძალით დაენარცხა, თან მუხლები და იდაყვი გადაიყვლიფა, ბურთი კი აუტში აღმოჩნდა.

საქმე ტაი-ბრეიკამდე მივიდა, სადაც სამპრასს, იმ ნახტომის შემდეგ დანა პირს რომ არ უხსნიდა, წინააღმდეგობის გაწევაც არ უცდია: „სეზონის ასე დასრულება არ მინდოდა, მაგრამ ამჯერად რეკორდის მოხსნით დაკმაყოფილება მომიხდა. ეს მარცხი ძნელი გადასატანია, შევეცდები, შინ დაბრუნების შემდეგ მასზე ბევრი არ ვიფიქრო."

**მოია — ჰენმანი 6:4, 3:6, 7:5.**

ტურნირის დასაწყისში, ალბათ, ვერავინ იფიქრებდა, თუ დარბაზის სწრაფ საფარზე მიმდინარე მსოფლიოს ჩემიონატის ფინალში ერთ დროს მხოლოდ თიხნარზე მოასპარეზე ესპანელები აღმოჩნდებოდნენ, მაგრამ, კორეტხას მსგავსად, ძლიერი მოწოდების პატრონი მეტოქე შაბათს კარლოს მოიამაც დაჯაბნა და თავისი დიდი ხნის მეგობრის წინააღმდეგ ასპარეზობის უფლებაც მოიპოვა, თუმცა... „ფინალში მე მეგობარი არ მეყოლება. ხვალ მნიშვნელობა არ ექნება, ბადის მეორე მხარეს კორეტხა იქნება თუ მამაჩემი, მე სამკვდრო-სასიცოცხლოდ ვიომებ. მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში მეტოქეს არ უყურებ, ეს ღმერთიც რომ იყოს, მის დამარცხებას შეეცდები" — განაცხადა მოიამ.

**ფინალი: კორეტხა — მოია 3:6, 3:6, 7:5, 6:3, 7:5**

წინა დღეს, სამპრასისა არ იყოს, ფინალის პირველმა ორმა სეტმაც თითქოს კორეტხას გარეშე ჩაიარა — 24 წლის ბარსელონელი უკანა ხაზზე მოკალათდა, მხოლოდ თავდაცვაზე ფიქრობდა და შედეგად მთელი ამ ხნის მანძილზე ბრეიკ-პოინტიც კი არ მოუპოვებია. ყველაფერი იმისკენ მიდიოდა, „როლან გაროსის" ფინალის და აშშ-ის ღია პირველობის მერვედფინალის მსგავსად, მოია მეტოქეს ისევ არც ერთ ხელს არ დაანებებდა, მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, თუგინდ საუკეთესო მეგობართან წაგება კორეტხას უკვე ყელში ამოსვლოდა: „შეიძლება უცნაურად მოგეჩვენოთ, მაგრამ სულ ივან ლენდლისა და ჯონ მაკინროის „როლან გაროსის" 1984 წლის ფინალზე ვფიქრობდი. მაშინ ჩემმა კერპმა ლენდლმა პირველი ორი სეტის წაგების შემდეგ იმარჯვა. საკუთარ თავს ვეუბნებოდი, შეეცადე, მას მიბაძო და ბოლომდე იბრძოლო, იქნებ კარლოსი გატყდეს-მეთქი."


REUTERS ჰანოვერიდან

ალექს კორეტხა გამარჯვებას ზეიობს

გადამწყვეტი მესამე ხელის ბოლო აღმოჩნდა — კორეტხამ ჯერ ორი ბრეიკ-პოინტი გადაარჩინა, მომდევნო, მე-12 გეიმში კი 0:40 ჩამორჩენის შემდეგ მეტოქეს მოწოდება და მთელი სეტიც აართვა. აქედან მოყოლებული გადაღლილმა მოიამ თანდათან შეცდომებს უმატა, კორეტხა კი სულ უფრო უკეთ ათამაშდა და მატჩის დაწყებიდან ზუსტად ოთხი საათის შემდეგ კარიერის უდიდესი გამარჯვების აღსანიშნავად კორტზე მუხლმოყრილმა თავი ხელებში ჩარგო.

„ამ გამარჯვებას ჩემს ახლახან გარ... ცვლილ ბიძას და დედას ვუძღვნ... ტჩის დროს გონებაში მათ ვესაუბრ... და ძალების მოცემას ვთხოვდი. ამ... უბედნიერესი ადამიანი ვარ, ასეთ ტ... ლზე ბავშვობიდან ვოცნებობდი და ... ლისტის პატარა პრიზით დაკმაყოფ... ნამდვილად არ მინდოდა — განა... მატჩის შემდეგ კორეტხამ, რომე... მილიონ 360 ათასი დოლარი ერგ... კლასიფიკაციაში მეექვსედან მესამე ადგ... გადაბარგდა. სეზონი შესანიშნავად ... რულე, ჩემი მიზანი საგაისოდ პირველ... გნობისთვის პაექრობა იქნება."

პრესკონფერენციის დროს კორ... მობილური ტელეფონი მიაწოდეს. ... ცრავად, მგონი, ჩემთან საუბარი ეს... თის მეფეს სურს — მოიბოდიშა ეს... ლმა, თუმცა ეს მხოლოდ პრემიერ-მი... სტრი ხოსე მარია აზნარი აღმოჩნდა, ... საც ხუმრობა მოჰყვა — მასაც ვერა... დავუწუნებ, მეფე, ალბათ, მოგვიან... დამირეკავს."

მეფე ხუან კარლოსმა პრესკონფე... ცია დროებით ხუთი წუთის შემდეგ ... წყვიტა.

**ავთანდილ სვანი...**

დაგვამწუხრა ქართული კულ... ტურის ამაგდარი და თვალსაჩ... ნო მუშაკის, ქართულ შრიფტ... ავტორის, მხატვარ

**ანტონ დუმბაძის**

გარდაცვალებამ. ჩვენი გაზე... სახელსაც სახე სწორედ ბატ... ნმა ანტონმა მისცა.

სარბიელელები სამძიმარს ... ცხადებთ განსვენებულის ოჯა...

## ჰოკეი

27 ნოემბერი

**ნეშვილი — ანაჰაიმი 3:1**

1:0 1:1 1:0

1:0 ჩელბერგი 17'39 (4); 2:0 ბორდელო 20'22(2). 2:1 კარია 28'32(13); 3:1 ჩელბერგი 43'17(5)

**ტამპა — ფლორიდა 1:2**

0:0 0:1 1:1

0:1 მელანბი 28'38(3); 0:2 მელანბი 46'39(4); 1:2 რიშე 50'22(2)

**პიტსბურგი — რეინჯერსი 2:2**

0:1 1:1 1:0 0:0

0:1 ლიჩი 4'02(3); 1:1 მოროზოვი 30'06(4); 1:2 მაკლინი 35'44(8); 2:2 ლანგი 59'45(8)

თავის ყოფილ კლუბზე ალექსეი კოვალიოვმა პირველივე მატჩში იძია შური. სწორედ მისი ჩინებული პასის შემდეგ (რუსმა ორივე გოლში დაიდო წილი) გაათანაბრა რობერტ ლანგმა ანგარიში.

**სენტ ლუისი — სან ხოსე 2:4**

1:1 0:0 1:3

0:1 მერფი 1'47(4); 1:1 დემიტრა 10'20(11); 2:1 პრონგერი 44'47(3); 2:2 გუოლა 45'04(1); 2:3 ნორტონი 51'04(1); 2:4 შტურმი 58'47(5)

**დეტროიტი — ვანკუვერი 7:1**

0:1 0:0 7:0

0:1 ნესლუნდი 13'37(9); 1:1 ლაპოინტი 43'26(5); 2:1 ლარიონოვი 43'40(3); 3:1 კოზლოვი 45'20(3); 4:1 შენაჰანი 52'10(12); 5:1 ბრაუნი 53'22(5); 6:1 მერფი 54'26(3); 7:1 მერფი 59:37(4)

დეტროიტის მცველმა ლარი მერფიმ (2+2) მესამე პერიოდში თავისი კლუბის მართლაც საჩემპიონო თამაშს ჩაუდგა სული.

**ფილადელფია — ტორონტო 4:3**

1:1 3:2 0:0

1:0 ჯოუნსი 10'42(6); 1:1 უორინერი 11'21(1); 1:2 კოროლიოვი 29'41(6); 2:2 ბრინდამორი 32'319); 3:2 ლინდროსი 34'04(12); 3:3 იუშკევიჩი 35'36(3); 4:3 ლეკლერი 39'11(14)

მასპინძელთა პირველი სამეულის სამივე ფორვარდმა — ჯოუნსმა, ლეკლერმა და ლინდროსმა გოლებს ორ'ორი შედეგიანი პასიც დაურთო.

**ბოსტონი — მონრეალი 5:1**

0:0 0:1 5:0

0:1 კოივუ 21'23(3); 1:1 ბურკი 41'16(3); 2:1 სამსონოვი 46'40(7); 3:1 სამსონოვი 47'34(8); 4:1 ელისონი 49'15(7); 5:1 სუინი 52'19(1)

**დალასი — ვაშინგტონი 4:0**

2:0 2:0 0:0

1:0 მოდანო 1'10(6); 2:0 ჰეჩერი 3'57(4); 3:0 მოდანო 29'00(7); 4:0 ჰეჩერი 36'39(5)

**კალგარი — ედმონტონი 2:3**

2:1 0:1 0:1

0:1 ჰამრლიკი 8'10(3); 1:1 ჰაუსლი 9'50(2); 2:1 ფლერი 33'20(11); 2:2 გრირი 22'44(5); 2:3 კოვალენკო 44'10(9)

28 ნოემბერი

**ფლორიდა — ბუფალო 6:2**

2:0 2:1 2:1

1:0 ნიდერმაიერი 12'41(6); 2:0 დვორჟაკი 16'09(3); 3:0 მელანბი 23'56(5); 3:1 გროშეკი 24'12(7); 4:1 უიტნი 38'14(6); 5:1 შვეპლა 40'31(3); 5:2 ჰოლცინგერი 56'11(6); 6:2 ნიდერმაიერი 57'22(7)

**აილენდერსი — კაროლინა 1:3**

0:0 0:3 1:0

0:1 დაინინი 23'07(3); 0:2 კაპანენი 26'25(7); 0:3 პრიმო 27'26(11); 1:3 ნემჩინოვი 54'02(4)

**ტორონტო — ოტავა 3:2**

0:2 1:0 1:0 1:0

0:1 იაშინი 8'50(7); 0:2 ალფრედსონი 9'40(1); 1:2 დ. კინგი 37'57(9); 2:2 ტომასი 48'54(10); 3:2 დ. კინგი 60'42(10)

**სენტ ლუისი — ვაშინგტონი 4:2**

1:1 1:0 2:1

1:0 ჰანდზუსი 2'44(1); 1:1 ბონდრა 18'48(10); 2:1 კონროი 32'47(2); 3:1 ტარჯონი 46'28(10); 3:2 ზედნიკი 56'13(3); 4:2 იანგი 59'45(4)

**ლოს ანჯელესი — ფინიქსი 0:4**

0:0 0:3 0:1

0:1 ბრირი 23'13(2); 0:2 ილონენი 24'10(1); 0:3 ნუმინენი 28'34(3); 0:4 ადამსი 44'24(4)

ფინიქსმა ზედიზედ მერვე მატჩი მოიგო!

**კოლორადო — ნიუ ჯერსი 2:3**

1:1 0:2 1:0

1:0 დედმარში 10'15(8); 1:1 არნოტი 15'04(4); 1:2 ელიაში 24'53(3); 1:3 ჰოლიკი 36'15(4); 2:3 ლემიე 56'32(7)

29 ნოემბერი

**ფილადელფია — ვანკუვერი 6:2**

0:1 1:1 5:0

0:1 სკაჩარდი 5'18(5); 1:1 ლეკლერი 22'00(15); 1:2 მუკალტი 36'39(8); 2:2 ლეკლერი 40'50(16); 3:2 ლეკლერი 54'53(17); 4:2 ჯოუნსი 55'40(7); 5:2 ლეკლერი 58'56(18); 6:2 გრეტონი 59'26(1)

ლინდროსის სამეულის კიდევ ერთი ბენეფისი! ჯონ ლეკლერი ამ პოკერით ჩემპიონატის საუკეთესო სნაიპერი გახდა, 4 პასი თავად ცენტრფორვარდმა მიითვალა, ხოლო კეიტ ჯოუნსმაა 3(1+2) ქულა დააგროვა.

**ტამპა — ბუფალო 3:6**

1:2 0:2 2:2

1:0 პეტერსონი 1'15(2); 1:1 ბრაუნი 1'36(5); 1:2 პეკა 15'29(4); 1:3 უორდი 21'52(9); 1:4 ბარნაბი 31'43(3); 2:4 ტაკერი 41'35(8); 3:4 კლარკი 50'03(10); 3:5 პეკა 53'14(5); 3:6 გროშეკი 57'37(8)

**კაროლინა — ანაჰაიმი 3:1**

1:0 0:1 2:0

1:0 ფრენსისი 2:06(5); 1:1 გრინი 33'05(2); 2:1 პრატი 48'17(1); 3:1 ონეილი 59'38(5)

კაროლინას მეკარემ არტურ ირბემ (31 მოგერიება) შეძლო ანაჰაიმის ლიდერის პოლ კარიას 11'მატჩიანი ქულიანი სერიის (7 გოლი და 9 პასი) შეწყვეტა.

**რეინჯერსი — ნეშვილი 5:1**

3:0 1:1 1:0

1:0 ნედვედი 7'40(1); 2:0 გრეცკი 9'15(3); 3:0 გრეივსი 14'12(8); 3:1 ტერკოტი 28'30(3); 4:1 ლიჩი 31'38(4); 5:1 სტივენსი 46'57(6)

**ედმონტონი — ჩიკაგო 2:3**

1:2 0:1 1:0

0:1 ჩელიოსი 3'41(3); 1:1 კოვალენკო 8'05(10); 1:2 მენსონი 32'16(1); 1:3 ამონტე 22'17(18); 2:3 მიურეი 46'52(6)

ჩიკაგომ, როგორც იქნა, თავის ისტორიაში მე'2000 მოგება იზეიმა, ხოლო ტონი ამონტე ლეკლერს წამოეწია.

**დეტროიტი — სან ხოსე 4:1**

2:0 1:0 1:1

1:0 კრუპი 6'50(2); 2:0 ლაპოინტი 16'11(6); 3:0 მაკარტი 20'19(8); 4:0 როესტი 45'23(1); 4:1 რიჩი 57'30(4)

სარბიელი...
სპორტული გაზეთი
გამოდის: სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბა...

**მთავარი რედაქტორი**
ზურაბ ფოცხვერია
**დირექტორი**
გიორგი ოქრომჭედლიძე
**რედაქტორი**
თამაზ მიგრიაული
**მთავარი რედაქტორის მოადგილე:**
ილია ბაბუნაშვილი
**ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი:**
ვახტანგ ბზიკაძე
**ტექნიკური რედაქტორი**
გურამ ხელაშვილი
**კალათბურთის განყოფილების გამგე:**
მერაბ რატიშვილი
**ინფორმაციის განყოფილების გამგე:**
სოსო კოტორეიშვილი
**ფეხბურთის რედაქცია. ქართული ფეხბურთის განყოფილება:**
კონსტანტინე გოგიშვილი, გიორგ... ვაშაკიძე, პაატა თოთაძე, კობა ინასა... რიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატ... კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე
**უცხოური ფეხბურთის განყოფილება:**
ლაშა გოდუაძე, დავით კოვზირიძ... ვანო ოქროპირიძე, ონისე შინჯიკა... შვილი
**კალათბურთის განყოფილება...**
გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილ... გაიოზ თალაკვაძე
**ინფორმაციის განყოფილება...**
ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლ... თავაძე, ავთანდილ სვანიძე
**კორესპონდენტი ქუთაისში...**
იუზა კაციტაძე
**ფოტორეპორტიორები:**
გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
**სტილისტები:**
მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიან...
**კომპიუტერული ცენტრი:**
ელენე გელუტაშვილი, ნინო დე... ვაძე, სვეტა დევაძე, კახა თალაკვაძ... ტრისტან კახურაშვილი, დავით ნა... დირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ... ფოფხაძე, ბელა ხატიაშვილი
**გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

**რედაქციის მისამართი:** თბილისი... ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორ... პუსი, IV სართული. საფოსტო მისა... მართი: თბილისი - 79, საფოსტ... ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29